

**მმართველობითი წლიური ანგარიშგება  
სს კაშა ბანკი საქართველო**

**2022**



**კაშა ბანკი**

ახალი მწვერვალებისკენ. ერთად.

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს  
კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული  
ანგარიში**

სს „კაშა ბანკი საქართველოს“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 22 თებერვალს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

თბილისი, საქართველო

16 აგვისტო, 2023 წ.

# სარჩევი

|   |     |
|---|-----|
| მენეჯმენტის განცხადება  | 3   |
| გენერალური დირექტორის მიმართვა                                | 5   |
| მნიშვნელოვანი ფინანსური მონაცემები                            | 6   |
| სტრატეგია   | 7   |
| ადამიანური რესურსები  | 9   |
| ჩვენი თანამშრომლები   | 9   |
| სწავლა და განვითარება   | 10  |
| თანამშრომელთა ჩართულობა და კმაყოფილება                        | 11  |
| თანამშრომელთა ანაზღაურება                                     | 11  |
| კორპორაციული მართვა   | 15  |
| კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა                        | 16  |
| კორპორაციული მართვის პრინციპების ერთგულება                    | 16  |
| ეთიკის კოდექსი  | 17  |
| სამეთვალყურეო საბჭოს წევრები                                  | 20  |
| აქციონერთა სტრუქტურა და სააქციო კაპიტალი                      | 25  |
| აქციონერთა საერთო კრება                                       | 26  |
| საკითხები რომელიც მოითხოვს აქციონერთა კრების მიერ დამტკიცებას | 26  |
| აქციონერის უფლებები   | 28  |
| სამეთვალყურეო საბჭო   | 28  |
| სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის განსაზღვრება        | 31  |
| სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კრიტერიუმები                    | 32  |
| საბჭოს ეფექტურობის მიმოხილვა:                                 | 34  |
| სამეთვალყურეო საბჭო   | 37  |
| დირექტორთა საბჭოს წევრები                                     | 46  |
| დირექტორთა საბჭოს კომიტეტები                                  | 50  |
| შიდა აუდიტის დეპარტამენტი                                     | 51  |
| ანაზღაურების პოლიტიკა დირექტორებისთვის                        | 52  |
| საბჭოს გადაწყვეტილებისთვის განკუთვნილი საკითხების გრაფიკი     | 57  |
| რისკი და კონტროლის მექანიზმები                                | 61  |
| სამეთვალყურეო საბჭო   | 63  |
| რისკის მართვის კომიტეტი                                       | 63  |
| დირექტორთა საბჭო  | 63  |
| რისკების მართვის ფუნქცია                                      | 64  |
| რისკის აპეტიტი  | 65  |
| რისკის ტიპები, მართვა და კაპიტალის განაწილება                 | 66  |
| საბაზრო რისკი   | 70  |
| რისკის შერბილების სტრატეგია                                   | 74  |
| რისკის ანგარიშგება  | 74  |
| სტრეს ტესტები და სცენარული ანალიზი                            | 75  |
| ფინანსური მაჩვენებლები  | 76  |
| დანართი 1 - ფინანსური ანგარიშგება                             | 118 |



## მენეჯმენტის განცხადება

სს „პაშა ბანკი საქართველო“-ს დირექტორთა საბჭო ადასტურებს მოცემულ პილარ 3-ის ანგარიშში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიში მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით. აღნიშნული ანგარიში თანხვედრაშია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის N92/04 ბრძანებით დამტკიცებული "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის" მოთხოვნებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ სხვა წესებსა და ნორმებთან.





## ნიკოლოზ შურღაია

გენერალური დირექტორი, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

### გენერალური დირექტორის მიმართვა

პაშა ბანკი საქართველოში 2013 წლის თებერვლიდან ოპერირებს და იურიდიულ და ფიზიკურ პირებს სთავაზობს კორპორაციულ და საინვესტიციო საბანკო მომსახურებას. 2019 წელს რეპანკის შექმნით, ბანკმა გააფართოვა სერვისები საცალო საბანკო მიმართულებითაც.

2022 წელი საუკეთესო იყო მომგებიანობის კუთხით ბანკის უახლეს ისტორიაში. მიუხედავად იმისა რომ წლის შედეგებით ბანკი ზარალზეა, მნიშვნელოვანი პროგრესს მივაღწიეთ ყველა მიმართულებით: გავაორმაგეთ მომხმარებელთა რაოდენობა და პორტფელის ზომა საცალო ბანკინგში, გავზარდეთ ბიზნეს ბანკინგის მოცულობა 19%-ით.

ჩვენ, პაშა ბანკის და რეპანკის გუნდი, ვართ ინოვაციური და ყველა მხარისთვის მომგებიანი ფინანსური გადაწყვეტილებების სანდო მიმწოდებელი საქართველოში. ამავე დროს – ჩვენს რეგიონში გამორჩეული სტრატეგიული ინვესტორის განუყოფელი ნაწილი, რომელიც ხელმძღვანელობს კეთილსინდისიერების, გონივრული სამუშაო პრაქტიკის, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების და კომპეტენტური გუნდის მიერ მართვის პრინციპებით.

ჩვენს თითოეულ პროექტს აქვს ერთი საერთო დანიშნულება – გავიზარდოთ ერთად, რომ გავაძლიეროთ საქართველო და წვლილი შევიტანოთ პაშა ჰოლდინგში.

# მნიშვნელოვანი ფინანსური მონაცემები

ქვემოთ მითითებულია სს „პაპა ბანკი საქართველო“-ს რიგი მნიშვნელოვანი ფინანსური მონაცემები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, წინა წელთან შედარებით ჭრილში:

| მოგება და ზარალი   | 2022<br>GEL'000 | 2021<br>GEL'000 |
|--|-----------------|-----------------|
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების ზარალის შემდეგ | 21,731          | 21,428          |
| არასაპროცენტო შემოსავალი                                 | 10,781          | 3,068           |
| არასაპროცენტო ხარჯები                                    | (34,775)        | (28,728)        |
| მოგების გადასახადის სარგებელი/ (ხარჯი)                   | -               | 226             |
| წლის წმინდა ზარალი                                       | (2,263)         | (4,006)         |
| სხვა სრული შემოსავალი                                    | -               | -               |
| წლის მთლიანი სრული ზარალი                                | (2,263)         | (4,006)         |

| ბალანსი  | 31 დეკემბერი 2022<br>ლარი'000 | 31 დეკემბერი 2021<br>ლარი'000 |
|--|-------------------------------|-------------------------------|
| ფულადი სახსრები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 109,469                       | 93,042                        |
| კლიენტებზე გაცემული სესხები                                    | 350,885                       | 294,973                       |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები                                 | 43,861                        | 42,059                        |
| სხვა აქტივები  | 14,295                        | 15,921                        |
| მთლიანი აქტივები   | 518,510                       | 445,995                       |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე                 | 106,687                       | 123,135                       |
| ვალდებულებები კლიენტების წინაშე                                | 272,031                       | 201,987                       |
| სხვა ვალდებულებები   | 36,977                        | 41,795                        |
| მთლიანი ვალდებულებები  | 415,695                       | 366,917                       |
| საკუთარი კაპიტალი  | 102,815                       | 79,078                        |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                         | 518,510                       | 445,995                       |

საქართველოს მთლიან საბანკო სექტორში მიმდინარე მოვლენების ფონზე, ბანკმაც უარყოფითად აისახა კოვიდ-19-ით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი, კერძოდ გაუარესდა მისი ფინანსური შედეგები და იმ მსესხებლების საკრედიტო რისკი, რომლებიც პანდემიით განსაკუთრებით

დაზარალებულ სექტორებში საქმიანობენ. ამან განაპირობა სესხების რესტრუქტურირება და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დონის მნიშვნელოვანი ზრდა პორტფელის ყველა სეგმენტში, პანდემიამდელ პერიოდებში არსებულ საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით.

2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მთავრობამ მოხსნა კოვიდ-19-თან დაკავშირებით ადრე დაწესებული თითქმის ყველა შეზღუდვა. ამან ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითი გავლენა იქონია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული წინასწარი შეფასებით, 2022 წლის დეკემბერში მშპ-ის ზრდა გაუტოლდა 10.1%-ს. ინფლაციის დონემ 2022 წლის დეკემბერში წლიურ 9.8%-ს მიაღწია. უკრაინაში რუსეთის შეჭრის გამო საერთაშორისო ბაზრებზე ფასები კიდევ უფრო გაიზარდა, რამაც საქართველოს ბაზარზეც იმოქმედა და ქვეყანაში მაღალი ინფლაციის მთავარ მიზეზად იქცა. ამის პარალელურად, საქართველოში ეკონომიკური აქტივობა მაღალია, რასაც დიდ წილად ხელს უწყობს აღდგენილი ტურიზმი რუსების და ბელარუსების გრძელვადიანი ვიზიტების რაოდენობის ზრდის ფონზე. სებ-ი მოელის, რომ ინფლაცია ეტაპობრივად შემცირდება და თავის მიზნობრივ დონეს 2023 წლის მეორე ნახევარში დაუბრუნდება. ამის მიუხედავად, ვინაიდან განუსაზღვრელობა რჩება და ინფლაციური რისკებიც მაღალ დონეზე ნარჩუნდება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკა გამკაცრებულ დონეზე, ხოლო მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 11%-ზე შენარჩუნდა.

პანდემიისა და ომის უარყოფითი გავლენის მიუხედავად, ხელმძღვანელობა ინარჩუნებს ლიკვიდობის მძლავრ პოზიციებს სებ-ის ღონისძიებების დახმარებით, რომლებიც მიზნად ისახავს კრიზისულ ვითარებაში საბანკო სექტორის მედეგობის განმტკიცებას. ბანკი აქტიურად ცდილობს უმოქმედო სესხების გონივრულ დონეზე შენარჩუნებას დროული რესტრუქტურირებისა და ღონისძიებებისა და მშობელი სანარმოსგან მიღებული მხარდაჭერის წყალობით, ასევე სესხების ამოღების მკაცრი ზომებით.

მართალია, ბანკის ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს საქართველოს ბაზარზე ბანკის კიდევ უფრო გაფართოებას დამტკიცებული სტრატეგიული გეგმების შესაბამისად, კოვიდ-19-თან და რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის ფონზე, საშუალო ვადისთვის უმთავრესი ამოცანა არის საკმარისი გაუნაწილებელი მოგების აღდგენა და შენარჩუნება, რომელიც უზრუნველყოფს მყარ საფუძველს სამომავლო ზრდისა და განვითარებისთვის.





# ადამიანური რესურსები


## ჩვენი თანამშრომლები

სს პაშა ბანკი საქართველო უნიკალური კულტურის მქონე სამუშაო ადგილია. გვჯერა, რომ თანამშრომლები ბანკის ყველაზე მნიშვნელოვან აქტივს წარმოადგენენ.

ჩვენ მხარს ვუჭერთ თანამშრომლებს მათ პროფესიულ განვითარებაში, ვახდენთ ინიციატივების წახალისებას, ხელს ვუწყობთ როგორც გამჭვირვალე თანამშრომლობას, ასევე სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსის შენარჩუნებას.

2022 წლის HR სტრატეგია ორიენტირებული იყო ორგანიზაციის ზოგად ბიზნეს მიზნებთან და საკანონმდებლო რეგულაციებთან შესაბამისობაში დარჩენაზე. ამავდროულად, პოზიტიური ორგანიზაციული კულტურის ხელშეწყობა, ტოპ ტალანტების მოზიდვის, განვითარების და შენარჩუნების მიზნით HR სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია პაშა ბანკში.





ჩვენი მიზანია, სს პაშა ბანკი საქართველო გახდეს სასურველი დამსაქმებელი მრავალფეროვანი ჯგუფებისთვის, არა მხოლოდ პროფესიონალებისთვის, არამედ ახალკურსდამთავრებულებისთვისაც.

საერთაშორისო პროფესიული სერტიფიცირება, პროფესიული ლიტერატურა, უცხო ენის კურსები და სხვ.

პაშა ბანკის სტაჟირების პროგრამები ახალგაზრდა ტალანტებისთვის კარიერის შესანიშნავი დასაწყისია. 2022 წლის განმავლობაში ბანკმა უმასპინძლა 43 სტაჟორს. ვამაყობთ, რომ 90% ბანკში დასაქმდა სხვადასხვა პოზიციაზე და დღემდე პაშა ბანკის ოჯახის ღირებულ წევრებს წარმოადგენენ.

|   |      |
|---|------|
| დატრენინგებული/გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა (2022)                | 320  |
| თანამშრომელთა სასწავლო საათების ჯამური რაოდენობა (2022 წ)                   | 7181 |
| სასწავლო საათების საშუალო საათობრივი მაჩვენებელი ერთ თანამშრომელზე (2022 წ) | 34   |

## თანამშრომელთა ჩართულობა და კმაყოფილება

პაშა ბანკის მიზანია შექმნას ისეთი სამუშაო გარემო, სადაც თანამშრომელი გრძობს მხარდაჭერას, არის მოტივირებული, მზადაა თანამშრომლობისთვის და პოზიტიური სამუშაო გარემოს შექმნისთვის, არის სრულად ჩართული ბანკის საქმიანობაში და სიამოვნებას იღებს მიმდინარე სამუშაოსგან. ჩვენ გვჯერა, რომ თანამშრომელთა ჩართულობა უმნიშვნელოვანესია ბანკისთვის და მიზნის მიღწევის საწინდარს წარმოადგენს. იმისათვის, რომ მუდმივად ვიცოდეთ რას ფიქრობენ ჩვენი თანამშრომლები და რა საჭიროებები აქვთ მათ, ყოველწლიურად ვატარებთ თანამშრომელთა ჩართულობის და კმაყოფილების კვლევებს, ისევე როგორც ორგანიზაციული სიჯანსაღის ინდექსის კვლევას, რომელიც ტარდება ყოველ 3 წელიწადში ერთხელ.

2014 წლიდან ბანკი ატარებს თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევას. დამოუკიდებელი კომპანიები მართავენ პროცესს, რომ გამოავლინონ თუ როგორი ემოციური კავშირი აქვთ თანამშრომლებს კომპანიის მიმართ და რა საჭიროებები აქვთ მათ.

თანამშრომელთა ჩართულობის და კმაყოფილების კვლევაში ფასდება სხვადასხვა ასპექტები, მაგალითად: ლიდერობა, სამუშაო გარემო, ანგარიშვალდებულება, კოორდინაცია და კონტროლი, მოტივაცია, ინოვაცია და სწავლა და სხვა.

ჩვენ ვამაყობთ, რომ თითოეულ თანამშრომელს აქვს თავისი როლი და თითოეული ხმა მნიშვნელოვანია ახალი მწვერვალების ერთად დასაპყრობად.

## თანამშრომელთა ანაზღაურება

სს პაშა ბანკი საქართველოს თანამშრომელთა ანაზღაურების სისტემა უზრუნველყოფს სამართლიან, თანმიმდევრულ, მართებულ და კონკურენტუნარიან ანაზღაურებას და ხელს უწყობს თანამშრომელთა მოზიდვას, მოტივირებასა და შენარჩუნებას.

## სწავლა და განვითარება

ჩვენ მხარს ვუჭერთ თანამშრომელთა განვითარებას და მათთვის მდგრად სასწავლო აქტივობებს, რადგან ჩვენ ნამდვილად გვჯერა: ჩვენი ბიზნესი იზრდება, თანამშრომლების ზრდასა და განვითარებასთან ერთად. ბანკის სწავლებასთან დაკავშირებული კულტურა თანამშრომლებს აძლევს საშუალებას შეიძინონ სხვადასხვა პროფესიული უნარები და გააფართოონ თავიანთი შესაძლებლობები.

თანამშრომლებს საშუალება აქვთ ამოირჩიონ ბანკის მიერ დაფინანსებული სწავლების სხვადასხვა საშუალება, მაგალითად: პროფესიული ონლაინ, ადგილობრივი და საზღვარგარეთ ტრენინგები,



ბანკი მოქმედებს თანამშრომელთა ანაზღაურების პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ დოკუმენტს. ბანკში არსებული ანაზღაურების სისტემა შეესაბამება ბანკის საქმიანობას, მის გრძელვადიან ბიზნეს სტრატეგიას, რისკ კულტურას და საკანონმდებლო მოთხოვნებს. HR და ანაზღაურების კომიტეტის პასუხისმგებლობა სწორედ ზემოხსენებულის უზრუნველყოფაა.

ბანკის ანაზღაურების სისტემა უზრუნველყოფს, რომ კონტროლის ფუნქციების მქონე თანამშრომლების (რისკების მართვა, შესაბამისობა და შიდა აუდიტის ფუნქციები) ანაზღაურების სქემა არ ზღუდავს ამ თანამშრომლების დამოუკიდებლობას. კონტროლის ფუნქციების მქონე თანამშრომლების ანაზღაურება არ არის დამოკიდებული იმ ბიზნეს მიმართულების ფინანსურ შედეგებზე, რომლებსაც ისინი აკონტროლებენ ან მონიტორინგს უწევენ.

ფიქსირებული და ცვლადი ანაზღაურება ბენეფიტებთან ერთად, ბანკის ანაზღაურების სისტემის შემადგენელი ნაწილებია. ფიქსირებული ანაზღაურება თანამშრომლებისთვის გაიცემა ყოველთვიურად, ხელფასის სახით; ცვლადი ანაზღაურება არის დამატებითი, თანამშრომლის მიერ სამუშაოს შესრულებაზე დამოკიდებული ელემენტი, რომლის გადახდაც განსხვავებული პერიოდულობით ხდება.

ბანკში ინდივიდუალური ანაზღაურება განისაზღვრება თანაბარი ანაზღაურების პრინციპით და მიზნად ისახავს მსგავსი სამუშაოებისთვის თანაბარი ანაზღაურების შესაძლებლობების უზრუნველყოფას. ფიქსირებული ანაზღაურების განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება შემდეგი კომპონენტები: პოზიციის სახელფასო დიაპაზონი, პოზიციის გრეიდი, ინდივიდუალური ცოდნა/გამოცდილება და ბაზრის უახლესი ტენდენციები. სახელფასო დიაპაზონის და პოზიციის გრეიდინგის მეთოდოლოგია ბანკისთვის შეიმუშავა მსოფლიოში აღიარებულმა Korn Ferry Hey ჯგუფმა.

პაშა ბანკში არსებული ყველა პოზიცია ითვალისწინებს ცვლად ანაზღაურებას. საბონუსე სისტემა სამუშაოს შესრულებაზე დამოკიდებული და შექმნილია თანამშრომლების კარგი მუშაობისა და ბენეფიტების ჰარმონიზაციისთვის, ამავდროულად ინტერესთა კონფლიქტების აღმოსაფხვრელად. ცვლადი ანაზღაურება დამოკიდებულია თანამშრომლის მიერ სამუშაოს შესრულებაზე და გაიცემა დამატებით, ფიქსირებულ ანაზღაურებასთან ერთად. თანამშრომლის მიერ სამუშაოს შესრულება ყოველწლიურად ფასდება უშუალო ხელმძღვანელის მიერ, დამტკიცებული შესრულების მართვის მეთოდოლოგიისა და შესრულების მართვის პროცედურის მიხედვით.

სამეთვალყურეო საბჭო განიხილავს და ამტკიცებს ბანკის მიერ KPI-ების მიღწევას და განსაზღვრავს საბონუსე ფონდს დირექტორთა საბჭოს წევრებისა და მხარდამჭერი ფუნქციების თანამშრომლებისთვის. ბანკის ბონუსის უფლებამოსილების განსაზღვრისთვის შექმნილ KPI-ებში სამეთვალყურეო საბჭო ითვალისწინებს ბიზნესის რისკების და შესაძლებლობების, ასევე ინტერესთა კონფლიქტის ბალანსს. ფრონტ ოფისის თანამშრომლების ბონუსების გაცემა მტკიცდება დირექტორთა საბჭოს მიერ. ბანკში არსებული ყველა საბონუსე მეთოდოლოგია განიხილება და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

ბანკი ბაზარზე ინარჩუნებს წამყვან პოზიციას, სთავაზობს რა თავის თანამშრომლებს სხვადასხვა ტიპის ბენეფიტს. ბენეფიტების სქემა მოიცავს — ჯანმრთელობის დაზღვევას, სპორტის დაფინანსებას, პროფესიული ლიტერატურის დაფინანსებას, საერთაშორისო პროფესიული სერტიფიცირების გამოცდისა და საწევრო საფასურებს, სხვადასხვა სასწავლო აქტივობის ანაზღაურებას და სხვ.



# კორპორაციული მართვა

სს პაშა ბანკი საქართველო ერთგულია კორპორაციული მართვის მაღალი სტანდარტებისა და აცნობიერებს კორპორაციული მართვის პრაქტიკის მნიშვნელობას ბანკის წარმატების ზრდისა და გრძელვადიანი აქციონერული ღირებულების შესაქმნელად.

კორპორაციული მართვა განიმარტება, როგორც ბანკის მართვისა და ზედამხედველობისათვის განკუთვნილი სტრუქტურებისა და პროცესების ერთობლიობა. სს პაშა ბანკი საქართველო მუდმივად შეიმუშავებს პოლიტიკისა და სისტემების კომპლექსურ სპექტრს, ყველა შიდა და გარე პროცესის ეფექტური ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველსაყოფად. კორპორაციული მართვის ჯანსაღი სისტემა წარმოადგენს მნიშვნელოვან ნვლილს საქართველოში კანონის უზენაესობის დამკვიდრებაში და ბანკის როლის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს თანამედროვე ეკონომიკასა და საზოგადოებაში.



## კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

2022 წელს პაშა ბანკმა განაგრძო სხვადასხვა სფეროებში CSR პროექტების მხარდაჭერა როგორც პაშა ბანკის ასევე ReBank-ის ბრენდის ქვეშ:

პაშა ბანკი არის აშშ-ს დამოუკიდებლობის დღეს მიძღვნილი პიკნიკის ერთგული სპონსორი, რომელიც ორგანიზებულია საქართველოში აშშ-ს საელჩოსა და ამერიკის სავაჭრო პალატის (AmCham Georgia) მიერ. 2022 წელს პაშა ბანკმა მხარი დაუჭირა ღონისძიებას და დააფინანსა ღონისძიების ერთ-ერთი აქტივობა.

პაშა ბანკი აგრძელებს ურბანული პროექტების მხარდაჭერას Re|Bank-ის ბრენდის ქვეშ – 2022 წელს Re|Bank-ი მე-4 შემოუერთდა Tbilisi Mural Fest-ს, ქუჩის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალს რომელიც ჩატარდა 25 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე. ფესტივალის მიზნად ისახავს გააუმჯობესოს თბილისის ურბანული გარემო და შექმნას თბილისის კედლებზე ფართომასშტაბიანი შემოქმედებითი პლატფორმები საერთაშორისო არტისტებისთვის.

რე|ბანკი გახდა თანამედროვე ქართული კინოს პოპულარიზაციისადმი მიძღვნილი პროექტის „კინო მზიურში“ მხარდამჭერი. პროექტის ფარგლებში ზაფხულის განმავლობაში გაიმართა ფილმის ჩვენებები „კაფე მზიურის“ ღია კინოთეატრში რასაც მოჰყვა დისკუსიები.

Re|Bank ასევე არის ქუჩის ცხოველების დიდი მხარდამჭერი. 2022 წელს Re|Bank-ი ჩაერთო იყო ორ ღონისძიებაში: “Feel the Power of love” Animal Project-თან ერთად, რომელიც მხარს უჭერდა მანანალა ცხოველების აყვანას და “გახდი სანტა მანანალა ცხოველისთვის” – სადაც შეგროვება თანხა მანანალა ცხოველებისთვის საკვების დაფინანსებისთვის.

## კორპორაციული მართვის პრინციპების ერთგულება

სს პაშა ბანკი საქართველო მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს მმართველობის სტანდარტები, ყოველთვის შესაბამისობაში იყოს საქართველოს კანონმდებლობასთან და გაითვალისწინოს და გამოიყენოს სამეთვალყურეო საბჭოს ინიციატივები, რომლებიც მიმართულია კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვისკენ.

კორპორაციული მართვის საუკეთესო სტანდარტებისადმი ერთგულების სადემონსტრაციოდ ბანკი შეიმუშავებს და ანვითარებს ქვემოთ ჩამოთვლილს:

- პასუხისმგებელი, ანგარიშვალდებული და ღირებულებაზე დაფუძნებული მენეჯმენტი;
- ეფექტიანი საზედამხედველო და აღმასრულებელი ორგანოები, რომლებიც მოქმედებენ ბანკის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ინარჩუნებენ მზარდ აქციონერულ ღირებულებას;
- ინფორმაციის სათანადო გამჟღავნება და გამჭვირვალობა, ასევე რისკების მართვისა და შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა.

ბანკი პატივს სცემს და აღიარებს კორპორაციული მართვის ყველა ზოგად პრინციპს:

- სამართლიანობა: ბანკი მოწოდებულია იმოქმედოს სამართლიანად და ეთიკურად ყველა აქციონერისა და დაინტერესებული მხარის მიმართ, რადგან მიაჩნია, რომ ეთიკური ქცევა საფუძვლად უდევს კარგ კორპორაციულ მმართველობას.

- ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა: სამეთვალყურეო საბჭო ანგარიშვალდებულია აქციონერების წინაშე იმაზე, თუ როგორ ასრულებს იგი თავის პასუხისმგებლობას. ანალოგიურად, დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია მისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებაზე და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე მიღწეულ შედეგებზე და შესრულებაზე.
- გამჭვირვალობა: ბანკი მოწოდებულია უზრუნველყოს აქციონერებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის ზუსტი და გასაგები ინფორმაციის მიწოდება ბანკთან დაკავშირებულ ყველა არსებით საკითხზე, მათ შორის, მის ფინანსურ მდგომარეობაზე, შესრულებაზე, და საკუთრებისა და მმართველობის სტრუქტურაზე ისე, რომ ინფორმაცია მარტივად იყოს ხელმისაწვდომი დაინტერესებული მხარეებისთვის, კომერციულად სენსიტიური ინფორმაციის გაცემის გარეშე.

საფინანსო სექტორის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანოს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის № 215/04 ბრძანებით 2018 წლის 26 სექტემბერს დამტკიცდა და დაინერგა კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსი.

კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის მიზანია კომერციული ბანკებისთვის ძირითადი კორპორაციული მართვის პრინციპების განსაზღვრა, ეფექტური და ჯანსაღი კორპორაციული მმართველობის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს უწყობს საფინანსო და საბანკო სექტორების წარმატებულ ფუნქციონირებას და სტაბილურობას. კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები სავალდებულოა კომერციული ბანკებისთვის.

ბანკმა მიიღო კოდექსის გაიდლაინები და დაცული აქვს მისი მოთხოვნები.

## ეთიკის კოდექსი

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და დირექტორთა საბჭო, ისევე როგორც ბანკის ყველა თანამშრომელი, უნდა მოქმედებდნენ ყველა მოქმედი კანონმდებლობისა და დებულების შესაბამისად და იცავდნენ ბანკის ეთიკის კოდექსით განსაზღვრულ საქმიანი ქცევის ეთიკურ სტანდარტებს.

ბანკის ეთიკის კოდექსი არის იმ პრინციპების ერთობლიობა, რომლებიც აქტიურად გამოიყენება ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაში. ბანკის ეთიკური პრინციპები ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:

**კეთილსინდისიერება** - კეთილსინდისიერება ჩვენი ბიზნესის საფუძველია. ჩვენთვის ეს ნიშნავს იმის კეთებას, რაც სწორია. ყოველთვის. გამუდმებით. მაშინაც კი, როცა ვერავინ გვხედავს. ეს, ყველაზე ძირითად დონეზე, არის იმ ქვეყნის კანონებისა და რეგულაციების პატივისცემა, რომელშიც ჩვენ ვოპერირებთ. მთავარია, დავიცვათ ჩვენი კომპანიის ქცევის კოდექსი, გამონწვევების წინაშეც კი. ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიის ინტერესები არასოდეს შეეწირება პირად სარგებელს. ეს ნიშნავს გულწრფელობას საკუთარ თავთან, კოლეგებთან, კლიენტებთან და პარტნიორებთან, და მათი ნდობის მოპოვებას.

**ხარისხი** - გარე სამყარო ჩვენ ყოველთვის შეგვაფასებს პროდუქტის ან მომსახურების ხარისხის მიხედვით. ჩვენი მუშაობის ხარისხი კი ჩვენი თანამშრომლების თავდადებისა და პროფესიონალიზმის პირდაპირპროპორციულია. სხვა გზა არ არსებობს. სწორედ ამიტომ, ჩვენ ყოველთვის ვიცავთ ჩვენს მიერ დაწესებულ სტანდარტებს. სწორედ ამიტომ, ჩვენ ვასრულებთ იმას, რასაც გპირდებით, - დღითიდღე - ყურადღებით ვაბალანსებთ ხარისხსა და ეფექტურობას ოპტიმალური შედეგების მისაღწევად. სწორედ ამიტომ, ჩვენ არ გავურბივართ სიახლეებს და ვცდილობთ ვისწავლოთ და



გავუმჯობესდეთ - როგორც პიროვნებები და როგორც ორგანიზაცია.

**მომგებიანობა** - ჩვენ ვქმნით სარგებელს როგორც ჩვენი აქციონერებისათვის, ასევე საზოგადოების საკეთილდღეოდაც. ამის მიღწევა მხოლოდ კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნებით შეგვიძლია. ჩვენი პერსონალი აცნობიერებს, რომ ღირებულება იქმნება არა მხოლოდ ყველა გამოუმუშავებული ლარიდან, არამედ ყველა დაზოგვილი ლარიდანაც. თუმცა, მოკლევადიანი ბიზნეს მიზნებისკენ სწრაფვაში ჩვენ არასდროს ვივინყებთ ჩვენს გრძელვადიან მიზანს - შევქმნათ და შევინარჩუნოთ მდგრადი გლობალური ბიზნესი. და ეს მისწრაფება განაპირობებს ყველა სტრატეგიულ გადაწყვეტილებას.

**თანამშრომლობა** - როდესაც ერთ გუნდად ვმუშაობთ დეპარტამენტების, ბიზნეს ერთეულებისა და ქვეყნების მასშტაბით, ჩვენ ფენომენალურ შედეგებს ვიღებთ. კლიენტებთან, პარტნიორებთან და მომწოდებლებთან თანამშრომლობისას ჩვენ ბევრად ვაჭარბებთ ბაზარზე არსებულ მოლოდინებს. ამ სინერჯის გავლენა ბევრად აღემატება ნებისმიერ პიროვნულ წვლილს. ერთობლივი მუშაობა ქმნის ჯანსაღ სამუშაო გარემოს და განაპირობებს მაღალ ეფექტიანობას. ეს აჩქარებს პრობლემის გადაჭრას და შესაძლებელს ხდის ინოვაციას. ეს ზრდის ნდობასა და პატივისცემას.

**შენარჩუნება** - ჩვენს გარშემო სამყარო მუდმივად იცვლება, ამიტომ ხშირად გვიწევს გაურკვევლობის პირობებში მოქმედება. ჩვენ ვცდებით ახალ შესაძლებლობებს და მზად ვართ გადავდგათ თამამი ნაბიჯები - ვაკეთოთ საქმეები და წავიდეთ იმ ადგილებში, სადაც სხვები ვერ ბედავენ. ჩვენ კი არ ვუფრთხით გამოწვევებს, არამედ აღვიქვამთ მათ, როგორც ზრდის შესაძლებლობებს. ჩვენ არ გვეშინია პირადი პასუხისმგებლობის აღება დამატებითი მანძილის გასავლელად ან რაიმე ახლის გასაკეთებლად. ჩვენი თანამშრომლები კომპანიას ეპყრობიან მზრუნველობით, გრძნობით, გონიერებით - ისევე, როგორც ისინი მოექცეოდნენ საკუთარ ბიზნესს.

ეთიკის კოდექსი აწესებს შემდეგ მოთხოვნებს:

- პროფესიული რეპუტაციის შენარჩუნება.
- პატიოსანი და ეთიკური ქცევის უმაღლესი სტანდარტები, მათ შორის პირადი და პროფესიული ურთიერთობების ინტერესთა კონფლიქტის მოგვარების სათანადო და ეთიკური პროცედურები.
- მონაცემთა სრული, სამართლიანი, ზუსტი, დროული და გასაგები ასახვა ანგარიშებსა და დოკუმენტებში, რომლებსაც სს „პაშა ბანკი საქართველო“ წარუდგენს ან აბარებს სამთავრობო და მარეგულირებელ უწყებებს და ბანკის სხვა საჯარო ურთიერთობის ადრესატებს.
- მთავრობის მოქმედი კანონების, წესებისა და რეგულაციების დაცვა.
- კოდექსის დარღვევის ან ნებისმიერი უკანონო ქცევის შესახებ შიდა შეტყობინების სწრაფი მიწოდება.
- კოდექსის დარღვევების შესახებ შეტყობინების მეთოდების უზრუნველყოფა.

### ღია კარის პოლიტიკა

ეთიკის კოდექსი მოიცავს ღია კარის პოლიტიკას, რომელიც ბანკის თითოეულ თანამშრომელს აძლევს საკმაო შესაძლებლობას დასვას შეკითხვები და მიიღოს კონსულტაცია, თუ ის არ არის დარწმუნებული, არღვევს თუ არა მისი საქმიანი ეთიკის კოდექსის სულისკვეთებას, და გამოთქვას

შეშფოთება, თუ მიიჩნევს, რომ ჩვენი ეთიკის კოდექსი დაირღვა.

სს პაშა ბანკი საქართველო ცდილობს გააძლიეროს როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებული მხარეების ნდობა ბანკის კორპორაციული მართვისა და ეთიკური სტანდარტების მიმართ, რათა ნებისმიერ შიდა დაინტერესებული მხარის არაეთიკური და უკანონო ქცევა უყურადღებოდ არ დარჩეს.

მმართველობითი სტრუქტურის ნებისმიერ წევრს, რომელსაც გაუჩნდება რაიმე არსებითი შეშფოთება ბანკის საერთო კორპორაციული მართვის შესახებ, შეუძლია შეატყობინოს სამეთვალყურეო საბჭოს.


ეთიკის კოდექსი შემუშავებულია კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

ეთიკის კოდექსის დოკუმენტის ნახვა შესაძლებელია პაშა ბანკის ვებგვერდზე [www.pashabank.ge](http://www.pashabank.ge)

### მმართველობის სტრუქტურა

სს „პაშა ბანკი საქართველო“ მმართველობის სტრუქტურა ადეკვატურად შეესაბამება მის საქმიან ხასიათს, მასშტაბს და კომპლექსურობას. ბანკის ორგანიზაციული და კორპორაციული სტრუქტურა გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და უზრუნველყოფს, რომ არავის ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღების განუსაზღვრელი უფლება.

სს პაშა ბანკი საქართველოს აქვს კორპორაციული მართვის ორდონიანი სტრუქტურა - სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც მთლიანად შედგება არააღმასრულებელი დირექტორებისგან და რომელიც პასუხისმგებელია ბანკის ზედამხედველობაზე, და დირექტორთა საბჭო (მმართველი საბჭო), რომელიც მთლიანად შედგება აღმასრულებელი დირექტორებისგან და რომელიც პასუხისმგებელია ბანკის ყოველდღიურ მართვაზე.



## სამეთვალყურეო საბჭოს წევრები



### ფარიდ მამმადოვი

#### სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ფარიდ მამმადოვი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა 2017 წლის 01 ივნისიდან. იგი ასევე არის რისკების მართვის კომიტეტის წევრი.

#### გამოცდილება

ფარიდ მამმადოვმა საბანკო კარიერა დაიწყო 1999 წელს გაერთიანებულ საკრედიტო ბანკში (United Credit Bank CB) საკრედიტო ოფიცრის პოზიციაზე. 2001 წლიდან 2010 წლამდე ფარიდ მამმადოვი მუშაობდა ლსს ბაქოს ბანკში საკრედიტო დეპარტამენტის დირექტორად, ხოლო შემდგომ გენერალური დირექტორის მოადგილედ. 2012 წელს მან მუშაობა დაიწყო შპს ფაშა ჰოლდინგში რისკების დირექტორად და 2013 წლის ივნისამდე იყო ლსს ფაშა ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრი. ამ დღიდან 2017 წლის თებერვლამდე ის იკავებდა გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის თანამდებობას ლსს კაპიტალ ბანკში. 2017 წლის თებერვლიდან მუშაობდა შპს „ფაშა ჰოლდინგის“ გენერალური დირექტორის მოადგილედ და «ბიზნეს ჯგუფის» დირექტორად.

ფარიდ მამმადოვს აქვს ოც წელზე მეტი გამოცდილება საბანკო და ბიზნეს მენეჯმენტში.

#### განათლება

ფარიდ მამმადოვმა საბაკალავრო განათლება პოლიტიკურ მეცნიერებაში სოციალური მენეჯმენტის და პოლიტიკურ მეცნიერებათა ბაქოს ინსტიტუტში მიიღო, ხოლო პოლიტიკური მეცნიერების მაგისტრის ხარისხი მოიპოვა ამერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის დაქვემდებარებაში არსებულ საჯარო ადმინისტრირების აკადემიაში. მას აქვს ესპანეთის IE ბიზნეს სკოლის მაგისტრის ხარისხი, და არის CFA-ს (დიპლომირებული ფინანსური ანალიტიკოსი) სერთიფიკატის მფლობელი.



### გიორგი ღლონტი

#### სამეთვალყურეო საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი წევრი

გიორგი ღლონტი არის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი 2018 წლის 31 დეკემბრიდან. იგი ასევე არის აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე და რისკების მართვის კომიტეტის წევრი.

#### გამოცდილება

გიორგი ღლონტმა საბანკო კარიერა დაიწყო 1992 წელს, როგორც საერთაშორისო ოპერაციებისა და დოკუმენტური ტრანზაქციების დეპარტამენტის

ასისტენტმა იბერია ბანკში. გიორგი ღლონტი ამავე დეპარტამენტის ხელმძღვანელი გახდა 1994 წელს და ეს თანამდებობა ეკავა 1995 წლამდე. 1995-1996 წლებში მუშაობდა თიბისი ჯგუფისა და ალმა თიბისის ფინანსურ დირექტორად. ამავე დროს, ის ასევე იყო თიბისი ბანკის დირექტორთა საბჭოს და საკრედიტო კომიტეტის წევრი. 1996-1999 წლებში ეკავა საერთაშორისო განყოფილების უფროსის თანამდებობა თბილუნვიერსალბანკში. 1999-2003 წლებში გიორგი ღლონტი იყო PwC-სთან ასოცირებული კომპანიის UBC International Ltd-ის (აუდიტი და კონსალტინგი) მმართველი პარტნიორი, აღმასრულებელი დირექტორი და აქციონერი. 2003-2005 წლებში იყო საქართველოს სახალხო ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე. 2005-2008 წლებში გიორგი ღლონტი გახდა საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი და სეპ-ის საბჭოს წევრი. 2008-2009 წლებში იყო საქართველოს სახალხო ბანკის (ამჟამად „ლიბერთი“) გენერალური დირექტორი. 2009 წელს გახდა კორსტანდარტ ბანკის (ამჟამად „ტერა ბანკი“) გენერალური დირექტორი და იკავებდა ამ თანამდებობას 2013 წლამდე. 2013-2014 წლებში გიორგი ღლონტი იყო „ფენიქს კაპიტალის“ მმართველი პარტნიორი და აღმასრულებელი დირექტორი. 2014 წლიდან, მან გააგრძელა კარიერა სუპერ ტვ საკაბელო ტელევიზიის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე. 2014 წლიდან დღემდე, იგი იკავებდა GFTC-ის (SWIFT Service Bureau) არა აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას. 2018 წელს გახდა RSM Georgia Management & Consulting-ის მმართველი პარტნიორი. გიორგი ღლონტს აქვს ოცდახუთ წელზე მეტი გამოცდილება საბანკო და ბიზნეს მენეჯმენტში.

#### განათლება

გიორგი ღლონტმა მიიღო ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხი ფინანსებსა და ეკონომიკაში, საბანკო საქმის სპეციალობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოში.





### ებრუ ოღან კნოტნერუს

#### სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

ებრუ ოღან კნოტნერუსი სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრია 2018 წლის 31 დეკემბრიდან. იგი ასევე არის რისკების მართვის კომიტეტის თავმჯდომარე და აუდიტის კომიტეტის წევრი.

### გამოცდილება

ებრუ ოღან კნოტნერუსმა საბანკო კარიერა დაიწყო 1991 წელს ფამუქბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტში. 1993-1997 წლებში მუშაობდა FINANSBANK-ის ფინანსური კონტროლისა და ბიუჯეტის დაგეგმვის მენეჯერად. 1997-1999 წლებში მუშაობდა DEMIRBANK-ის უცხოური ინვესტიციების დეპარტამენტში მენეჯერის თანამდებობაზე. 1999 წელს ებრუ ოღან კნოტნერუსი გადავიდა ოტომან ბანკში და 2001 წლამდე მუშაობდა რისკების მართვისა და შიდა კონტროლის დეპარტამენტების ხელმძღვანელად. 2001-2003 წლებში, მან პროფესიული კარიერა BBVA Group - GARANTI Bank-ში განაგრძო, შვილობილი კომპანიების რისკების მენეჯმენტის დეპარტამენტის ხელმძღვანელად. 2016 წლიდან 2018 წლამდე კი კომპანიის რისკების მენეჯმენტის დეპარტამენტის მმართველის პოზიციას იკავებდა.

2018 წელს ებრუ ოღან კნოტნერუსი შეუერთდა პაშა ინვესტმენტ ბანკს თურქეთში, როგორც საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. ებრუ ოღან კნოტნერუსს აქვს ოცდახუთ წელზე მეტი გამოცდილება საბანკო და ბიზნეს მენეჯმენტში.

### განათლება

ებრუ ოღან კნოტნერუსს ბაკალავრის ხარისხი ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით, თურქეთში, ანკარის შუა აღმოსავლეთის ტექნიკურ უნივერსიტეტში (METU) მიენიჭა. მას არაერთი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა აქვს გავლილი, მათ შორის: ავთენტური მართვის განვითარების პროგრამა ჰარვარდის ბიზნეს სკოლაში, სტრატეგიული განვითარების პროგრამა ლონდონის ბიზნეს სკოლაში და მაღალეფექტური ლიდერობის პროგრამა კოლუმბიის უნივერსიტეტში, აშშ.



### ჯალალ გასიმოვი

#### სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ჯალალ გასიმოვი სამეთვალყურეო საბჭოს წევრია 2015 წლის 19 ოქტომბრიდან.

### გამოცდილება

ჯალალ გასიმოვმა საბანკო კარიერა OSJC ilkbank-ში (აზერბაიჯანი) მუშაობით დაიწყო 1999 წელს. 2002-2003 წლებში მას ეკავა კერძო კომპანიების ფინანსურ განყოფილებებში სხვადასხვა პოზიციები. 2003-2004 წლებში ის მუშაობდა ფინანსურ დირექტორად კომპანია Azpetrol Oil-ში, 2004-2006 წლებში იყო Azpetrol Holding-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. ის შეუერთდა McKinsey & Company-ის მოსკოვის ოფისს და მუშაობდა კონსულტანტის პოზიციაზე 2006-2007 წლებში. მას ეკავა უმაღლესი მმართველობითი თანამდებობები, იყო ლსს Bank of Baku-ს აღმასრულებელი დირექტორი, ფინანსური დირექტორი კომპანია CRA Group-ში, აღმასრულებელი დირექტორი და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე სს Unibank-ში 2007-2015 წლებში ჯალალ გასიმოვი პაშა ჰოლდინგს შეუერთდა, როგორც საბანკო ჯგუფის ხელმძღვანელი და გენერალური დირექტორის მოადგილე 2015 წელს. იგი ასევე არის OJSC Kapital Bank-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. ჯალალ გასიმოვი არის PASHA Yatirim Bankasi A.S.-ის დირექტორთა საბჭოს წევრი. იგი დაინიშნა პაშა ჰოლდინგის გენერალურ დირექტორად 26.12.2019-დან. ჯალალ გასიმოვს ოც წელზე მეტი გამოცდილება აქვს საბანკო და ბიზნეს მენეჯმენტში.

### განათლება

ჯალალ გასიმოვმა მიიღო ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი აზერბაიჯანის ეკონომიკის უნივერსიტეტში, მიიღო ეკონომიკური ურთიერთობების მაგისტრის ხარისხი აზერბაიჯანის უმაღლეს დიპლომატიურ კოლეჯში და მაგისტრის ხარისხი Warwick Business School-ში, დიდი ბრიტანეთი.



### შაჰინ მამმადოვი

#### სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

შაჰინ მამმადოვი არის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2018 წლის 30 აპრილიდან. იგი ასევე არის აუდიტის კომიტეტის წევრი.

#### გამოცდილება

ბატონი მამმადოვის კარიერა დაიწყო 2003 წელს ბულალტრის პოზიციაზე მუშაობით, მოგვიანებით ის დააწინაურეს Yapi Kredi Bank აზერბაიჯანის (ყოფილი Kochbank Azerbaijan JSB) მთავარი ბულალტრის მოადგილედ. იგი შეუერთდა დელოიტსა და ტუშს 2005

წელს, როგორც ასოცირებული აუდიტორი და შემდგომში დაწინაურებულ იქნა აუდიტის მენეჯერის თანამდებობაზე.

2009 წელს ბ-ნი მამმადოვი გადაყვანილ იქნა ფინანსური მართვის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე ფაშა ბანკის სათაო ოფისში და 2011 წელს გახდა ფინანსური დირექტორი და აღმასრულებელი საბჭოს წევრი. 2013 წელს ის შეუერთდა პაშა ბანკი საქართველოს დირექტორთა საბჭოს და ზედამხედველობდა ბიზნესის განვითარების განყოფილებას. 2014 წლის ივლისში ბ-ნი მამმადოვი დაინიშნა პაშა ბანკ საქართველოს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ და გენერალურ დირექტორად. 2015 წლის მარტიდან შაჰინ მამმადოვი არის PASHA Yatirim Bankası A.Ş.-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2018 წლის იანვრიდან იგი არის შპს „ფაშა პოლდინგის“ ბიზნესის მხარდაჭერის დირექტორი და გენერალური დირექტორის მოადგილე. 2018 წლის 1 მარტს შაჰინ მამმადოვი გახდა ლს ფაშა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. შაჰინ მამმადოვს აქვს თექვსმეტ წელზე მეტი ხნის გამოცდილება საბანკო და ბიზნეს მენეჯმენტში.

### განათლება

შაჰინ მამმადოვმა დაამთავრა აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტი და მიიღო ბაკალავრის ხარისხი ბულალტრულ აღრიცხვასა და აუდიტში 2002 წელს. 2004 წელს მან მიიღო მაგისტრის ხარისხი იმავე უნივერსიტეტში. 2010 წელს ბატონმა მამმადოვმა მიიღო ეკონომიკის დოქტორის ხარისხი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიიდან.

2013 წელს ფაშა პოლდინგის მიერ ორგანიზებული მაღალი პოტენციალის ლიდერთა პროგრამის ფარგლებში მან წარმატებით გაიარა რამდენიმე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა სხვადასხვა ბიზნეს სკოლაში. 2012 წელს შაჰინ მამმადოვი ჩაირიცხა ჰარვარდის ბიზნეს სკოლაში ლიდერობის განვითარების პროგრამაში (Executive Education Program) და გაიარა მოდულები 1-დან 4-მდე 2013 წელს. 2017 წელს გაიარა ამავე პროგრამის მე-5 მოდული. ბატონმა მამმადოვმა ჰარვარდის ბიზნეს სკოლის კურსდამთავრებულის სტატუსი მიიღო 2017 წლის ივლისში. იგი არის სერტიფიცირებულ დიპლომირებულ ბულალტერთა ასოციაციის (ACCA) წევრი 2014 წლიდან.

## აქციონერთა სტრუქტურა და სააქციო კაპიტალი

სს პაშა ბანკი საქართველო («ბანკი») ჩამოყალიბდა 2012 წლის 17 დეკემბერს, როგორც სააქციო საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ბანკი ოპერირებს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ 2013 წლის 17 იანვარს გაცემული საერთო საბანკო ლიცენზიის (ს/კ: 404433671) საფუძველზე.

ბანკი იღებს დეპოზიტებს და გასცემს სესხებს, ახორციელებს გადარიცხვებს და გადახდებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ახორციელებს ვალუტის გადაცვლას და უწევს სხვა საბანკო მომსახურებას კომერციულ კლიენტებს. ბანკი განაგრძობს საცალო ბაზარზე გაფართოებას რეგულაციის ბრენდის სახელით, ბანკის აქციონერების მიერ დამტკიცებული სტრატეგიული ინიციატივების საფუძველზე.

2017 წლიდან ბანკი ანაბრების დაზღვევის სისტემის წევრია. ეს სისტემა მოქმედებს „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და აზღვევს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების ყველა სახის დეპოზიტს 15 000 ლარამდე, გარკვეული გამონაკლისების გარდა.

ბანკს აქვს ოთხი სერვის ოფისი საქართველოში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ბანკის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია 37მ, ილია ჭავჭავაძის გამზირი, 0179, თბილისი, საქართველო.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის 100% -იანი მფლობელი იყო ლს ფაშა ბანკი («მშობელი»). 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის საბოლოო მფლობელები არიან ქ-ნი ლეილა ალიევა (34.91%), ქ-ნი არზუ ალიევა (34.91%) და ბ-ნი არიფ ფაშაიევი (19.49%) და ბ-ნი ჯამალ ფაშაიევი (10.69%), რომლებიც ახორციელებენ ერთობლივ კონტროლს ბანკზე.

ბანკის მთლიანი საწესდებო კაპიტალი იყოფა 129,000,000 (ას ოცდა ცხრა მილიონი) ჩვეულებრივ აქციად. ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1.00 ლარი (ერთი ქართული ლარი). აქციონერთა საერთო კრებაზე თითოეული ჩვეულებრივი აქცია მის მფლობელს ანიჭებს ერთი ხმის უფლებას. «ბანკი» არის შვილობილი ბანკი. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მიერ ემიტირებული აქციების 100% -ს ფლობდა მხოლოდ ლს ფაშა ბანკი.

საანგარიშო პერიოდში ბანკის კაპიტალში და აქციონერთა სტრუქტურაში ცვლილებები არ მომხდარა. ინფორმაცია აქციონერის ან ბენეფიციარი მესაკუთრის მიერ სს „პაშა ბანკი საქართველოდან“ მიღებული შემოსავლის სახეობის შესახებ მოცემულია ქვემოთ:

| ათას ლარში   | ლს ფაშა ბანკი აზერბაიჯანი | ფაშა პოლდინგის კომპანიები |
|--|---------------------------|---------------------------|
|  | 2022                      |                           |
| მოსაკრებელი და საკომისიოები  | 2                         | 1                         |
| საპროცენტო განაკვეთი საკრედიტო დანესებულებებიდან ნასესხებ თანხებზე | 35                        | 567                       |
| პროცენტი სუბორდინირებულ დავალიანებაზე                              | 739                       | 739                       |



| საბოლოო ბენეფიციარი მფლობელი | %      |
|------------------------------|--------|
| ლეილა ალიევა                 | 34.91% |
| არზუ ალიევა                  | 34.91% |
| არიფ ფაშაიევ                 | 19.49% |
| ჯამალ ფაშაიევ                | 10.69% |

ჯგუფის სტრუქტურა ასეთია:



## აქციონერთა საერთო კრება

“ბანკის” მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. ბანკი ატარებს ყოველწლიურ საერთო კრებებს წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერიდან ორი თვის განმავლობაში. სხვა საერთო კრებები მოიწვევა, თუ ამას მოითხოვს ბანკის ინტერესები ან თუ ამას მოითხოვს ბანკის წესდება. საერთო კრებები მოწვევა ხდება დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერ(ებ)ის მიერ. საერთო კრება ტარდება საქართველოს ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ, აქციონერებისთვის ყველაზე ხელსაყრელ დროსა და ადგილას. საერთო კრება მოიწვევა აქციონერებისთვის შეტყობინების გაგზავნიდან ოცი კალენდარული დღის ვადაში. აქციონერებს შეუძლიათ ხმის მიცემა უცხოეთიდან ან სხვა პირზე გაცემული მინდობილობის მეშვეობით. ბანკი უზრუნველყოფს საერთო კრებებზე მიღებული ყველა სათანადოდ რწმუნებულის დანიშვნის სათანადოდ აღრიცხვას. საერთო კრების მოწვევა განსაზღვრავს ინფორმაციას წესდებაში ცვლილებების შეტანის თარიღის, დროის, ადგილის, დღის წესრიგის, დადგენილების პროექტის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

კენჭისყრის შედეგები და სხვა შესაბამისი მასალები დაურიგდება აქციონერებსა და საბოლოო აქციონერებს.

სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა და ყველა დირექტორმა იცოდნენ აქციონერების შეხედულებების, საკითხებისა და პრობლემების შესახებ.

## საკითხები რომელიც მოითხოვს აქციონერთა კრების მიერ დამტკიცებას

- ა) ბანკის წესდების დამტკიცება და ცვლილება;
- ბ) ბანკის წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება;
- გ) ბანკის რეორგანიზაცია, რომელიც მოიცავს შერწყმას, გაყოფას, გარდაქმნას (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლას) და ბანკის ლიკვიდაციას, ბანკის სააქციო კაპიტალის მკვეთრი ზრდის დროს უპირატესი შესყიდვის უფლების სრულად ან ნაწილობრივ გაუქმებას;

- დ) ახალი აქციების გამოშვება, არსებული აქციონერ(ებ)ის მიერ აქციების , ან სხვა, აქციებად კონვერტირებადი, ფასიანი ქაღალდების გაყიდვა.
- ე) მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა საბჭოს წინადადება მოგების გამოყენების (მათ შორის განაწილების) შესახებ , ხოლო თუ ეს ორგანოები ვერ შეთანხმდებიან ერთ წინადადებაზე, მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;
- ვ) დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ანგარიშების დამტკიცება;
- ზ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და გათავისუფლება, წევრის ანაზღაურების საკითხის განსაზღვრა და წევრის ხელშეკრულებების დადება;
- თ) ბანკის დირექტორთა საბჭოს პირველი შემადგენლობის დამტკიცება;
- ი) ბანკის აუდიტის კომიტეტის პირველი შემადგენლობის დამტკიცება;
- კ) მიიღოს გადაწყვეტილებები დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამგვარ პროცესში წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;
- ლ) ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და რეალიზაციის შესახებ დადგენილებების მიღება;
- მ) მიიღოს გადაწყვეტილება ბანკის ქონების შექცევაზე, გაყიდვაზე, გადაცემაზე, გაცვლასა (ან მსგავსი ეფექტის მქონე გარიგებაზე) ან დატვირთვაზე, რომლის ღირებულებაც აღემატება «ბანკის» აქტივების საბალანსო ღირებულების 25%-ს.
- ნ) სხვა საკითხების გადაწყვეტა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## აქციონერთა საერთო კრება

2022 წელს აქციონერთა საერთო კრება ჩატარდა 3 ჯერ 15 მარტს, 16 მარტსა და 17 მარტს აქციონერთა საერთო კრებაზე ბატონი მირ ჯამალ ფაშაიევი წარმოადგენდა ბანკის აქციონერს, სათანადო წესით ნოტარიულად დამოწმებული და ლეგალიზებული მინდობილობის (რწმუნებულების) საფუძველზე.

## აქციონერთა წლიური კრების დღის წესრიგი

2022 წლის 15 მარტის შეხვედრაზე აქციონერთა საერთო კრებამ დაამტკიცა ბანკის კაპიტალის გაზრდა ახალი ჩვეულებრივი აქციების გამოშვებით, აგრეთვე სადამფუძნებლო შეთანხმების დამტკიცება და ბანკის წესდების ცვლილება.

2022 წლის 16 მარტი შეხვედრაზე აქციონერთა საერთო კრებამ დაამტკიცა „პაშა ბანკი საქართველო“ სააქციო საზოგადოების მნიშვნელოვანი რისკების ამღები პირებისთვის პრემიების მიცემის პოლიტიკის დამტკიცება.

2022 წლის 17 მარტის შეხვედრაზე აქციონერთა საერთო კრებამ დაამტკიცა აუდიტის წლიური ანგარიშგება 2021 ფინანსური წლისთვის.

## აქციონერის უფლებები

აქციონერთა უფლება-მოვალეობები ურთიერთშეთანხმებით განისაზღვრება სს „პაშა ბანკი საქართველო“ წესდებით, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით (მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით), „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით (მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით), და ყველა სხვა შესაბამისი კანონით და დებულებით, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული რეგულაციებით.

წესდება ხელმისაწვდომია პაშა ბანკის ვებგვერდზე [www.pashabank.ge](http://www.pashabank.ge)

ბანკის წესდების მე-4 მუხლის 4.2 ნაწილის თანახმად, აქციონერებს უფლება აქვთ:

- ა) დაესწრონ ან წარმოდგენილ იყვნენ საერთო კრებაზე და მონაწილეობა მიიღოს ხმის მიცემის პროცესში (მხოლოდ ჩვეულებრივი აქციების მფლობელები);
- ბ) არჩეულ იქნენ სამეთვალყურეო საბჭოში;
- გ) მონაწილეობა მიიღონ მოგების განაწილებაში და მიიღონ დივიდენდები მათ მფლობელობაში არსებული აქციების რაოდენობის პროპორციულად;
- დ) განკარგონ საკუთარი აქციები საქართველოს კანონმდებლობისა და ბანკის წესდების შესაბამისად;
- ე) «ბანკის» ლიკვიდაციის შემთხვევაში, მათი წილის პროპორციულად მიიღონ იმ ქონების წილი, რაც დარჩება კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდგომ;
- ვ) ჰქონდეთ წვდომა ბანკის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე;
- ზ) მიმართონ ბანკის დირექტორებს საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების დასაზუსტებლად, მოითხოვონ რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა, ან დაამატონ განსახილველი საკითხები უკვე დანიშნული საერთო კრების დღის წესრიგში;
- თ) მოითხოვონ ბანკის სამეურნეო საქმიანობისა და წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ მათ აქვთ საფუძვლიანი ეჭვი, რომ ადგილი ჰქონდა არსებით დარღვევებს;
- ი) უპირატესი წესით გამოიწვიონ ბანკის ახლად გამოშვებული ან არსებული აქციები მათ საკუთრებაში არსებული აქციების პირდაპირპროპორციულად, ბანკის წესდებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- კ) მიმართონ ადგილობრივ სასამართლოს ან მხარეთა შეთანხმებით მოიძიონ კერძო არბიტრაჟი მათსა და ბანკს შორის კონფლიქტის გადასაჭრელად;
- ლ) ისარგებლონ საქართველოს კანონმდებლობითა და ბანკის წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

## სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ბანკისა და დირექტორთა საბჭოს საერთო ზედამხედველობაზე. მის წევრებს ირჩევენ აქციონერები. სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე; საბჭო რჩევეს აძლევს დირექტორთა საბჭოს და ჩართულია გადაწყვეტილების

მიღებაში ყველა იმ ფუნდამენტურ საკითხზე, რომელიც გავლენას ახდენს ბანკზე. ეს არის ბანკის მთავარი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია აქციონერებისთვის მდგრადი აქციონერული ღირებულების შექმნასა და მიწოდებაზე, ბანკის სამენარმეო ხელმძღვანელობისა და მმართველობის გზით. იგი განსაზღვრავს ბანკის სტრატეგიულ მიზნებსა და პოლიტიკას, უზრუნველყოფს საერთო სტრატეგიულ მიმართულებას ჯილდოების, წახალისებისა და კონტროლის ფარგლებში, წარმოაჩენს ეთიკურ ხელმძღვანელობას და ხელს უწყობს ბანკის მიზნის, ღირებულებების, კულტურისა და ქცევების კოლექტიურ ხედვას.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მოქმედებენ, როგორც ისინი კეთილსინდისიერად თვლიან, ბანკის წარმატების უზრუნველსაყოფად და აქციონერთა საკეთილდღეოდ მთლიანობაში, და ამასთან, ითვალისწინებენ სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებსაც.

ბანკის წესდების მე-7 მუხლის მე-7.10 ნაწილის თანახმად, შემდეგი საქმიანობები ხორციელდება მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ:

- ბანკის სტრატეგიული ზედამხედველობა და კონტროლი;
- კორპორაციული სტრატეგიისა და სტრატეგიული მიზნების განხილვა და დამტკიცება;
- წლიური ბიუჯეტისა და ბიზნეს გეგმის განხილვა და დამტკიცება;
- ახალი საბანკო/კომერციული საქმიანობის დაწყება და არსებული საქმიანობის შეწყვეტა ან შეჩერება;
- ახალი საწარმოებისა და ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;
- სხვა კომპანიებში აქციების შეძენა და გასხვისება;
- ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცება;
- ეთიკის კოდექსის დამტკიცება და მხილების პროცედურები;
- საერთო კრების გადაწყვეტილებების მიღება ბანკის აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბაზარზე დაშვების შესახებ;
- მოგების განაწილების წინადადებების წარდგენა აქციონერთა საერთო კრებაზე;
- ბანკის მიერ აქციების გამოსყიდვა, როგორც ეს მოთხოვნილია საქართველოს კანონმდებლობით;
- რისკების მართვის საქმიანობის სტრატეგიული ზედამხედველობა;
- რისკის აპეტიტის დამტკიცება, ყოველწლიური გადახედვა;
- ბიზნეს უწყვეტობის გეგმის დამტკიცება;
- ინტერესთა (შესაძლებელი) კონფლიქტისა და მასთან დაკავშირებული გარიგებების ავტორიზაცია ბანკის მიერ დადგენილ ფარგლებში;
- ინტერესთა კონფლიქტთან და დაკავშირებულ მხარეთა გარიგებებთან დაკავშირებული პოლიტიკის, სტანდარტებისა და პროცედურების დამტკიცება;
- დირექტორთა საბჭოს სტრუქტურის, რაოდენობისა და შემადგენლობის დამტკიცება, მისი წევრების დანიშვნისა და გათავისუფლების ჩათვლით;
- დირექტორთა საბჭოს წევრების უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა, მათი საქმიანობის მონიტორინგი და ზედამხედველობა, დირექტორთა საბჭოდან ანგარიშების გამოთხოვა;
- დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის გადაბარების პოლიტიკისა და გადაბარების გეგმების დამტკიცება;



- შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება და დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების პაკეტების განსაზღვრა;
- თანამშრომლებისთვის, მათ შორის დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის, პრემიების ან/და დამატებითი სარგებლის განსაზღვრის მარეგულირებელი ჩარჩოს დამტკიცება;
- სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების სტრუქტურის, ზომის და შემადგენლობის დამტკიცება, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების წევრების დანიშვნა და განთავისუფლება; სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების ანგარიშების განხილვა;
- გარე აუდიტორების არჩევა;
- სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და დათხოვნა.
- კორპორაციული მდივნის დანიშვნა და განთავისუფლება;
- ტრანზაქციების დამტკიცება, რომლებიც განისაზღვრება, მაგრამ არ შემოიფარგლება სესხის აღების, სესხების და ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების გაცემის, სესხის რესტრუქტურირების, სესხის ჩამოწმის, მატერიალური და არამატერიალური აქტივების შეძენა-გასხვისების, ადმინისტრაციული ხარჯების, ნაღდი ფულის ლიმიტების, საჯარო და კერძო კომპანიებში კაპიტალური ინვესტიციების განხორციელების დამტკიცებით, იმ შემთხვევაში თუ ტრანზაქციის მოცულობა აღემატება დირექტორთა საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების და ხელმოწერის უფლებამოსილების ლიმიტებს;
- დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილების მიღებისა და უფლებამოსილების ლიმიტების დამტკიცება;
- ბანკის ან ნებისმიერი მესამე პირის სესხების ან სხვა ვალდებულებების უზრუნველყოფა, თუ ისინი სცილდება ბანკის რეგულარული ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებს;
- ობლიგაციების გამოშვების დამტკიცება;
- ბანკის წესდების ტიპის, ჩარჩოს ტიპის და პოლიტიკის ტიპის დოკუმენტების დამტკიცება და შესწორება;
- პირობების და წესების განსაზღვრა და დამტკიცება, რომელიც გამოიყენება ბანკის თანამშრომლებისთვის საკრედიტო რესურსებთან და დეპოზიტებთან მიმართებაში;
- აქციონერთა საერთო კრების მოწვევა, თუ ითვლება, რომ ეს საჭიროა “ბანკის” ინტერესებისათვის;
- ზედამხედველობის განწვევა და ბანკის წარმომადგენლობა დირექტორთა საბჭოს წევრებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში;
- საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, ბანკის სახელით დირექტორთა საბჭოს წევრების წინააღმდეგ სამართლებრივი დავის წარმოება, საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე დირექტორთა საბჭოს წევრების მიმართ სარჩელის წარდგენა, თუ საკითხი ეხება დირექტორთა საბჭოს წევრების პასუხისმგებლობას;
- შესაბამისი ზომების დანერგვის ზედამხედველობა შიდა და გარე აუდიტორის შემოწმების შედეგების მიხედვით, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგების მიხედვით;
- გადაწყვეტილებების მიღება იმ საკითხებზე, რომელიც სცდება დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილებების ფარგლებს;
- აქციონერთა კრების მოთხოვნით სხვა მოვალეობების შესრულება.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ერთობლივად არიან პასუხისმგებელი ბანკის ინტერესებზე და გააჩნიათ ბანკის მიმართ ფიდუციარული მოვალეობა. თავმჯდომარე ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთაგან. იგი პასუხისმგებელია მის ეფექტურ ფუნქციონირებაზე მთლიანობაში, მათ შორის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან ნდობისა და კოლეგიალობის შენარჩუნებაზე, ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და მენეჯმენტს შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის ხელშეწყობაზე.

## სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის განსაზღვრება

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების ყველა წევრი გადაწყვეტილების მიღებისას უნდა მოქმედებდეს დამოუკიდებლად. დაუშვებელია აქციონერის, კლიენტის, კონტრაქტორის, ინვესტორის ან მასთან დაკავშირებული სხვა მხარის კერძო ინტერესების გათვალისწინება ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღებისას. წევრები მოქმედებენ დამოუკიდებლად, თუ ისინი ეფექტიანად ღებულობენ საუკეთესო გადაწყვეტილებას ბანკის ექსკლუზიური სარგებლისთვის, გადაწყვეტილებას, რომელიც არ არის დაჩრდილული რეალური ან სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტით.

ბანკის მიერ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე რეკომენდებული პირის დამოუკიდებლობა დასტურდება დანიშვნამდე ბანკის მიერ დამოუკიდებლობის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის კითხვარითა და „კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ რეგულაციით გათვალისწინებული შესაბამისობის ანალიზის საფუძველზე.

„დამოუკიდებელი წევრი“ ნიშნავს წევრს, როდესაც იგი ან მისი რომელიმე ნათესავი, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად არიან პირველი და მეორე რიგის კანონიერი მემკვიდრეები:

1. არ არის ბანკის ან ბანკის რომელიმე მონათესავე კომპანიის ადმინისტრატორის ნათესავი;
2. არ არის იმ პირ(ებ)ის ნათესავი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ბანკის ან ბანკის მონათესავე კომპანიების მნიშვნელოვან წილებს;
3. ბოლო ორი წლის განმავლობაში არ ჰქონია პირადი ურთიერთობა (ნათესაობა, ერთად ცხოვრება და ა.შ.) ბანკის ან ჯგუფში შემავალ კომპანიების ადმინისტრატორებთან, ასევე ბანკის ან ჯგუფში შემავალი კომპანიების მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პირ(ებ)თან;
4. არ იღებს დამატებით ანაზღაურებას ბანკისგან, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების წევრობის ფიქსირებული საფასურისა;
5. არ იღებს დივიდენდს ბანკის აქციების ფლობისთვის (ბანკის აქციების 2% -ზე ნაკლების პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობა);
6. ბოლო ორი წლის განმავლობაში არ აწარმოებდა ბიზნესს ან არ ჰქონია სხვა სახის მატერიალური საქმიანი/კომერციული ურთიერთობა ბანკის ან მასთან დაკავშირებული კომპანიების ადმინისტრატორებთან;
7. ბოლო ორი წლის განმავლობაში არ აწარმოებდა ბიზნესს ან არ ჰქონია სხვა სახის

მატერიალური საქმიანი/კომერციული ურთიერთობა პირთან, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს მნიშვნელოვან წილებს ბანკში ან ბანკის მონათესავე კომპანიებში;

8. არ გააჩნია რაიმე სახის მატერიალური პასუხისმგებლობა (მათ შორის ფინანსური) ბანკის, ბანკის ადმინისტრატორების, ბანკის მნიშვნელოვანი აქციონერების/აქციონერების ან ნებისმიერი სხვა სახის მატერიალური/ფინანსური ინტერესის (მათ შორის, ქონების, ინვესტიციის) მიმართ ბანკში ან ბანკის მონათესავე კომპანიებში (გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ბანკის ან მასთან დაკავშირებული კომპანიების 2% ან ნაკლებ წილს);
9. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არ ჰქონია პროფესიული ან სხვა სახის სამუშაო ურთიერთობა (მათ შორის ბიზნეს მომსახურება და ა.შ.) ბანკთან და ბანკის მონათესავე კომპანიებთან, ადმინისტრატორებთან და მნიშვნელოვან აქციონერებთან (გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც პირი ასრულებს არააღმასრულებელ ფუნქციებს ან უკავია არააღმასრულებელი თანამდებობა);
10. არ ყოფილა დასაქმებული ბანკის მიერ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისა;
11. არ არის დაკავშირებული არაკომერციულ ორგანიზაციასთან, რომელიც იღებს მნიშვნელოვან დაფინანსებას ბანკისგან ან ბანკის მონათესავე კომპანიებისგან;
12. არ არის და არც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ყოფილა დაკავშირებული ბანკის ახლანდელ ან ყოფილ აუდიტორთან ან მასთან დაკავშირებულ მხარესთან;
13. არ უმუშავია სამეთვალყურეო საბჭოში ცხრა წელზე მეტი მისი პირველი არჩევის დღიდან;
14. აუდიტის კომიტეტის წევრები არ ჩაითვლებიან დამოუკიდებლობად, თუ მათ ან/და მათ ნათესავებს, რომლებიც არიან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად პირველი და მეორე რიგის კანონიერი მემკვიდრეები, აქვთ ფინანსური პასუხისმგებლობა ბანკის წინაშე;
15. არ ჰქონია სხვა სახის ურთიერთობა, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს პიროვნების დამოუკიდებლობაზე.

ჯგუფის მშობელი კომპანიის ან/და შვილობილი ბანკების სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრები ასევე შეიძლება ჩაითვალოს შვილობილი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსაგან დამოუკიდებელ წევრებად, თუ ეს წევრები აკმაყოფილებენ დამოუკიდებლობის კრიტერიუმებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის № 215/04 ბრძანებით კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე.

კორპორაციული მართვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია პაშა ბანკის ვებგვერდზე [www.pashabank.ge](http://www.pashabank.ge)

## სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კრიტერიუმები

ბანკის კორპორაციული მართვის პოლიტიკა ადგენს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც სამეთვალყურეო საბჭო ეძებს ფართო გამოცდილების, ცოდნისა და კეთილსინდისიერი რეპუტაციის მქონე წევრებს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს უნდა გააჩნდეთ მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პოზიციებზე

მუშაობის გამოცდილება, უნდა იყვნენ ლიდერები მათთან დაკავშირებულ კომპანიებში ან დაწესებულებებში, და შეიძინენ იმის გათვალისწინებით, თუ რა წვლილი შეუძლიათ მათ შეიტანონ სამეთვალყურეო საბჭოში და როგორ შეუძლიათ წარმოაჩინონ აქციონერთა ინტერესები. სამეთვალყურეო საბჭო ასევე გაითვალისწინებს კანდიდატის შეხედულებების მრავალფეროვნებას, სოციალურ ფონს და სხვა დემოგრაფიულ საკითხებს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კრიტერიუმები და დანიშვნის პროცესი ასევე რეგულირდება ბანკის მიერ დამტკიცებული „ადმინისტრატორთა დანიშვნის შესახებ“ სტანდარტით, რომელიც შემუშავებულია «კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე» რეგულაციის საფუძველზე და ადგენს მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატი.

### საბჭოს კოლექტიური შესაბამისობის შეფასებისას გასათვალისწინებელია:

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უნდა ჰქონდეს საუნივერსიტეტო განათლება შემდეგი სფეროებიდან ერთ-ერთში: ეკონომიკა, ფინანსები, საბანკო საქმე, ბიზნესის ადმინისტრირება, აუდიტი, ბუღალტერია, იურისპრუდენცია ან სხვა შესაბამისი განათლება, რომელიც მას საშუალებას მისცემს შეასრულოს თავისი მოვალეობები;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ უნდა იყოს საქართველოში რეგისტრირებული სხვა კომერციული ბანკის ადმინისტრატორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას უკავია ადმინისტრატორის თანამდებობა ბანკში, რომელიც არის ბანკის შვილობილი ან მშობელი;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა საბჭოს წევრი საქართველოში რეგისტრირებულ შვიდზე მეტ საწარმოში;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ უნდა იყოს ბანკის დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის I ან II რიგის ნათესავი;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უნდა გააჩნდეს შესაბამისი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა უნდა უზრუნველყოფდეს უნარების, ცოდნისა და გამოცდილების მრავალფეროვნებას, რომელიც შეესაბამება ბანკის საქმიანობის მასშტაბსა და სირთულეს.

### კორპორაციული მართვის პოლიტიკის თანახმად, პოტენციური კანდიდატების განხილვისას გასათვალისწინებელი ფაქტორებია:

- ცნობადობა ბიზნესში, დაწესებულებებში ან პროფესიებში;
- კეთილსინდისიერება, პატიოსნება და საზოგადოების ნდობის მოპოვების უნარი;
- ჯანსაღი და დამოუკიდებელი ბიზნეს გადაწყვეტილების დემონსტრირება;
- ფინანსური განათლება და ფინანსურ ინსტიტუტებთან მუშაობის გამოცდილება;
- რისკების მართვის გამოცდილება;
- სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტებში მუშაობისათვის საჭირო პროფესიული გამოცდილება;
- სამეთვალყურეო საბჭოსა და კომიტეტში მუშაობისთვის საკმარისი დროის დათმობის უნარი;
- ბინადრობა საქართველოში და იმ გეოგრაფიული რეგიონის ცოდნა, სადაც ბანკი ახორციელებს ბიზნეს საქმიანობას;



- კომპეტენციები და უნარები, რომლებსაც სამეთვალყურეო საბჭო მოელის თითოეული არსებული წევრისგან.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დამოუკიდებლობა დასტურდება ბანკის მიერ მის დანიშვნამდე, როგორც ეს მოითხოვება სებ-ის მიერ შემუშავებული დამოუკიდებლობის კითხვარით, და სებ-ში ბარდება შესაბამისობის ანალიზი.

## საბჭოს ეფექტურობის მიმოხილვა:

### სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შეფასება

სამეთვალყურეო საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტებისა და მისი ცალკეული წევრების საქმიანობის შეფასების მიზნით სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურად ატარებს ეფექტიანობის ანალიზს. ყოველწლიური შეფასებები ტარდება ორგანიზაციის შიგნით. სხვადასხვა წლებში შესრულების შეფასების პროცესი შეიძლება განსხვავდებოდეს, მაგრამ ჩვეულებრივად იგი ტარდება დეტალური კითხვარის ფორმით, რომელსაც დაერთვება ინდივიდუალური ინტერვიუები სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან და სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტებთან. თავმჯდომარეს შეუძლია ჩაატაროს პირადი შეხვედრები სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრთან, რათა განიხილოს შეფასების შედეგები და ინდივიდუალური შესრულება. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების თავმჯდომარეები პასუხისმგებელი არიან მათი კომიტეტების შეფასებაზე.

### დირექტორთა საბჭოს მუშაობის ანალიზი და შეფასება

სამეთვალყურეო საბჭო პერიოდულად განიხილავს სამეთვალყურეო საბჭოსა და კომიტეტების სტრუქტურას, ზომასა და შემადგენლობას, აფასებს შიდა მმართველობის პოლიტიკასა და პრაქტიკას.

ყოველი სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის შემდეგ, კორპორაციული მდივანი ატარებს დირექტორთა საბჭოს პრაქტიკის ონლაინ გამოკითხვას, რათა განსაზღვროს ბანკში არსებული დირექტორთა საბჭოს კულტურის ეფექტურობა. ამ გამოკითხვით სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ეძლევათ შესაძლებლობა, შეაფასონ ბანკის მომზადებისა და საბჭოს სხდომის მუშაობის დონე და შესთავაზონ მათ წინადადებები გაუმჯობესებისათვის, ასევე შეაფასონ მათი და მათი კოლეგების საქმიანობა.

ინფორმაციის სენსიტიურობიდან გამომდინარე, თითოეული რესპონდენტის ანონიმურობა მკაცრად დაცულია.

წლის განმავლობაში ბანკმა ჩაატარა საბჭოს სხდომების დიდი რაოდენობა; ჯამში, ბანკმა მოიწვია 45 საბჭოს სხდომა, რომელთაგან 32 იყო რიგგარეშე.

### დამოუკიდებელი შეფასება

საბჭოსა და კომიტეტების ეფექტურობის შეფასება ჩატარდა დამოუკიდებელი კონსულტანტის, დელოიტის მიერ და შედეგები გამოქვეყნდა 2020 წლის თებერვალში. შესრულების შეფასებაში დელოიტმა გამოიყენა დირექტორთა საბჭოს ეფექტიანობის გაზომვის სისტემა.

**წარმომში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორ ასრულებს საბჭო სამ ძირითად როლს:**

- გამჭრიახობა და წინდახედულობა - საბჭო, როგორც მთლიანობაში, ასევე საბჭოს ცალკეული წევრების დონეზე, ძირითადი დაინტერესებული მხარეების მიმდინარე და სამომავლო საჭიროებებთან, შესაძლებლობებთან და საფრთხეებთან ერთად, აცნობიერებს ძირითად პოლიტიკურ, საკანონმდებლო და ეკონომიკურ ფაქტორებს, და იმას, თუ რამდენად შეუძლია ორგანიზაციის ეფექტური რეაგირება ამ დაინტერესებული მხარეების საჭიროებებსა და გარემო პირობებზე.
- პრიორიტეტებისა და მოლოდინების განსაზღვრა - საბჭომ განიხილა, შეთანხმდა და ნათლად განსაზღვრა ორგანიზაციის სტრატეგიული პრიორიტეტების ნაკრები და ის, თუ როგორ მოელის ამ პრიორიტეტების რეალიზაციას.
- ანგარიშგება და გარანტიების ძიება - საბჭოს შეუძლია გაიგოს და კრიტიკულად შეაფასოს შესრულების ინფორმაცია, უზრუნველყოფს მენეჯმენტის ანგარიშგებას და გონივრულად დარწმუნებულია, რომ მენეჯმენტი შეესაბამება მის მოლოდინებს ამ პრიორიტეტებთან დაკავშირებით.

### დელოიტმა შეფასების მიზნით განახორციელა შემდეგი სამუშაოები:

- დოკუმენტაციის განხილვა;
- ონლაინ გამოკითხვის გავრცელება საბჭოს ყველა წევრზე;
- ინტერვიუები საბჭოს წევრებთან, ზედა დონის აღმასრულებლებთან და ზოგიერთ ძირითად დაინტერესებულ მხარესთან, რომლებიც რეგულარულად ურთიერთობენ საბჭოსთან; და
- გამგეობის და კომიტეტის ზოგიერთი სხდომის დაკვირვება.

შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბანკმა მიაღწია კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობისა და ლოიალურობის კარგ დონეს კორპორაციულ მმართველობაზე მუდმივი მუშაობით. მნიშვნელოვანი ძალისხმევა იქნა განუწეული საბჭოებისა და კომიტეტების მუშაობის გასაძლიერებლად ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, შესამჩნევი შედეგებით.

საბჭოს მუშაობაში გამოვლინდა მთელი რიგი ძლიერი მხარეები, მათ შორის შემთხვევები, როდესაც საბჭო აჩვენებს უკეთეს პრაქტიკას თავის კოლეგებთან შედარებით. საბჭო ავლენს მთელ რიგ დადებით თვისებებს უნარებისა და ქცევების თვალსაზრისით. თუმცა, არსებობს მთელი რიგი სფეროები, სადაც ბანკი სარგებლობას მიიღებდა გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსში მოცემული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი რეკომენდაციებით საბჭოს სტრუქტურისა და შემადგენლობის, დღის წესრიგის, ანგარიშგების, ჩართულობის, შეფასებისა და ტრენინგის შესახებ.

### საბჭოს ძლიერი მხარეები გამოიკვეთა შემდეგნაირად:

- მმართველობასთან მიდგომა: ბანკი სერიოზულად ეკიდება საბჭოს ეფექტურობასა და ფართო მმართველობას, რაც დასტურდება საბჭოს შეფასების რეგულარული პროცესითა და ძლიერი კორპორაციული მართვის პოლიტიკით.
- წევრების ძლიერი პროფესიული ფონი: საბჭოს წევრები არიან ბანკების ყოფილი ან ამჟამინდელი ხელმძღვანელები, მათ შორის აზერბაიჯანის ფარგლებს გარედან. საბჭოს

წევრებს აქვთ მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება აღმასრულებელ რგოლებში, უმრავლეს მათგანს - აზერბაიჯანის ფინანსურ ინდუსტრიაში და კერძოდ ფაშა ჰოლდინგში.

- საბჭოს დინამიკის დადებითი შეფასება: დადებითად შეფასდა საბჭოს გუნდის დინამიკა, გამოკითხვებმა აღნიშნეს ღია, ფართო, არაფორმალური და აქტიური დებატების კულტურა, რომელიც ხელს უწყობს აზრთა და შეხედულებათა ნაყოფიერ გაცვლას.
- მონაწილეობის მაღალი დონე: არსებული მონაცემებით, საბჭოს წევრები რეგულარულად ესწრებიან შეხვედრებს და აქტიურად მონაწილეობენ საბჭოს სხდომებში.
- დამოუკიდებელი წევრების ჩართულობის მაღალი დონე: დამოუკიდებელი წევრის ჩართულობის ხარისხი და ბანკისადმი პირადი ერთგულება საბჭოს სიძლიერეა. დელოიტი მიიჩნევს, რომ საბჭოს ცალკეული დამოუკიდებელი წევრების შესაბამისობა სტრატეგიულ ინიციატივებთან და ურთიერთობის მაღალი დონე აღმასრულებელ დირექტორებსა და საბჭოს დამოუკიდებელ წევრებს შორის საბჭოს სხდომების მიღმა, შეესაბამება საუკეთესო პრაქტიკას.
- ერთიანობა: საბჭო კოლექტიური და შეკრულია. წევრებს ერთმანეთთან კარგი სამუშაო ურთიერთობა აქვთ, რაშიც მათ ეხმარება ზემოთ აღწერილი ჩართულობა, და მენეჯმენტი სიამოვნებით უთმობს დროს საბჭოს დამოუკიდებელ წევრებთან ურთიერთობას.

### სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები

2022 წლის განმავლობაში, სამეთვალყურეო საბჭომ ორმოცდახუთი მათ შორის ოცდათორმეტი რიგგარეშე, საბჭოს სხდომა გამართა. კორონავირუსთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, ყველა შეხვედრა ჩატარდა ვიდეო კონფერენციის მეშვეობით.

## სამეთვალყურეო საბჭო

წევრები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| სამეთვალყურეო საბჭო            |                            |                |   |   |                       |
|--------------------------------|----------------------------|----------------|---|---|-----------------------|
| წევრები 2022 წლის 31 დეკემბერს |                            |                |   |   |                       |
| სახელი გვარი                   | თანამდებობა                | არჩევის თარიღი | სხვა თანამდებობები  | შეხვედრებზე დასწრება / დასწრების შესაძლებლობა | დასწრების კოეფიციენტი |
| ფარიდ მამმადოვი                | საბჭოს თავმჯდომარე         | 01.06.2017     | სტრატეგიისა და საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე; კადრებისა და ანაზღაურების კომიტეტის თავმჯდომარე; რისკების მართვის კომიტეტის წევრი | 43/45   | 96%                   |
| გიორგი ლლონტი                  | უფროსი დამოუკიდებელი წევრი | 31.12.2018     | აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე; რისკების მართვის კომიტეტის წევრი   | 45/45   | 100%                  |
| ებრუ ოღან კნოტნერუს            | დამოუკიდებელი წევრი        | 31.12.2018     | რისკების მართვის კომიტეტის თავმჯდომარე; აუდიტის კომიტეტის წევრი.  | 4/45  | 100%                  |
| ჯალალ გასიმოვი                 | საბჭოს წევრი               | 19.10.2015     |   | 39/44   | 89%                   |
| შაჰინ მამმადოვი                | საბჭოს წევრი               | 30.05.2018     | აუდიტის კომიტეტის წევრი   | 39/44   | 89%                   |

## სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების დღის წესრიგი

2022 წლის განმავლობაში, სამეთვალყურეო საბჭომ თავის დღის წესრიგში შეიტანა, განიხილა და/ან დაამტკიცა მთელი რიგი თემები, რომლებიც ეხება კორპორაციულ მართვას, საოპერაციო და ორგანიზაციულ რისკების მართვას, სტრატეგიულ დაგეგმვასა და ბიუჯეტირებას და სხვადასხვა საოპერაციო საკითხებს, როგორცაა საკრედიტო დაწესებულებების დამტკიცება და ა.შ.

### კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული საკითხები

1. განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცება
2. აღმასრულებელი საბჭოს 2022 წლის KPI-ის დამტკიცება
3. სს „პაშა ბანკი საქართველო“ ბექ-ოფისის თანამშრომლებისა და დირექტორთა საბჭოს წევრებისათვის 2022 წლის შესრულებაზე დაფუძნებული ბონუსებისა და პრემიების გაცემის დამტკიცება;
4. დირექტორთა საბჭოს წევრის გადადგომის შესახებ განცხადების დამტკიცება
5. აქციონერთა რიგგარეშე კრების მიერ წლიური აუდიტის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების მხარდაჭერა დამოუკიდებელი აუდიტორების ანგარიშთან ერთად;
6. განახლებული ან/და ახალი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების დამტკიცება: საკრედიტო კომიტეტის დებულება, ბანკთან დაკავშირებული მხარის სტანდარტი და ბანკთან



დაკავშირებულ მხარეთა იდენტიფიკაციის პროცედურა, საოპერაციო რისკების მართვის პოლიტიკა, აღდგენის დაგეგმვის ჩარჩო დოკუმენტი, სამოქმედო გეგმის სახელმძღვანელო სტრუქტურის შედგენის შესახებ, სამოქმედო გეგმა სტრუქტურის შესახებ, ეროვნული ბანკის რევიზიის მოქმედების გეგმა, აღდგენის დაგეგმვის სტანდარტი, RHI 2022 ტრანსფორმაციის გეგმა, დოკუმენტების შენახვის პოლიტიკა, გადაწყვეტილების მიმღები და ხელმძღვანელი ორგანოების მატრიცა, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის სისტემა და პოლიტიკა, ეთიკის კოდექსი, ფინანსური ინსტიტუტების რეიტინგი და შიდა შეფასების მეთოდოლოგია ლიმიტის დადგენისთვის, IFRS უზრუნველყოფის მეთოდოლოგია, სარგებლის და სხვა პერსონალთან დაკავშირებული ხარჯების ლიმიტების სქემები, ბონუსების სქემის ჩარჩო დოკუმენტი, თანამშრომლების ანაზღაურების პოლიტიკა და ბონუსების გამთვლის ჩარჩო დოკუმენტი

7. აქციონერთა კრების მიერ მატერიალური რისკების მიმღებთა ანაზღაურების პოლიტიკა დამტკიცების მხარდაჭერა v.3;
8. კვარტალური ანგარიშები ფინანსური და სხვა საქმიანობის შესახებ.
9. კვარტალური ანგარიშები კრიტიკული და მაღალი რისკის მქონე აუდიტის აუდიტის შედეგების შესახებ;
10. კვარტალური ანგარიშები დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციებზე.
11. კვარტალური ანგარიშები საბჭოს პრაქტიკის შესახებ.
12. ნახევარწლიური შესაბამისობის ანგარიშები
13. ეროვნული ბანკის ინსპექტირების აქტის განხილვა ფულის გათვრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე;
14. ყოველთვიური განახლებები კომპანიის ოპერაციებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მომლოდინე/გამოუვალი საკითხების შესახებ;
15. სამეთვალყურეო საბჭოსთვის კონსულტანტის დამტკიცება;

**რისკების მართვასთან დაკავშირებული საკითხები:**

16. რისკების მართვის კომიტეტის ანგარიშები;
17. RAS-ის განხილვა;
18. რისკ კულტურის ძირითადი გეგმის დამტკიცება;
19. რისკის მიღება აუდიტის აღმოჩენებთან დაკავშირებით;
20. კრედიტის დამტკიცების ორგანოს გაზრდის დამტკიცება;

**სტრატეგიულ დაგეგვასთან და ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები**

1. სს პაშა ბანკი საქართველოს კაპიტალის გაზრდის აქციონერთა რიგგარეშე კრების მიერ დამტკიცების მხარდაჭერა;

2. აქციონერთა რიგგარეშე კრების მიერ სს „პაშა ბანკი საქართველოს“ წესდებისა და სადამფუძნებლო შეთანხმების დამტკიცების მხარდაჭერა;
3. 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცება
4. 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცება

და სხვა საოპერაციო საკითხები, როგორცაა საკრედიტო საშუალებების დამტკიცება, არსებული საკრედიტო საშუალებების პირობების ცვლილებები, გაუქმებები, ობლიგაციების შესყიდვა, ადმინისტრაციული ხარჯები და ა.შ. სამეთვალყურეო საბჭოსა და მისი კომიტეტების შესაბამისი გადაწყვეტილებების კრების ოქმები სათანადო წესით იქნა შედგენილი და დამტკიცებული კორპორაციული მდივნისა და შესაბამისი მმართველი ორგანოს თავმჯდომარის მიერ.

კრების ოქმები მოიცავენ ინფორმაციას საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ, ასევე რეზოლუციების წინააღმდეგ ხმის მიმცემი წევრების არგუმენტებს. კრების ოქმები სებ-ს მიწოდდა შეხვედრის თარიღიდან არაუგვიანეს ათი დღისა და შესაბამისი ამონარიდები დაურიგდა შესაბამის შიდა დაინტერესებულ მხარეებს.

სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად ხვდება უფროს მენეჯმენტსა და შიდა კონტროლის ფუნქციების მქონე ორგანოს, იმ პოლიტიკისა და რეგულაციების განსახილველად, რომლებიც განსაზღვრავს წინააღმდეგობების მქონე არსებით რისკებსა და საკითხებს. საბჭო პასუხობს კითხვებს და კრიტიკულად განიხილავს უმაღლესი მენეჯმენტის მიერ მოწოდებულ განმარტებებს და ინფორმაციას.

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებისთვის განკუთვნილი საკითხების განრიგი მოცემულია 49-ე გვერდზე.

**სტრატეგიის ცვლილება**

2020 წელს ბანკმა მიიღო 2021-2023 წლების ახალი სტრატეგია. ახალი სტრატეგია იწარჩუნებს ბანკის მისწრაფებებს, გახდეს ბაზრის შესამჩნევი მოთამაშე, რომელიც იმართება მაქსიმალური კეთილსინდისიერებით, ჯანსაღი კორპორაციული მართვის, მოწინავე ტექნოლოგიების გადაწყვეტილებებით და კომპეტენტური, ნიჭიერი მენეჯმენტით, რაც სტიმულს აძლევს მდგრად ეკონომიკურ ზრდას, პროფესიონალურ მენარმეობას და ხელს უწყობს ბიზნეს პარტნიორობას როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის მასშტაბით. ახალი სტრატეგიით, ბანკი მოწოდებულია წახალისოს ინოვაციისა და კრეატიულობის კულტურა და გახდეს კარგი კორპორაციული პრაქტიკის, ნდობის, უწყვეტობისა და პატივისცემის მაგალითი ყველა ჩვენი დაინტერესებული მხარისთვის. ბანკი გააგრძელებს მდგრად ძალისხმევას კომერციულ და კორპორაციულ სეგმენტებზე მომგებიანობის დივერსიფიკაციისა და გაზრდის გზით და საცალო სეგმენტში ორგანული ზრდის გაფართოებით. ბანკის საცალო ვაჭრობის ბრენდი Re|Bank ცდილობს, გამჭვირვალე შეთავაზებებით, მკაფიო კომუნიკაციითა და პატიოსანი მიდგომით ხელახლა დაამკვიდროს საბანკო მომსახურების კონცეფცია და ჩვენს კლიენტებს მიანოდოს ორმხრივად მომგებიანი ფინანსური გადაწყვეტილებები.

ბანკის კორპორაციული კულტურა ვითარდება მისი სტრატეგიის განვითარებასთან ერთად, იგი ყოველთვის რჩება თავისი ძირითადი ღირებულებების ერთგული და იღებს ახალ პოლიტიკასა და პროცედურებს, რომლებიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

## სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები

სამეთვალყურეო საბჭომ თავისი უფლებამოსილების ქვეშ შექმნა ორი კომიტეტი – აუდიტის კომიტეტი და რისკების მართვის კომიტეტი.

### აუდიტის კომიტეტი

სს „პაშა ბანკი საქართველო“-ს აუდიტის კომიტეტი შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და ანგარიშვალდებულია მის წინაშე. კომიტეტი არის მმართველი ორგანო, რომელიც ადგენს და აკონტროლებს შიდა აუდიტის ფუნქციას და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ბანკის საქმიანობის მონიტორინგს. კომიტეტი პასუხისმგებელია ბანკის შიდა კონტროლის სისტემების ზედამხედველობაზე შიდა აუდიტის ფუნქციის შექმნით. კომიტეტი ასევე ურთიერთობს ბანკის გარე აუდიტორთან და განიხილავს ფასს-ის წლიურ და შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებს. რისკების მართვის, შიდა კონტროლისა და მმართველობის პროცესების გაუმჯობესებით და შეფასებისადმი სისტემური მიდგომის დანერგვით, კომიტეტი აკონტროლებს, იცავს თუ არა ბანკის სტრუქტურული ერთეულები და თანამშრომლები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

კომიტეტი ეხმარება სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს ბანკში ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის არსებობისა და ადეკვატურობის უზრუნველყოფაში.

წევრები ინიშნებიან მაქსიმუმ ოთხი წლის ვადით, ხელახალი არჩევის შემთხვევის გარეშე.

კომიტეტის სხდომები უნდა ჩატარდეს კვარტალში მინიმუმ ერთხელ და საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს უფრო ხშირად. 2022 წლის განმავლობაში კომიტეტმა გამართა თორმეტი შეხვედრა.

კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობის საფუძველზე. თითო წევრს აქვს თითო ხმის უფლება. თუ ხმები თანაბარია, თავმჯდომარის ხმა ითვლება გადამწყვეტ ხმად. საჭიროების შემთხვევაში, კომიტეტის სხდომებზე შეიძლება მოწვეულ იქნენ დეპარტამენტების ხელმძღვანელები, გარე აუდიტორები ან სხვა პირები.

| წევრები 2022 წლის 31 დეკემბრისთვის და კომიტეტზე დასწრება |  |                |  |                       |
|--|--|----------------|--|-----------------------|
| სახელი გვარი   | თანამდებობა  | არჩევის თარიღი | შეხვედრებზე დასწრება/ დასწრების შესაძლებლობა | დასწრების კოეფიციენტი |
| გიორგი ღლონტი  | კომიტეტის თავმჯდომარე; სამეთვალყურეო საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი წევრი | 01.01.2019     | 12/12  | 100 %                 |
| ებრუ ოლან კნოტნერუს                                      | კომიტეტის წევრი; სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი              | 01.01.2019     | 12/12  | 100 %                 |
| შაჰინ მამბაძე  | კომიტეტის წევრი; სამეთვალყურეო საბჭოს წევრი                            | 01.01.2019     | 11/12  | 92%                   |

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ იხილოთ აუდიტის კომიტეტის დებულება ბანკის ვებგვერდზე [www.pashabank.ge](http://www.pashabank.ge)

## ბანკის გარე აუდიტორის ანაზღაურება

ბანკის აუდიტორის ანაზღაურება, მათ შორის პროფესიული მომსახურების საფასურის ფარგლებში, 2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის მოიცავს (დღგ-ს გარეშე):

|  | 2022 | 2021 |
|--|------|------|
| ბანკის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საფასური 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის | 120  | 130  |
| შემონმების სხვა მომსახურებაზე განუხლები ხარჯები  | 51   | 56   |
| სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები   | 3    | 4    |
| სულ გადასახდელები და ხარჯები   | 174  | 190  |

სხვა პროფესიონალურ აუდიტორულ ფირმებისთვის სხვა პროფესიული მომსახურებისათვის გადახდილმა მოსაკრებლებმა და ხარჯებმა 2022 წელს შეადგინა 28 ათასი ლარი (2020: 34 ათასი ლარი).

### რისკების მართვის კომიტეტი

სს „პაშა ბანკი საქართველოს“ რისკების მართვის კომიტეტი შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რათა რეკომენდაციები მისცეს საბჭოს და დაეხმაროს თავისი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესრულებაში, და უზრუნველყოს, რომ რისკების იდენტიფიცირების, შეფასების, გაზომვის, კონტროლის, ანგარიშგების და მონიტორინგის პროცესები და შესაძლებლობები ეფექტიანად იქნეს გამოყენებული. კომიტეტი მონიტორინგს უწევს და უზრუნველყოფს, რომ ბანკის საქმიანობა წარიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი რისკების მითითებების შესაბამისად, ხოლო რისკების მართვის სისტემა იყოს ეფექტიანი და მიაღწიოს თავის მიზანს. კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს აწვდის ინფორმაციას სტრატეგიის ფორმულირებაზე, რომელიც ბანკს ავალდებულებს რისკების მართვას თანახმად საბჭოს გაიდლაინებისა რისკის აპეტიტის შესახებ. კომიტეტი განიხილავს რისკების მართვის პოლიტიკასა და სტრატეგიას და შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნებს რისკების მართვასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ის განიხილავს ბანკის რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების ანგარიშებს, განცხადებას რისკის აპეტიტის და ტოლერანტობის შესახებ და გაუთვალისწინებელ ბიზნეს რისკებზე რეაგირების გეგმას, და აფასებს საპასუხო სტრატეგიების ეფექტურობას ბანკის არსებითი რისკების აღმოსაფხვრელად. რისკების მართვის კომიტეტს თავისი მოვალეობების შესასრულებლად აქვს თავისუფალი და განუსაზღვრელი ურთიერთობის საშუალება უფროს მენეჯმენტთან, რისკისა და ფინანსური კონტროლის პერსონალთან და სხვა (შიდა და გარე) მხარეებთან.

რისკების მართვის კომიტეტის თავმჯდომარე დამოუკიდებელია და არ არის სამეთვალყურეო საბჭოს ან სხვა კომიტეტების თავმჯდომარე. რისკების მართვის კომიტეტი შედგება სამი წევრისგან, რომელთა უმრავლესობა არის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი.

რისკების მართვის კომიტეტი რეგულარულად თანამშრომლობს CRO-სთან და მის მოადგილესთან, რათა უზრუნველყოს რისკის მართვის ისეთი სისტემის განვითარება და მუდმივი ოპერირება, რომელიც ეფექტური და პროპორციულია ბიზნესში არსებული რისკების ხასიათისა, მასშტაბისა და სირთულისა. რისკების მართვის კომიტეტი თავის სხდომებზე იწვევს CRO-ს და მის მოადგილეს.

რისკების მართვის კომიტეტის სხდომები უნდა ჩატარდეს მინიმუმ კვარტალურად. აუცილებლობის



შემთხვევაში, შეიძლება სპეციალურად მოწვეულ იქნეს კომიტეტის დამატებითი, რიგგარეშე სხდომები.

2022 წლის განმავლობაში კომიტეტმა ჩაატარა თორმეტი შეხვედრა, რომლის დროსაც განიხილეს რისკების მართვის სხვადასხვა საკითხები და, საჭიროების და მიხედვით, გადასცეს ისინი სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად. რისკის კულტურის პროექტის პრეზენტაცია, ERM ჩარჩო დოკუმენტი, შეღწევადობის ტესტის შედეგები, Swift აუდიტის შედეგები, რისკის მადის განცხადება, საკრედიტო დამტკიცების უფლებამოსილი ლიმიტები, ინფორმაციის რისკის მართვის ჩარჩო დოკუმენტი (შეფასების შედეგები და განხორციელების გეგმა), კიბერუსაფრთხოების ჩარჩოს დოკუმენტის აუდიტის შედეგები, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტით გამოწვეული შესაძლო რისკების განხილვა, წესების ჩამოწერა, აღდგენის გეგმის გაუმჯობესება, კიბერუსაფრთხოების სამოქმედო გეგმა, აღდგენის დაგეგმვის ჩარჩო, ბიზნესის უწყვეტობის გეგმა, სამოქმედო გეგმის სახელმძღვანელო პრინციპები, ბანკის მენეჯმენტის პროექტის რეზოლუცია. LGD-ის გაანგარიშება, არხის ანალიზი რე/საბანკო სესხებისა და ტოპ/ბარათებისთვის, სამოქმედო გეგმა სტრესის ტესტირებისთვის, RHI 2022 ტრანსფორმაციის გეგმა, KPI/KRI მეტრიკის განხორციელება, სისტემის შეფერხების ანგარიში, ანგარიში შიდა კონტროლის სისტემების შესახებ ERM), სტრესის ტესტების შედეგები, FI მეთოდოლოგია (განახლება), თაღლითობის რისკის ჩარჩოს შემუშავების საგზაო რუკა, პერსონალის ბრუნვის ანგარიში, BCP პრეზენტაცია, მოთხოვნები RAS-ის შემზღვევის დარღვევისთვის უარის თქმის შესახებ, NPL პორტფელის სტატუს კვლევების ანგარიში, IFRS უზრუნველყოფა საცალო კლიენტების საკრედიტო ქულების მიგრაციის მეთოდოლოგია, შედეგები; საცალო NPL-ები, რეაბილიტაციის პორტფელი და სასამართლო საქმეები.

| წევრები 2022 წლის 31 დეკემბრისთვის და კომიტეტზე დასწრება |                       |                |  |                       |
|--|-----------------------|----------------|--|-----------------------|
| სახელი გვარი   | თანამდებობა           | არჩევის თარიღი | შეხვედრებზე დასწრება/ დასწრების შესაძლებლობა | დასწრების კოეფიციენტი |
| ებრუ ოღან კნოტნერუს                                      | კომიტეტის თავმჯდომარე | 31.12.2019     | 12/12  | 100%                  |
| ფარიდ მამბალოვი  | კომიტეტის წევრი;      | 02.10.2017     | 12/9   | 83%                   |
| გიორგი ღლონტი  | კომიტეტის წევრი;      | 31.12.2019     | 12/9   | 100%                  |

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ იხილოთ რისკების მართვის კომიტეტის დებულება ბანკის ვებგვერდზე [www.pashabank.ge](http://www.pashabank.ge)

## დირექტორთა საბჭო

ბანკის ყოველდღიურ საოპერაციო მართვას ახორციელებს რეალურ განაკვეთზე მომუშავე აღმასრულებლები (დირექტორები) – დირექტორთა საბჭოს წევრები. ბანკის დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში შედის ოთხი დირექტორი: გენერალური დირექტორი, რისკების დირექტორი, ინფორმაციისა და ოპერაციების დირექტორი და ფინანსური დირექტორი. დირექტორები ინიშნებიან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ფიქსირებული ვადით, როგორც წესი, ოთხი წლით, ვადის ბოლოს განახლების შესაძლებლობით. საბჭოს თითოეული წევრის თანამდებობა და საქმიანობის სფერო განისაზღვრება დანიშნვის დროს.

უფროსი მენეჯმენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეფექტური მმართველობის უზრუნველყოფაში და, შესაბამისად, პასუხისმგებელია ეფექტურ მართვაზე, რომელიც შეესაბამება სამეთვალყურეო საბჭოს პოლიტიკას. ყველა ადმინისტრატორი უნდა აკმაყოფილებდეს კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის და არსებული კანონმდებლობის მოთხოვნებს, მათ შორის, სე-

ის 2014 წლის 17 ივნისის № 50/04 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებას „კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

### ბანკის წესდებისა და დირექტორთა საბჭოს დებულების თანახმად, დირექტორთა საბჭო ახორციელებს შემდეგ საქმიანობებს:

- აწარმოოს ბანკის ყოველდღიური ბიზნეს ოპერაციები;
- მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა ჰქონდეს განახლებული ინფორმაცია ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესახებ და მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები ბანკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე; ბანკის სხვა ფუნქციურ ერთეულებთან თანამშრომლობით, დირექტორთა საბჭომ უნდა უზრუნველყოს ბანკის გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის შენარჩუნება და უზრუნველყოს ამ მიზნისათვის საჭირო ყველა ღონისძიების გატარება;
- შეიმუშაოს კორპორაციული სტრატეგია, სტრატეგიული მიზნები, ბიზნეს გეგმა, წლიური ბიუჯეტი და წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად;
- წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს და აქციონერთა საერთო კრებას აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიშებთან ერთად;
- დასამტკიცებლად წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს გარიგებები, რომლებიც სცილდება კორპორაციული სტრატეგიისა და სტრატეგიული მიზნების, ბიზნეს გეგმისა და ბიუჯეტის ფარგლებს (არასტანდარტული გარიგებები);
- მოახსენოს სამეთვალყურეო საბჭოს კორპორაციული სტრატეგიისა და სტრატეგიული მიზნების, ბიზნეს გეგმისა და ბიუჯეტის საწინააღმდეგო ნებისმიერი მოქმედების შესახებ;
- დაამტკიცოს ყოველდღიური საოპერაციო საბანკო საქმიანობა, მათ შორის, სესხების მოზიდვა, დაკრედიტება და ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების გაცემა, სესხის რესტრუქტურირების დამტკიცება, ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა და განკარგვა, ადმინისტრაციული ხარჯები, ნაღდი ფულის ლიმიტები, საჯარო კომპანიებში კაპიტალდაბანდების განხორციელება, და ხელი მოაწეროს შესაბამის ხელშეკრულებებს, გადაწყვეტილებებს მიღებისა და ხელმოწერის უფლებამოსილების იმ ფარგლებში, რომლებიც განსაზღვრულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული “გადაწყვეტილების მიღების და ხელმოწერის უფლებამოსილების მატრიცით”.
- განსაზღვროს და დაამტკიცოს საკრედიტო რესურსებისა და დეპოზიტებისათვის გამოსაყენებელი მინიმალური და მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთები;
- დაამტკიცოს ტექნიკური დახმარების, მომსახურების, ნასყიდობის ხელშეკრულებების ყველა ფორმა და ნოუ-ჰაუ;
- ზედამხედველობა გაუწიოს ბანკის დანაყოფებს ან/და განყოფილებებს, უზრუნველყოს ბანკის მიერ კლიენტებისთვის სათანადო მომსახურების განწევა;
- გადაწყვიტოს გირაოს დაყადაღების საკითხები და მიიღოს სხვა შესაბამისი ზომები ზარალისაგან ბანკის დასაცავად;
- უზრუნველყოს ბანკში რისკების კონტროლის გამართული სისტემის არსებობა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით;
- მოამზადოს სრული და ზუსტი წლიური, ნახევარწლიური, კვარტალური ანგარიშები, და სხვა ფინანსური ინფორმაცია;

- მოამზადოს და წარადგინოს წინადადებები და რეზოლუციების პროექტები, ანგარიშები და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია ან დოკუმენტაცია, რომელიც მოთხოვნილია ან უნდა წარედგინოს სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერთა საერთო კრებას;
- გაეცნოს ბანკის შიდა და გარე აუდიტის, აუდიტის კომიტეტის და ბანკის მიერ დანიშნული ნებისმიერი ექსპერტის ან/და მრჩევლის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, ასევე ბანკის მენეჯერების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები;
- დაამტკიცოს და შეცვალოს ბანკის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში შემავალი საკითხებისა;
- შეიმუშავოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ბანკის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტები;
- შეიმუშავოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ეთიკის კოდექსი, მათ შორის - მხილების პროცედურები;
- შეიმუშავოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ბანკის ორგანიზაციულ სტრუქტურა;
- დაამტკიცოს დირექტორთა საბჭოს კომიტეტების სტრუქტურა, წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა, მათ შორის კომიტეტის წევრების დანიშვნა და მოხსნა; განიხილოს კომიტეტის ანგარიშები;
- დაამტკიცოს მმართველი პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები, სამუშაო გრაფიკები და კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებები;
- მიიღოს გადაწყვეტილება ბანკის თანამშრომლების დანიშვნის, გათავისუფლების და ანაზღაურების შესახებ, გარდა დირექტორთა საბჭოს წევრებისა; - განსაზღვროს ბანკის თანამშრომლებთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საკითხი;
- რეკომენდაცია გაუწიოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს პრემიების ფონდი ბანკის თანამშრომლებისთვის, გარდა ფრანტ-ოფისისათვის გასაცემი პრემიალური თანხებისა;
- დაამტკიცოს პრემიების თანხის გაცემა ფრანტ-ოფისის ფუნქციაზე;
- მონიტორინგი გაუწიოს კანონმდებლობასთან, შიდა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან და აქციონერთა საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს დადგენილებებთან შესაბამისობას;
- შეასრულოს და განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
- შეასრულოს სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერთა საერთო კრების მიერ დაკისრებული ნებისმიერი სხვა მოვალეობა. დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელობს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც ამავდროულად არის პაშა ბანკის გენერალური დირექტორი. დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

### დანიშვნის პროცესი

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია, შეიმუშავოს და აქციონერთა საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინოს დირექტორთა დანიშვნის ფორმალური, მკაცრი და გამჭვირვალე პროცედურა. კანდიდატების იდენტიფიცირების პროცედურა უნდა იყოს გამჭვირვალე, რათა აქციონერებმა შეძლონ დაინახონ, თუ რა ტიპის პირს ეძებს ბანკი და რატომ ინიშნება კონკრეტული პიროვნება. სამეთვალყურეო საბჭოს კადრებისა და ანაზღაურების კომიტეტი პასუხისმგებელია

დირექტორთა საბჭოს ახალი წევრების მოძიებაზე. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და კადრებისა და ანაზღაურების კომიტეტის წევრები ატარებენ გასაუბრებას კანდიდატთან სამეთვალყურეო საბჭოსათვის დასამტკიცებლად მის წარდგენამდე .

კადრებისა და ანაზღაურების კომიტეტი პასუხისმგებელია დირექტორებისათვის გადაბარების გეგმების განხილვაზე, გადაბარების გეგმების ყოველწლიურ განხილვაზე და საჭიროების შემთხვევაში პროცესში ცვლილებების შეტანაზე. დირექტორთა საბჭოს წევრობის კრიტერიუმებს და დანიშვნის პროცესს არეგულირებს ბანკის სტანდარტი ადმინისტრატორთა დანიშვნის შესახებ. ბანკის დირექტორის დანიშვნის პროცესი შეესაბამება საბანკო რეგულაციებს და ექვემდებარება დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის დაწესებულ კრიტერიუმებსა და შეზღუდვებს.

### ცვლილებები საბჭოში

2021 წლის 08 აპრილს, სამეთვალყურეო საბჭოს #13 სხდომის ოქმით დამტკიცდა სს „პაშა ბანკი საქართველოს“ დირექტორთა საბჭოს ახალი შემადგენლობა.

- ნიკოლოზ შურღაია დამტკიცდა სს „პაშა ბანკი საქართველოს“ გენერალური დირექტორის, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარისა და წევრის თანამდებობაზე.
- ლევან ალადაშვილი დამტკიცდა სს „პაშა ბანკი საქართველოს“ რისკების დირექტორისა და დირექტორთა საბჭოს წევრის თანამდებობაზე.
- გიორგი ჩანადირი დამტკიცდა სს „პაშა ბანკი საქართველოს“ ინფორმაციული ტექნოლოგიების და საოპერაციო დირექტორისა და დირექტორთა საბჭოს წევრის თანამდებობაზე.
- დამტკიცდა ასაფ ჰუსეინოვის გადადგომა სს „პაშა ბანკი საქართველოს“ რისკების დირექტორისა და დირექტორთა საბჭოს წევრის თანამდებობიდან.
- დამტკიცდა არდა არკუნის გადადგომა სს „პაშა ბანკი საქართველოს“ გენერალური დირექტორისა და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარისა და წევრის თანამდებობიდან.

### სს „პაშა ბანკი საქართველოს“ დირექტორთა საბჭოს ახალი შემადგენლობა დამტკიცდა შემდეგნაირად:

- დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე: ბ-ნი ნიკოლოზ შურღაია;
- დირექტორთა საბჭოს წევრი: ბ-ნი ლევან ალადაშვილი;
- დირექტორთა საბჭოს წევრი: ბ-ნი გიორგი ჩანადირი;
- დირექტორთა საბჭოს წევრი: ბ-ნი სელიმ ბერენტი

**2022 წლის 03 ოქტომბერს სს „პაშა ბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს №29 სხდომაზე დაამტკიცა განცხადება მთავარი საინფორმაციო სამსახურის უფროსის/ოპერაციული დირექტორის და დირექტორთა საბჭოს წევრის, ბატონი გიორგი ჩანადირის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. ბატონმა გიორგი ჩანადირმა 2022 წლის 1 ნოემბრიდან დატოვა სს პაშა ბანკი საქართველოს დირექტორთა საბჭოს წევრის/საინფორმაციო სამსახურის უფროსის თანამდებობა.**



## დირექტორთა საბჭოს წევრები.



### ნიკოლოზ შურდია

**გენერალური დირექტორი, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე**

ნიკოლოზ შურდია მშენებლობის, ბაკალავრის ხარისხით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფინანსების და კრედიტის სპეციალობით. ის ასევე არის ეკონომიკის მაგისტრია და ლონდონის ბიზნეს სკოლის ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული.

ნიკოლოზმა კარიერა 1994 წელს საქართველოს ექსიმბანკში დაიწყო (შემდგომ გაერთიანებული ქართული ბანკი), სადაც 2002 წლამდე სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობდა. 2004 წელს იგი მუშაობდა ABN AMRO ბანკის ვიცე-პრეზიდენტის თანამშემწედ, მოსკოვში. ერთი წლის შემდეგ ნიკოლოზი დაინიშნა მთავარ ბანკირად EBRD-

ის ფინანსური ინსტიტუტების ჯგუფში, ლონდონში. ნიკოლოზ შურდია 2008-2009 წლებში მუშაობდა თბილისში, VTB ბანკის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე; 2009-2011 წლებში მუშაობდა ბელორუსიის ნაროდნი ბანკის აღმასრულებელ თავმჯდომარედ მინსკში და პარალელურად ეკავა გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობა საქართველოს ბანკში.

2012-2014 წლებში ნიკოლოზი გახდა Rabitabank-ის მმართველი საბჭოს თავმჯდომარე (გენერალური დირექტორი), ბაქოში. 2016 წლიდან 2020 წლამდე იყო Yelo Bank-ის მმართველი საბჭოს თავმჯდომარე (გენერალური დირექტორი) ბაქოში. ნიკოლოზ შურდია 2011 წლიდან დღემდე, აზერბაიჯანში, ბელარუსში, საქართველოსა და ყაზახეთში მომუშავე ფინანსური ინსტიტუტების დამოუკიდებელი მრჩეველია (საქართველოს საფონდო ბირჟა, პაშა ბანკი საქართველო, Bank Moscow-Minsk, EvrotorgInvestBank, Caspian Financial Group).

2021 წლის 29 აპრილს ნიკოლოზ შურდია დაინიშნა სს პაშა ბანკ საქართველოს გენერალურ დირექტორად და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ.



### ლევან ალადაშვილი

**დირექტორთა საბჭოს წევრი, რისკების დირექტორი**

ლევან ალადაშვილმა 2005 წელს დაამთავრა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი და მიიღო ბაკალავრის ხარისხი საბანკო საქმის სპეციალობით. მას არაერთი პროფესიული ტრენინგი აქვს გავლილი რისკების შეფასების, რისკების მენეჯმენტის და ფინანსური ანალიზის მიმართულებებით..

მან პროფესიული კარიერა დაიწყო პროკრედიტ ბანკ საქართველოში. 2006-2015 წლებში მუშაობდა ვითიბი ბანკ საქართველოში კორპორაციული საბანკო და საკრედიტო რისკების დეპარტამენტებში.

2015 წლიდან ლევან ალადაშვილმა პროფესიული კარიერა განაგრძო პაშა ბანკი საქართველოს საკრედიტო რისკების დეპარტამენტის უფროსად. 2019 წელს ბატონი ალადაშვილი დაინიშნა რისკების დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე.

2021 წლის 17 მაისიდან ლევან ალადაშვილს უკავია სს პაშა ბანკი საქართველოს რისკების დირექტორისა და დირექტორთა საბჭოს წევრის თანამდებობები.



### გიორგი ჩანადირი

#### დირექტორთა საბჭოს წევრი, ინფორმაციული ტექნოლოგიების და საოპერაციო დირექტორი

გიორგი ჩანადირმა 2005 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი და მიიღო ბაკალავრის ხარისხი კომპიუტერულ მეცნიერებებსა და მათემატიკაში. 2012 წელს მან ასევე გაიარა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროექტის მენეჯმენტის კურსი (CAMO2).

გიორგი ჩანადირმა პროფესიული კარიერა დაიწყო 2004 წელს გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატში პროგრამისტად. 2006-2010 წლებში ის მუშაობდა ანკ რესპუბლიკაში, ჯგუფ სოსიეტე ჟენერალში, როგორც დეველოპერი, მონაცემთა ანალიტიკოსი და რეპორტ დეველოპერი.

2010-დან 2012 წლამდე გიორგი ჩანადირს ეკავა ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოზიცია საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში. 2012-2020 წლებში გიორგი ჩანადირი იყო შპს Universal Card Corporation-ის ინფორმაციული ტექნოლოგიების ოფიცერი.

2020 წელს გიორგი ჩანადირმა პროფესიული კარიერა განაგრძო სს „პაშა ბანკ საქართველოში“, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საბანკო სისტემების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელად.

2021 წლის 29 აპრილს გიორგი ჩანადირი დაინიშნა სს პაშა ბანკ საქართველოს ინფორმაციული ტექნოლოგიების და საოპერაციო დირექტორისა და დირექტორთა საბჭოს წევრის თანამდებობაზე.



### სელიმ ბერენტი

#### დირექტორთა საბჭოს წევრი, ფინანსური დირექტორი

ბატონმა სელიმ ბერენტმა 1998 წელს დაამთავრა სტამბოლის ქოჩის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატი. ის ასევე არის სტამბოლის რობერტის კოლეჯის კურსდამთავრებული.

ბატონმა სელიმ ბერენტმა კარიერა 2003 წელს დაიწყო, როგორც ფინანსურმა კონტროლიორმა Roche Diagnostics-ში, სტამბოლში. შემდეგ ის მუშაობდა Pricewaterhouse Coopers-ში (სტამბოლი) უფროს კონსულტანტად, კომპანიებს კონსულტაციას უწევდა ფინანსური მიმართულების ეფექტურად მართვაში.


2012 წლის ნოემბერში მან კარიერა განაგრძო ბაქოში, ოქროს მომპოვებელ კომპანია AIMROC-ში, როგორც ფინანსურმა დირექტორმა.

იგი შეუერთდა სს „პაშა ბანკ საქართველოს“ 2019 წლის აპრილში, როგორც გენერალური დირექტორის მრჩეველი სტრატეგიული მიმართულებით. პაშა ბანკ საქართველოში გენერალური დირექტორის მრჩეველის პოზიციაზე ყოფნისას, ბ-ნმა სელიმ ბერენტმა ეფექტურად იმუშავა ბანკის სტრატეგიულ მიმართულებებზე.

ბ-ნი ბერენტი სს პაშა ბანკი საქართველოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დაინიშნა ბანკის მთავარ ფინანსურ დირექტორად და ის მოვალეობების შესრულებას შეუდგა 2020 წლის 24 სექტემბრიდან.



**დირექტორთა საბჭოს წევრების ანგარიშგების რიგი ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ სქემაზე.**



ბანკს აქვს კარგად განვლილი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების განაწილებას, რისკების ეფექტურ იდენტიფიცირებას, მართვის/მონიტორინგის და ანგარიშგების პროცედურებს, შიდა კონტროლის ადეკვატურ მექანიზმებს, მათ შორის ადმინისტრაციული და ბუღალტრული აღრიცხვის მძლავრ პროცედურებს, ეფექტურ IT სისტემებს და კონტროლს რისკების მართვაზე, ანაზღაურების პოლიტიკას/პროცედურებს.

**დირექტორთა საბჭოს კომიტეტები**

დირექტორთა საბჭოს წესდების თანახმად, დირექტორთა საბჭოს შეუძლია შექმნას მუდმივმოქმედი ან/და ad hoc კომიტეტები, რომლებსაც ექნებათ ამ უკანასკნელის მიერ განსაზღვრული მოვალეობების შესრულების ვალდებულება. დირექტორთა საბჭო ამტკიცებს კომიტეტების სტრუქტურას, წევრთა რაოდენობას და შემადგენლობას, მათ შორის კომიტეტის წევრების დანიშვნას და მოხსნას;

დირექტორთა საბჭო ერთობლივად პასუხისმგებელია კომიტეტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და განხორციელებულ საქმიანობაზე. კომიტეტებმა უნდა განახორციელონ მხოლოდ ის უფლებამოსილებები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება მათ ან დელეგირებულია მათზე და მათი ქმედებები მთლიანობაში არ უნდა აღემატებოდეს დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილებებს. პერიოდულად, დირექტორთა საბჭომ თითოეული კომიტეტისგან უნდა მიიღოს ანგარიში მისი განხილვებისა და დასკვნების შესახებ.

ამჟამად დირექტორთა საბჭოს ყავს ორი კომიტეტი:

**საკრედიტო კომიტეტი**

კომიტეტი შეიქმნა იმისათვის, რომ დაეხმაროს დირექტორთა საბჭოს მისი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების განტვირთვაში ბიზნეს საქმიანობის კონკრეტულ სფეროებში. კომიტეტი მონიტორინგს უწევს საკრედიტო რისკებთან დაკავშირებულ საკითხებს, ამტკიცებს ინდივიდუალურ ან ჯგუფურ კრედიტებს, ან დელეგირებულ უფლებამოსილებაში შემავალ სხვა საკრედიტო პროდუქტებს, გასცემს რეკომენდაციებს ინდივიდუალური ან ჯგუფური საკრედიტო რისკების შესახებ, გასცემს რეკომენდაციებს საკრედიტო რისკის მართვასთან დაკავშირებით, ახორციელებს სასესიო პორტფელის, სავაჭრო-საფინანსო პორტფელის, საინვესტიციო პორტფელისა და უზრუნველყოფის

პორტფელის მონიტორინგს, მართავს პრობლემურ სესხებს და უზრუნველყოფს სესხის ზარალისაგან დაზღვევის რეზერვის ადეკვატურობას.

კომიტეტს გააჩნია დებულება, რომელიც არეგულირებს მის საქმიანობას და შეიცავს დებულებებს უფლებამოსილების, კომპეტენციების, შემადგენლობის, სამუშაო პროცედურების, უფლება-მოვალეობების ჩარჩოების შესახებ.

**აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი**

კომიტეტი შეიქმნა იმისათვის, რომ დაეხმაროს დირექტორთა საბჭოს მისი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების განტვირთვაში ბიზნეს საქმიანობის კონკრეტულ სფეროებში. კომიტეტი მუშაობს ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პრაქტიკის დანერგვაზე საპროცენტო განაკვეთის რისკების, ლიკვიდურობის რისკებისა და საბაზრო რისკების თვალსაზრისით. ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვა ეფუძნება პოლიტიკას და მითითებებს რისკის აპეტიტის, შემოსავლების მიზნებისა და ამოგების განაკვეთების შესახებ, ისევე, როგორც რისკების მართვას. შემავალი სფეროები მოიცავს კაპიტალის თანაფარდობას, ლიკვიდურობას, აქტივების სტრუქტურას, სესხებისა და დეპოზიტების განაკვეთის პარამეტრებს და საბანკო პორტფელის საინვესტიციო რეკომენდაციებს. კომიტეტის ძირითადი მიზნები მოიცავს ლიკვიდურობის პოზიციების, კაპიტალის კოეფიციენტების შენარჩუნებას დაგეგმილ მინიმუმზე და სადეპოზიტო ბაზის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურის შენარჩუნებას, შემოსავლების საკმარისი ნაკადის გენერირებას მომგებიანობის მიზნების დასაკმაყოფილებლად.

კომიტეტს გააჩნია დებულება, რომელიც არეგულირებს მის საქმიანობას და შეიცავს დებულებებს უფლებამოსილების, კომპეტენციების, შემადგენლობის, სამუშაო პროცედურების, უფლება-მოვალეობების ჩარჩოების შესახებ.

**შიდა აუდიტის დეპარტამენტი**

სს „პაშა ბანკი საქართველო“ შიდა აუდიტის დეპარტამენტი პასუხისმგებელია ბანკის რისკების მართვის, შიდა კონტროლისა და კორპორაციული მართვის პროცესების რეგულარულ, დამოუკიდებელ, ობიექტურ აუდიტზე. დეპარტამენტის ძირითადი ამოცანაა ეფექტიანობის გაზრდა და ბანკის ოპერაციების სრულყოფის უზრუნველყოფა.

შიდა აუდიტის დეპარტამენტი დამოუკიდებელია ბანკის მენეჯმენტისგან და ანგარიშვალდებულია უშუალოდ აუდიტის კომიტეტის წინაშე.

შიდა აუდიტის დეპარტამენტის წესდებაში აღწერილია დეპარტამენტის დანიშნულებასთან, უფლება-მოვალეობებთან, საქმიანობის სფეროსთან, ანგარიშგებასთან და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული საკითხები. შიდა აუდიტის პოლიტიკისა და პროცედურების სახელმძღვანელო განსაზღვრავს ყოვლისმომცველი პოლიტიკის, მეთოდოლოგიის, პროცედურებისა და მითითებების ერთობლიობას რისკებზე დაფუძნებული და დამატებული ღირებულების მქონე აუდიტის ჩატარებისთვის.

რისკების დოკუმენტურ შეფასებაზე დაფუძნებული აუდიტის წლიური გეგმა განიხილება და მტკიცდება აუდიტის კომიტეტის მიერ. აუდიტის დასკვნები ეცნობება აუდიტის კომიტეტს. დეპარტამენტის ბიუჯეტს და კომპენსაციას აუდიტის კომიტეტის წინადადების საფუძველზე განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭო.

შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსს ნიშნავს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო აუდიტის კომიტეტის წარდგინებისა და თანხმობის საფუძველზე. ყველა სხვა თანამშრომელს ნიშნავს დეპარტამენტის უფროსი აუდიტის კომიტეტთან შეთანხმებით.

## ანაზღაურების პოლიტიკა დირექტორებისთვის

2022 წლის 16 მარტსაქციონერთა საერთო კრებამ დაამტკიცა მატერიალური რისკების ამღები პირების ("პოლიტიკა"). პოლიტიკა ადგენს ბანკის აღმასრულებელი და არა აღმასრულებელი მატერიალურად ამღებ პირთა ანაზღაურებასთან დაკავშირებული გადანყვეტილებების სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფს სამართლიან, რისკზე დაფუძნებულ, კორპორაციულ კულტურასთან შესაბამის, კონკურენტუნარიან და შესაბამის ანაზღაურებას იმ ბაზრისთვის, რომელშიც ბანკი მუშაობს. წინამდებარე დებულება უზრუნველყოფს, რომ ანაზღაურება მიზანშეწონილი იყოს ბანკის მატერიალურად ამღებ პირთა მოზიდვის, მოტივაციის, შენარჩუნებისა და სამართლიანად დაჯილდოების მიზნით და შესაბამისად შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის № 215/04 ბრძანებას კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე

### შრომის ანაზღაურების პრინციპები მატერიალური რისკის ამღები პირებისთვის

აღმასრულებელი დირექტორების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, პოლიტიკაში მიღებულია შემდეგი პრინციპები:

- ბანკის აღმასრულებელი დირექტორების ანაზღაურება ხდება მხოლოდ ფიქსირებული ანაზღაურების სახით.
- ბანკის აღმასრულებელ დირექტორებს არ ეძლევათ შესრულებაზე დაფუძნებული ანაზღაურების პრემიები.
- ანაზღაურებაში იძლევა განსხვავდებოდეს რეზიდენტი და არარეზიდენტი აღმასრულებელ დირექტორთა წევრებისთვის. ფიქსირებული ანაზღაურების გარდა, აღმასრულებელ დირექტორთა წევრებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ანაზღაურება, თუ წევრი არის აღმასრულებელი დირექტორის თავმჯდომარე, აღმასრულებელი დირექტორის თავმჯდომარის მოადგილე, აღმასრულებელი დირექტორის კომიტეტის წევრი ან აღმასრულებელი დირექტორის კომიტეტის თავმჯდომარე. სხვაობა აღმასრულებელი დირექტორთა წევრების უმაღლეს წლიურ (დამატებითი ანაზღაურების ჩათვლით) და ყველაზე დაბალ წლიურ ანაზღაურებას შორის არ უნდა იყოს აღმასრულებელი დირექტორის წევრების ყველაზე დაბალი ანაზღაურების 30%-ზე მეტი.
- აღმასრულებელ დირექტორთა თითოეულ წევრს აუნაზღაურდება ყველა გონივრული ხარჯი (მოგზაურობის ხარჯები, მოგზაურობის დაზღვევა, განთავსება და ა.შ.), რომელიც განეულია აღმასრულებელ დირექტორზე ან მმართველი ორგანოების სხვა სხდომებზე

დასწრებასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში თუ აღმასრულებელი დირექტორის და სხვა მმართველი ორგანოთა სხდომები იყოს საქართველოს ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ.

- აღმასრულებელ დირექტორთა თითოეულ წევრს აღმასრულებელი დირექტორის ან სხვა მმართველი ორგანოს წევრის მოვალეობის შესრულებისას აქვს კანონიერი უფლება მოითხოვოს დამოუკიდებელი საკონსულტაციო მომსახურება და აღმასრულებელ დირექტორთა წევრებისთვის განეული ასეთი მომსახურების ხარჯები ანაზღაურდება ბანკის მიერ.
- ბანკს ეკრძალება დადოს ნებისმიერი სახის საკონსულტაციო ხელშეკრულება აღმასრულებელ დირექტორთა წევრებთან და დამატებით გადაიხადოს ბანკისთვის განეული მომსახურებისთვის, რათა არ შელახოს აღმასრულებელ დირექტორთა წევრების დამოუკიდებლობა.

### შრომის ანაზღაურების პრინციპები აღმასრულებელი დირექტორებისთვის

აღმასრულებელი დირექტორების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, პოლიტიკაში მიღებულია შემდეგი პრინციპები:

- აღმასრულებელი დირექტორების ანაზღაურება შედგება ფიქსირებული და შესრულებაზე დაფუძნებული ცვალებადი ანაზღაურებისა და სხვა სარგებლისგან.
- აღმასრულებელ დირექტორებს ეკუთვნით ყოველწლიური ბონუსები პრემიების ფონდიდან იმ პირობით, რომ ისინი აკმაყოფილებენ თავიანთ KPI-ს.
- ბანკის ანაზღაურების სისტემამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას მის მდგომარეობას მარეგულირებელ მოთხოვნებთან კაპიტალის შესაბამისობის თვალსაზრისით. თუ ასეთი არსებითი რისკი მაინც არსებობს, განხილულ უნდა იქნეს დირექტორებისთვის ცვლადი ანაზღაურების გადახდისგან თავის შეკავება.
- შესრულებაზე დაფუძნებული ცვლადი ანაზღაურების წლიური ოდენობა თითოეული აღმასრულებელი დირექტორისთვის არ უნდა აღემატებოდეს მისი ფიქსირებული წლიური ანაზღაურების 100%-ს, ნებისმიერი გონივრული გამონაკლისის გარდა, რომელიც დამტკიცებულია აქციონერთა საერთო კრების მიერ, მაგრამ მაქსიმუმ 200%-ანი ლიმიტით.
- გადავადების პრინციპი - ცვლადი ანაზღაურების არანაკლებ 40% ან - სადაც MRT-ების ცვლადი ანაზღაურება არსებითია (აღემატება ფიქსირებული ანაზღაურების 100%-ს და/ან აღემატება 500,000 ლარს ან მის ეკვივალენტს) - შესაბამისად ცვლადი ანაზღაურების 60% გადაიდება. ვადა მინიმუმ 3 (სამი) წელი. ამ მოთხოვნიდან გადახრა დასაშვებია, თუ პირის წლიური ცვლადი ანაზღაურება არამატერიალურია (არ აღემატება წლიური ფიქსირებული ანაზღაურების 20%-ს).
- გადავადებული ანაზღაურება შეიძლება გადაიხადოს ან/და სრულად დაისაკუთროს გადავადების პერიოდის ბოლოს ან პროპორციულად გადაიხადოს თანაბარ წლიურ შენატანებად გადავადების პერიოდის განმავლობაში. პროპორციული გადახდების შემთხვევაში, გადავადებული ცვლადი ანაზღაურების პირველი შენატანი შეიძლება გადაიხადოს გადავადების პერიოდის დაწყებიდან არა უადრეს ერთი წლისა, ხოლო შემდგომი გადახდა არ უნდა განხორციელდეს 12 თვეში ერთხელ უფრო ხშირად.



აღმასრულებელი დირექტორის საბაზისო ანაზღაურებასთან დაკავშირებით სამეთვალყურეო საბჭოსთვის რეკომენდაციების მომზადებისას, კადრებისა და ანაზღაურების კომიტეტი განიხილავს პასუხისმგებლობას, ქვეყნისთვის სპეციფიკურ ანაზღაურების ნიშნულებს, რეზიდენტობას და მოქმედ კანონმდებლობას. კადრებისა და ანაზღაურების კომიტეტი ხელმძღვანელობს თანაბარი ანაზღაურების პრინციპით.

სხვაობა ანაზღაურებაში შეიძლება გამომდინარეობდეს ისეთი „მატერიალური ფაქტორებიდან“, როგორცაა გადახდის განაკვეთების გეოგრაფიული ვარიაციები, რომლებიც განისაზღვრება ცხოვრების ღირებულებით. კადრების ბაზრის მდგომარეობამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს აღმასრულებელი დირექტორების განსხვავებული ანაზღაურება და შეიძლება წარმოადგენდეს ობიექტურად დასაბუთებულ ეკონომიკურ საფუძველს ანაზღაურების სხვაობისთვის. კადრების და ანაზღაურების კომიტეტი განიხილავს აღმასრულებელი დირექტორების ანაზღაურებას პერიოდულად, მინიმუმ ყოველწლიურად, რათა უზრუნველყოს ანაზღაურების დონეების შენარჩუნება საბაზრო მოლოდინების შესაბამისად. შრომის ანაზღაურებიდან გამოქვითვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. კადრებისა და ანაზღაურების კომიტეტი აცნობებს აქციონერთა საერთო კრებას ამ პოლიტიკისგან გადახრის ყველა შემთხვევის შესახებ, გადახრების მიზეზების მითითებით.

ცვალებად ანაზღაურებაზე შეიძლება გავრცელდეს «clawback» და «malus» შეთანხმებების პირობები. ანაზღაურება შეიძლება დაკორექტირდეს (შემცირდეს ან გაუქმდეს) ბანკის რეალიზებული რისკების გათვალისწინებით ანაზღაურებამდე ან ანაზღაურების დროს. ანაზღაურების კორექტირება (შემცირება ან გაუქმება) შესაძლებელია ანაზღაურების შემდეგ, არასწორი ანგარიშგების გამო ან შიდა პოლიტიკის ან სხვა სამართლებრივი მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო, ან ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა დარღვევების გამო. აღმასრულებელ დირექტორთან შრომითი ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა არ უნდა გახდეს გადახდის გადავადების პერიოდის შეცვლის ან ანაზღაურების კორექტირების საფუძველი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს ცვლადი ანაზღაურების კორექტირების სხვა მიზეზები.

აღმასრულებელი დირექტორის გადადგომის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეაფასოს გადადგომის მიზეზი, რათა მან აუნაზღაუროს აღმასრულებელ დირექტორს შესრულება და არ დააჯილდოვოს იგი წარუმატებლობის შემთხვევაში.

ანაზღაურებასთან დაკავშირებული რისკები გავლენას ახდენს ბანკის საქმიანობის ყველა ასპექტზე, მათ შორის ფინანსურ მაჩვენებლებზე, კულტურაზე, ოპერაციებზე, რეპუტაციაზე და მმართველობაზე. ამ რისკების შესამცირებლად, სამეთვალყურეო საბჭო მოწოდებულია შეინარჩუნოს ანაზღაურების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიის შესაბამისობას, ეფუძნება შესრულების მკაფიო მატრიცას და რეგულირდება სათანადო წესით.

### ბონუსის მიღების შესაძლებლობა

დამტკიცებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, ბანკის დირექტორთა საბჭო უფლებამოსილია მიიღოს წლიური ბონუსები იმ პირობით, თუ განხორციელდება ბიუჯეტით დაგეგმილი წმინდა მოგების 75%. ნებისმიერ გამონაკლისს ამტკიცებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო. მთლიანი ბონუსის ოდენობა გამოითვლება შემდეგი KPI-ებისა და მათი შესაბამისი წონების საფუძველზე:

|   | KPI              | წონა |
|---|------------------|------|
| 1 | ქცევითი KPI      | 10%  |
| 2 | შესრულებითი KPIs | 90%  |

### ქცევითი KPI

ქცევითი KPI არის დირექტორთა საბჭოს ემოციური და სოციალური ინტელექტის 360-გრადუსიანი შეფასება და იკვლევს წევრების შესაძლებლობებს, გამოიყენონ საკუთარი და სხვისი გრძნობები, მოახდინონ საკუთარი თავის მოტივირება და ეფექტურად მართონ საკუთარი და სხვისი ემოციები იგი აღწერს ქცევებს, რომლებიც ეხმარება ადამიანებს რთულ სიტუაციებში, ან როდესაც მათი კარიერა უფრო მომთხოვნი ხდება და ითხოვს ისეთ თვისებებს, რომლებიც ეხმარება ადამიანებს ცვლილებებისადმი ეფექტურად გამკლავებაში.

### შესრულებითი KPI 2022

- მთლიანი შემოსავალი
- NPL + ჩამონერის კოეფიციენტი
- ბიზნეს სესხის პორტფელი
- გაყიდული ბარათების რაოდენობა (კუმულაციური)
- ბარათების წილი, რომლებიც აქტიურია თვეში (საშუალოდ 3 თვე)

### ბონუსის დაანგარიშება

დირექტორთა საბჭოს თითოეული წევრი უფლებამოსილია მიიღოს საბაზისო ბონუსი, რომელიც დაკორექტირებულია ზემოთ მოცემული KPI-ების მეშვეობით შეფასებულ შესრულებაზე დაყრდნობით.

საბაზისო ბონუსი უდრის ან წმინდა მოგების %-ს, ან დირექტორთა საბჭოს წევრის ყოველთვიური მთლიანი ხელფასის ჯერად ოდენობას.

საბაზო ბონუსის კორექტირება გამოითვლება შემდეგი ცხრილის საფუძველზე:

| მიღწევის დონე                        | მიღწევის ქულა | საბაზისო ბონუსის კორექტირება %-ში |
|--------------------------------------|---------------|-----------------------------------|
| მოლოდინის გადაჭარბება                | 4.26-5.00     | 110                               |
| მოლოდინის გამართლება                 | 3.00-4.25     | 100                               |
| თითქმის ისე, როგორც მოსალოდნელი იყო. | 2.76-2.99     | 80                                |
| მოლოდინის ქვემოთ                     | 1.75-2.75     | 60                                |
| მოლოდინზე ძალიან დაბალი              | 0.00-1.74     | 40                                |

| საანგარიშო პერიოდში გაცემული შრომის ანაზღაურება |  |                        |                      |
|---|--|------------------------|----------------------|
|   |  | დირექტორთა საბჭო       | სამეთვალყურეო საბჭო  |
| ფიქსირებული ანაზღაურება                         | თანამშრომლების რაოდენობა                               | 4                      | 3                    |
|   | ჯამური ფიქსირებული ანაზღაურება                         | 1,361,391              | 445,530              |
|   | აქედან ნაღდ ფულად                                      | 1,294,498 <sup>1</sup> | 445,530 <sup>2</sup> |
|   | აქედან: გადავადებული.                                  |                        |                      |
|   | აქედან: აქციები ან აქციებზე მიბმული სხვა ინსტრუმენტები |                        |                      |
|   | აქედან: გადავადებული.                                  |                        |                      |
|   | აქედან სხვა ფორმები                                    | 66,892 <sup>3</sup>    |                      |
|   | აქედან: გადავადებული.                                  |                        |                      |
| ცვლადი ანაზღაურება                              | თანამშრომლების რაოდენობა                               | 4                      |                      |
|   | ჯამური ფიქსირებული ანაზღაურება                         | 1,127,041              | 0                    |
|   | აქედან ნაღდ ფულად                                      | 1,088,112 <sup>4</sup> |                      |
|   | აქედან: გადავადებული.                                  | 336,380                |                      |
|   | აქედან: აქციები ან აქციებზე მიბმული სხვა ინსტრუმენტები |                        |                      |
|   | აქედან: გადავადებული.                                  |                        |                      |
|   | აქედან სხვა ფორმები                                    | 38,929 <sup>5</sup>    |                      |
|   | აქედან: გადავადებული.                                  |                        |                      |
| ჯამური ანაზღაურება                              |  | 2,488,432              | 445,530              |

- 1 მოცემული თანხა შედგება დირექტორთა საბჭოს 4 წევრის ფიქსირებული ანაზღაურებისაგან - ერთი ყოფილი წევრისგან, რომელმაც დატოვა ბანკი 2022 წლის მესამე კვარტალში და სამი ამჟამინდელი წევრისგან.
- 2 მომთხოველი თანხა მოიცავს სამეთვალყურეო საბჭოს სამი წევრის ფიქსირებულ ანაზღაურებას: საბჭოს თავმჯდომარისა და ორი დამოუკიდებელი წევრისას
- 3 დირექტორთან შეთანხმებით განსაზღვრული დაზღვევა, განთავსება და სხვა შეღავათები.
- 4 2022 წლის პრემიები (296,593), 2022 წელს მინიჭებული და გადავადებული ბონუსი (791519.2)
- 5 მოგზაურობასთან, სპორტთან, კორპორაციულ ღონისძიებებთან და გუნდურ მუშაობასთან დაკავშირებული ხარჯები

## საბჭოს გადაწყვეტილებისთვის განკუთვნილი საკითხების გრაფიკი

| მოვალეობები და პასუხისმგებლობა:  | საჭირო კვორუმი      |
|--|---------------------|
| 1. ბანკის სტრატეგიული ზედამხედველობა და კონტროლი;  | N/A                 |
| 2. კორპორაციული სტრატეგიის და სტრატეგიული მიზნების დამტკიცება, სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი სტრატეგიულ მიზნებთან და საოპერაციო გეგმებთან მიმართებაში;         | მარტივი უმრავლესობა |
| 3. ბიზნეს გეგმის დამტკიცება, ბიზნეს გეგმის შესრულების მონიტორინგი;   | მარტივი უმრავლესობა |
| 4. ყოველწლიური ბიუჯეტის დამტკიცება, ყოველწლიური ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგი;   | მარტივი უმრავლესობა |
| 5. ახალი საბანკო/კომერციული საქმიანობის დაწყება და არსებული საქმიანობის შეწყვეტა ან შეჩერება;  | მარტივი უმრავლესობა |
| 6. ახალი საწარმოებისა და ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;  | მარტივი უმრავლესობა |
| 7. სხვა კომპანიებში აქციების შეძენა და გასხვისება;   | მარტივი უმრავლესობა |
| 8. ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცება;  | მარტივი უმრავლესობა |
| 9. ეთიკის კოდექსის დამტკიცება და მხილების პროცედურები;   | მარტივი უმრავლესობა |
| 10. აქციონერთა კრების გადაწყვეტილების თანახმად გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ; | მარტივი უმრავლესობა |
| 11. შუალედური დივიდენდის გამოცხადება და საბოლოო დივიდენდის რეკომენდაცია;   | მარტივი უმრავლესობა |
| 12. ბანკის მიერ აქციების გამოსყიდვა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;   | მარტივი უმრავლესობა |
| 13. რისკების მართვის საქმიანობის სტრატეგიული ზედამხედველობა;   | N/A                 |
| 14. რისკის აპეტიტის შესახებ განცხადების დამტკიცება, წლიური განხილვების ჩატარება;   | მარტივი უმრავლესობა |
| 15. ბიზნეს უწყვეტობის გეგმის დამტკიცება;   | მარტივი უმრავლესობა |
| 16. კონფლიქტის ან შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის და დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების განხორციელების ავტორიზაცია;  | მარტივი უმრავლესობა |
| 16.1. გარიგებები დაკავშირებულ იურიდიულ პირებთან;   | მარტივი უმრავლესობა |
| 16.2. გარიგებები დაკავშირებულ პირებთან;  | მარტივი უმრავლესობა |
| 16.3. შეთანხმებები დაკავშირებულ იურიდიულ პირებთან;   | მარტივი უმრავლესობა |
| 16.4. დაკავშირებული მხარისთვის ნაღდი ფულით დაფარული საკრედიტო პროდუქტების (მათ შორის, სავაჭრო-საფინანსო პროდუქტების) დამტკიცება;                                   | მარტივი უმრავლესობა |
| 17. ინტერესთა კონფლიქტთან და დაკავშირებულ მხარეთა გარიგებებთან დაკავშირებული პოლიტიკის, სტანდარტებისა და პროცედურების დამტკიცება;                                  | მარტივი უმრავლესობა |
| 18. დირექტორთა საბჭოს სტრუქტურის, რაოდენობისა და შემადგენლობის დამტკიცება, მისი წევრების დანიშნვისა და გათავისუფლების ჩათვლით;                                     | მარტივი უმრავლესობა |
| 19. დირექტორთა საბჭოს წევრების უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა, მათი საქმიანობის მონიტორინგი და ზედამხედველობა, დირექტორთა საბჭოდან ანგარიშების გამოთხოვა;   | მარტივი უმრავლესობა |
| 20. დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის გადაბარების პოლიტიკისა და გადაბარების გეგმების დამტკიცება;  | მარტივი უმრავლესობა |
| 21. შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება და დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების პაკეტების განსაზღვრა;   | მარტივი უმრავლესობა |
| 22. თანამშრომლებისთვის, მათ შორის ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის, პრემიების ან/და დამატებითი სარგებლის განსაზღვრის მარეგულირებელი ჩარჩოს დამტკიცება;        | მარტივი უმრავლესობა |



|     |  |                     |
|-----|--|---------------------|
| 23. | სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების სტრუქტურის, ზომის და შემადგენლობის დამტკიცება, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების წევრების დანიშვნა და განთავისუფლება; სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების ანგარიშების განხილვა;   | მარტივი უმრავლესობა |
| 24. | გარე აუდიტორების არჩევა;   | მარტივი უმრავლესობა |
| 25. | სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და დათხოვნა.   | მარტივი უმრავლესობა |
| 26. | კორპორაციული მდივნის დანიშვნა და განთავისუფლება;   | მარტივი უმრავლესობა |
| 27. | ბანკის მიერ სესხების მოზიდვა;  | მარტივი უმრავლესობა |
| 28. | ბანკის ან ნებისმიერი მესამე პირის სესხების ან სხვა ვალდებულებების უზრუნველყოფა, თუ ისინი სცილდება ბანკის რეგულარული ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებს;  | მარტივი უმრავლესობა |
| 29. | დაკრედიტებისა და ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების გაცემა (თანხით; ვადიანობით);  | მარტივი უმრავლესობა |
| 30. | საკრედიტო აქტივის გაყიდვა, მისი თანხის გაუთვალისწინებლად, თუ: ეს არის საკრედიტო აქტივების კოლექტიური გაყიდვა (ერთზე მეტი საკრედიტო აქტივის ერთდროულად გაყიდვა); ბანკი იზარალებს ამ საკრედიტო აქტივის გაყიდვიდან, და გაყიდვის თანხა აღემატება დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების ფარგლებს; | მარტივი უმრავლესობა |
| 31. | სესხის რესტრუქტურის დამტკიცება;  | მარტივი უმრავლესობა |
| 32. | სესხის ჩამოწერის დამტკიცება;   | მარტივი უმრავლესობა |
| 33. | ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენისა და გასხვისების წესის დამტკიცება;   | მარტივი უმრავლესობა |
| 34. | ობლიგაციების გამოშვების დამტკიცება;  | მარტივი უმრავლესობა |
| 35. | ადმინისტრაციული ხარჯების დამტკიცება;   | მარტივი უმრავლესობა |
| 36. | ნაღდი ფულის ლიმიტების დამტკიცება;  | მარტივი უმრავლესობა |
| 37. | კაპიტალდაბანდების განხორციელება საჯარო კომპანიებში;  | მარტივი უმრავლესობა |
| 38. | ნებისმიერი კაპიტალდაბანდების განხორციელება კერძო კომპანიებში;  | მარტივი უმრავლესობა |
| 39. | ბანკის წესდების ტიპის, ჩარჩოს ტიპის და პოლიტიკის ტიპის დოკუმენტების დამტკიცება და შესწორება;   | მარტივი უმრავლესობა |
| 40. | პირობების და წესების განსაზღვრა და დამტკიცება, რომელიც გამოიყენება ბანკის თანამშრომლებისთვის საკრედიტო რესურსებთან და დეპოზიტებთან მიმართებაში;  | მარტივი უმრავლესობა |
| 41. | აქციონერთა საერთო კრების მოწვევა, თუ ითვლება, რომ ეს საჭიროა "ბანკის" ინტერესებისათვის;  | მარტივი უმრავლესობა |
| 42. | ზედამხედველობის განწესება და ბანკის წარმომადგენლობა დირექტორთა საბჭოს წევრებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში;  | მარტივი უმრავლესობა |
| 43. | საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, ბანკის სახელით დირექტორთა საბჭოს წევრების წინააღმდეგ სამართლებრივი დავის წარმოება, საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე დირექტორთა საბჭოს წევრების მიმართ სარჩელის წარდგენა, თუ საკითხი ეხება დირექტორთა საბჭოს წევრების პასუხისმგებლობას;                             | მარტივი უმრავლესობა |
| 44. | შესაბამისი ზომების დანერგვის ზედამხედველობა შიდა და გარე აუდიტორის შემოწმების შედეგების მიხედვით, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგების მიხედვით;   | მარტივი უმრავლესობა |
| 45. | გადაწყვეტილებების მიღება იმ საკითხებზე, რომელიც სცდება დირექტორატის უფლებამოსილების ფარგლებს;  | მარტივი უმრავლესობა |
| 46. | აქციონერთა კრების მოთხოვნით სხვა მოვალეობების შესრულება.   | მარტივი უმრავლესობა |

# რისკი და კონტროლის მექანიზმები



ბანკი ისწრაფვის შეიმუშაოს საიმედო, ეფექტური და ყოვლისმომცველი რისკის მართვის სტრატეგია და პროცესები შიდა კაპიტალის ოდენობის, ტიპის და განაწილების უწყვეტი შეფასების და შენარჩუნების მიზნით, რომელსაც ბანკი ადევნებდა თვლის იმ რისკების ბუნების და დონის დასაფარად, რომლის წინაშეც დგას ან შესაძლოა დადგეს.

აღნიშნული სტრატეგია და პროცესები ექვემდებარება რეგულარულ გადახედვას იმისათვის, რომ შენარჩუნდეს მათი ადეკვატურობა ბანკის საქმიანობების ბუნების, მასშტაბის და სირთულის შესაბამისად. რისკის მართვა ხელს უწყობს ბანკის სტრატეგიიდან გამომდინარე რისკების დადგენას, შეფასებას და მართვას. ღირებულების შემცირების ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი არის იმის შესაძლებლობა, რომ აღნიშნული სტრატეგია მხარს არ უჭერს ბანკის მისიას და ხედვას, და ასევე სტრატეგიის შედეგებს. რისკის მართვა ხელს უწყობს სტრატეგიის შერჩევას. სტრატეგიის შერჩევა მოითხოვს კონსტრუქციული გადანწყვეტილების მიღებას, რომელიც მოახდენს რისკების ანალიზს და რესურსების ბანკის მისიისა და ხედვასთან შესაბამისობაში მოყვანას. რისკის მართვის სტრატეგია მხარს უჭერს ბანკის მისიას და ხედვას და გამოიყენებს შესაძლებლობას, რომ ბანკმა ვერ შეძლოს თავისი მისიის და ხედვის რეალიზება, ან საფრთხე შეექმნას მის ღირებულებებს სტრატეგიის წარმატებით განხორციელების შემთხვევაშიც. რისკის მართვა ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ სტრატეგია არ შეესაბამებოდეს ბანკის მისიას და ხედვას, ან შერჩეული სტრატეგიის შედეგებს. სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო განსაზღვრავს მოქმედებს თუ არა სტრატეგია ბანკის რისკის აპატიტთან შესაბამისობაში და როგორ ეხმარება ბანკს მიზნების დასახვაში და რესურსების ეფექტურად განაწილებაში. რისკის მართვის სტრატეგია გამომდინარეობს ბიზნეს სტრატეგიიდან, ბიზნეს სტრატეგიის ყველა ფაქტორი გათვალისწინებულია რისკის პროფილის ანალიზის მიზნებისთვის. ბანკი მართავს რისკებს დაცვის სამი ხაზის მოდელის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს კომუნიკაციების გაუმჯობესების ეფექტურ საშუალებას რისკის მართვის და კონტროლის შესახებ არსებითი ფუნქციების და მოვალეობების განსაზღვრის საფუძველზე. დაცვის სამი ხაზის მოდელი აუმჯობესებს ინფორმირებულობას რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შესახებ და ხელს უწყობს რისკის მართვის სისტემების ეფექტურობას.

დაცვის სამი ხაზის მოდელი განასხვავებს რისკის ეფექტურ მართვაში ჩართულ სამ ჯგუფს (ან ხაზს):

- ფუნქციები, რომლებიც ფლობენ და მართავენ რისკებს;
- ფუნქციები, რომლებიც ზედამხედველობენ რისკებს;
- ფუნქციები, რომლებიც უზრუნველყოფენ დამოუკიდებლობის გარანტიას.

ბიზნეს ხაზები და ოპერაციების ერთეულები ახორციელებენ საქმიანობებს, რომელიც ქმნის რისკს და ახდენს რისკის პრევენციას. პირველი ხაზი ფლობს და მართავს რისკებს და კონტროლების მექანიზმებს პოლიტიკების, პროცედურების და მონიტორინგის პროცესების მეშვეობით ყოველდღიური ოპერაციების ფარგლებში, რაც ხელს უწყობს რისკების პრევენციას ან შემცირებას.

დაცვის მეორე ხაზი პირველ ხაზთან ერთად ხელს უწყობს მაღალი რგოლის მენეჯმენტს რისკებისა და კონტროლის მექანიზმების ეფექტურ ფუნქციონირებაში.

დაცვის მესამე ხაზი - შიდა აუდიტი განცალკევებული და დამოუკიდებელი ფუნქცია, რომელიც განყენებულია დაცვის პირველი და მეორე ხაზებისგან, ის უზრუნველყოფს რწმუნებულებას, როგორც უმაღლესი მენეჯმენტის, ასევე დირექტორთა საბჭოს წინაშე ორგანიზაციის საქმიანობებთან დაკავშირებით.

ბანკის რისკის მართვის პროცესში მთავარი დაინტერესებული მხარეების ძირითადი ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოცემულია ქვემოთ:

## სამეთვალყურეო საბჭო

- ამტკიცებს რისკის აპეტიტის დოკუმენტს, და რისკის მართვის პოლიტიკას,
- ახორციელებს რისკის ზედამხედველობას რისკის ასპექტების გათვალისწინების მიზნით სტრატეგიული გადანწყვეტილების მიღების პროცესში და რისკის ურთიერთქმედებების განხილვას ბიზნეს ერთეულების ფარგლებში.

## რისკის მართვის კომიტეტი

- განიხილავს რისკის მართვის პოლიტიკებს და რისკის აპეტიტს;
- ამტკიცებს რისკის შეფასებებს, გაცემს დირექტივებს რისკის დამუშავების შესახებ რისკის დონეების შენარჩუნებისთვის განსაზღვრული ტოლერანტობის ზღვრების ფარგლებში და ამტკიცებს რისკის დამუშავების პარამეტრებს;
- უზრუნველყოფს შესაბამისი პროცესების და შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას ადგილზე რისკების დადგენის, შეფასების, გაზომვის, მონიტორინგის და ანგარიშგების მიზნით.

## დირექტორთა საბჭო

- იღებს საერთო პასუხისმგებლობას და ანგარიშვალდებულებას რისკის მართვის ფუნქციაზე;
- უზრუნველყოფს სათანადო ბალანსს რისკსა და შემოსავლებს შორის ბანკში რისკის აპეტიტის შესაბამისად;
- უზრუნველყოფს საჭირო რესურსებს რისკის მართვის მიზნების და ამოცანების შესასრულებლად.
- იღებს ვალდებულებას რისკის მართვის ეფექტურობის მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე.



## რისკების მართვის ფუნქცია

- ახორციელებს რისკის მართვის (RM) პროგრამის შემუშავებას, განხორციელებას და ადმინისტრირებას. ის ითვალისწინებს რისკის მართვის (RM) პოლიტიკის შემუშავებას და დაცვას, მთავარი რისკების დადგენას, რომლის ანგარიშგება უნდა მოხდეს კორპორატიულ დონეზე, რისკის მართვის პროცესების და პროცედურების, ინსტრუმენტების და საინფორმაციო სისტემების კოორდინაციას, რისკის ანალიზს და დამუშავებას რისკზე პასუხისმგებელ პირებთან, საერთო ინტეგრირებული რისკის პორტფელის გამოთვლას, კორპორატიული რისკების და რისკის პორტფელის შესახებ ანგარიშგებას რისკის მართვის კომიტეტის წინაშე, რისკის მართვის პროგრამის შესრულების მონიტორინგს და ორგანიზაციის რისკის მართვის შესაძლებლობის გაუმჯობესებას კომუნიკაციის და ტრენინგის მეშვეობით.
- რისკის მართვის (RM) შესახებ კომუნიკაციის დამყარება ყველა დონეზე. მონაცემების შეგროვება და რისკის შესახებ ანგარიშების შემუშავება რისკის მართვის კომიტეტისთვის და სხვა პირებისთვის, რომელსაც მიუთითებს რისკის კომიტეტი.
- პროფესიული კონსულტაციის ჩატარება რისკის მართვის შესახებ. არსებული და ახალი რისკის მართვის პრაქტიკის შესახებ რჩევის და დირექტივის მიცემა, რეკომენდაციების გაცემა და სავალდებულო გაუმჯობესებების განხორციელება.
- რისკის მართვის მაჩვენებლების ანალიზი და შედეგების ანგარიშგება. რისკების რაოდენობრივი შეფასება და პრიორიტეტებად დაყოფა, გადაწყვეტილების მიღების ანალიტიკის, დაშვებების და მეთოდოლოგიების დასაბუთება, რისკების ანგარიშგება და გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ანგარიშგების შესახებ სრული და ზუსტი ინფორმაციის უზრუნველყოფა.
- რაოდენობრივი მეთოდების და მოდელების გამოყენება და შენარჩუნება, რომელიც ხელს უწყობს რისკის მოვლენების (როგორცაა „მოვლენების ხის მოდელი“) ალბათობის და სიმძიმის შეფასებას.
- რისკების დადგენის, გაზომვის, მონიტორინგის და ანგარიშგების პროცესის ხელშეწყობა;
- რისკის აპეტიტის დოკუმენტის შედგენა / გადახედვა ჯგუფის რისკის აპეტიტთან (RAS) შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- რისკის აპეტიტის დოკუმენტის (RAS) განაწილება/კასკადირება შესაბამის დონეებზე ორგანიზაციაში (ე.ი. „სათამაშო მოედნის“ განსაზღვრა განყოფილებებისთვის);
- ლიმიტის სტატუსის / დარღვევების უწყვეტი გადახედვა / ანგარიშგება და პრევენციული ზომების მიღება რისკის აპეტიტის დარღვევების თავიდან აცილების მიზნით;
- რისკის მართვის დოკუმენტის (RAS) დარღვევების შემთხვევაში, რისკის შემცირების გეგმის შეთავაზება და განხორციელება;
- ბანკში წახალისებების რისკის აპეტიტთან შესაბამისობაში მოყვანა;
- რისკის აპეტიტის, სტრატეგიის და კაპიტალის განაწილების შესაბამისობის უზრუნველყოფა ბანკის ფარგლებში (მათ შორის ბიუჯეტირების და ბიზნეს დაგეგმვის ციკლების);
- რისკის კულტურის შეფასება ბანკის სხვადასხვა დონეზე.

## რისკის აპეტიტი

რისკის აპეტიტის განსაზღვრის პროცესი მიზნად ისახავს ბანკის რისკების მართვის შესაძლებლობების გაზრდას რათა უზრუნველყოს რისკების შესაბამისობა სტრატეგიულ მიზნებთან. რისკის აპეტიტთან დაკავშირებული მიზნები განსაზღვრავს რისკის დონეს, რომელიც მისაღებია ბანკისთვის ქმნის ღირებულების მაქსიმიზაციის შესაძლებლობებს გარკვეულ ფარგლებში, აწესებს რისკების სისტემატურ კონტროლს და იძლევა რისკების დროულად შემცირების საშუალებას.

რისკის აპეტიტის დოკუმენტი (RAS) რისკის მართვის ეფექტური პროგრამის ცენტრალური ელემენტია და დაკავშირებულია ბანკის საერთო რისკის მართვის ფილოსოფიასთან და სტრატეგიულ ამბიციებთან. მკაფიოდ ფორმულირებული რისკის აპეტიტის (RAS) დოკუმენტის შემუშავების მიზანია იმ რისკების დონის და ბუნების ზუსტი განსაზღვრა, რომელიც მისაღებია ბანკისთვის, რომ შეასრულოს მისი მკაფიოდ ფორმულირებული მისია თავისი აქციონერების სახელით იმ შეზღუდვების გათვალისწინებით რაც დაწესებულია აქციონერების, კრედიტორების, მარეგულირებლების და სხვა დაინტერესებული პირების მიერ. რისკის აპეტიტის დოკუმენტის (RAS) საფუძველზე ბანკს შეუძლია განსაზღვროს კონკრეტული დასაშვები ზღვრები თავისი საქმიანობის ფარგლებში და ამ სახით დაუკავშიროს მართვის პროცესები საერთო მართვის პროცესებს.

### რისკის აპეტიტი მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- გონივრული რისკის მიღება რისკის შეფასების და კონტროლის გარემოს გათვალისწინებით;
- საუკეთესო პრაქტიკის გამოყენება ბანკის ზომის და სირთულის შესაბამისად;
- პირდაპირი რისკების მართვის გათვალისწინება ბიზნესის დაგეგმვისა და პროექტის განვითარების საქმიანობაში;
- სებ-ის მოთხოვნების და ბანკის აქციონერების მოთხოვნების და მითითებების შესრულება.

რისკის მიღების საერთო პრინციპები უნდა აისახოს ყველა წესსა და პოლიტიკაში და გამოყენებულ იქნას ბანკის ფარგლებში.

რელევანტური რისკის ფაქტორების პოზიციების შესაფასებლად ობიექტური კრიტერიუმების დადგენის მიზნით, რისკის მართვის პოლიტიკა წარმოდგენილია რაოდენობრივი მაჩვენებლების/ლიმიტების მიხედვით ბანკის რისკის აპეტიტის სტრუქტურის ფარგლებში.

ბანკი შეიმუშავებს რისკის აპეტიტის სტრუქტურას თავისი ბიზნეს და რისკის სტრატეგიის საფუძველზე.

რისკის აპეტიტის დოკუმენტი (RAS) მოიცავს ხარისხობრივ/თვისობრივ, ასევე რაოდენობრივ მაჩვენებლებს შემოსავლების, კაპიტალის, რისკის ზომის, ლიკვიდურობისა და სხვა რელევანტურ შეფასებების შესაბამისად.

### რისკის აპეტიტი მოიცავს შემდეგ ელემენტებს:


- მომგებიანობა არის მთავარი მიზანი, თუმცა საკრედიტო სტანდარტები არ უნდა დაირღვეს საოპერაციო მოგების შესრულების გამო. უმაღლესი პრიორიტეტი ენიჭება სათანადოდ დაბალანსებულ და მაღალი ხარისხის საკრედიტო პორტფელს.



ქვემოთ მოცემულ ჩამონათვალში მითითებულია პაშა ბანკის რისკის აპეტიტის დოკუმენტით (RAS)- კაპიტალი/გადახდისუნარიანობა – ბანკი საქმიანობას განახორციელებს საკმარისი და სათანადო კაპიტალის ბაზით, არა მხოლოდ მარეგულირებელი მოთხოვნების შესრულების, ასევე ბანკის დაცვის მიზნით პოტენციური რყევებისგან, ზრდის პოტენციალის შეფერხების გარეშე. ბანკი რეგულარულად ჩაატარებს სტრეს-ტესტებს ადეკვატურობის შენარჩუნების მიზნით.

- ლიკვიდურობა – ბანკი უზრუნველყოფს ლიკვიდურობის მაღალ დონის შენარჩუნებას, რათა მოახდინოს მოკლევადიანი და საშუალოვადიანი ბაზრის მასშტაბით ლიკვიდურობის სტრესული მოვლენების დაძლევა, დივერსიფიცირებული და სტაბილური დაფინანსების წყაროების არსებობა.
- საკრედიტო რისკი – ბანკი მიზნად ისახავს კარგად დივერსიფიცირებულ საკრედიტო პორტფელის შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს დადებით წმინდა შემოსავალს კონსოლიდირებულ დონეზე, მძიმე, მაგრამ რეალისტური სტრესის დროს. ამისათვის, ბანკი ინარჩუნებს ანდერრაიტინგის თანმიმდევრულ სტანდარტებს, რომელიც დამოკიდებულია რისკის აპეტიტზე და არა საბაზრო შესაძლებლობებზე; ბანკი იყენებს სათანადო კონცენტრაციის ლიმიტებს და ახორციელებს მკაცრ მონიტორინგს.
- საბაზრო რისკი – ბანკი უზრუნველყოფს რომ VaR და Stressed VAR შესაბამისად არის დაფარული კაპიტალით. VaR სტრეს სცენარის გათვალისწინებით.. ბანკი მუდმივად აკონტროლებს თავის სავალუტო პოზიციას რათა თავი დაიცვას პოტენციური გაუფასურებისგან.
- რეგულატორის რისკი – ბანკი უზრუნველყოფს ღია რეგულატორული დასკვნებისა და ახალი სამართლებრივი საკითხების რაოდენობა შენარჩუნდეს მისაღებ დონეზე.
- რეპუტაციული რისკი – ბანკს აქვს ნულოვანი ტოლერანტობა რისკებთან, რომელიც დაკავშირებულია ნეგატიური ინფორმაციის გავრცელებასთან, მიუღებელ ბიზნეს პრაქტიკებთან, კონფიდენციალობის დარღვევებთან და შიდა თაღლითობასთან.

### რისკის მართვის განყოფილების ორგანიზაციული სტრუქტურა



## რისკის ტიპები, მართვა და კაპიტალის განაწილება

### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი მიუთითებს ზარალის საფრთხეზე, რომელიც გავლენას ახდენს ბანკის მომგებიანობაზე და კაპიტალის პოზიციამზე და წარმოიშვება პარტნიორების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად

ბანკის საკრედიტო პოლიტიკა და საკრედიტო სტანდარტი არეგულირებს სესხის გაცემის პროცესს და მოიცავს საკრედიტო რისკის მართვის პრინციპებს და ქმედებებს სესხის გაცემასთან დაკავშირებული რისკების შესარბილებლად. საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

- ბანკის დაცვა საკრედიტო ოპერაციებიდან წარმოქმნილი შესაძლო ზარალისგან;
- საკრედიტო საქმიანობების დაგეგმვის და ორგანიზების საბაზო პრინციპების განსაზღვრა და სასურველი სესხის პორტფელის შექმნა;

საკრედიტო მიზნების მისაღწევად ბანკი მისდევს ქვემოთ ჩამოთვლილ ძირითად პრინციპებს:

- უფლება-მოვალეობების განაწილება: პასუხისმგებლობები მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ბექ ოფისსა და ფრონტ ოფისს შორის;
- ოთხი თვალის პრინციპი და ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის პრინციპი დაცული უნდა იყოს საკრედიტო ციკლის ყველა დონეზე;
- რისკის ცნობადობა კრედიტის შეფასებისას და მოგვიანებით, რისკის ზეგავლენის მართვისას არსებითი გაუფასურების და ზარალის თავიდან აცილების მიზნით;
- ოპერირება რისკის მართვის საიმედო და პროფესიული მიდგომით და კონტროლის საშუალებებით, რისკის მიღების და რისკის სათანადო მართვის სახით.

საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიზნები და მთავარი პრინციპები მიიღწევა შემდეგი ქმედებების პროცესში:

- ეფექტური საკრედიტო პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება;
- შესაბამისი თანამშრომლებისთვის სათანადო ინსტრუქციების და ტრენინგის უზრუნველყოფა;
- მომხმარებელთა ბაზის გაზრდა და დივერსიფიკაცია;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესის ეფექტურობის უზრუნველყოფა;
- საკრედიტო რისკის ეფექტური მართვის უზრუნველყოფა;
- გარეშე ფაქტორების მონიტორინგი, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს საკრედიტო გადაწყვეტილებაზე ან პორტფელის ხარისხზე;
- პორტფელის დონეზე დაძაბულობის ტესტების ჩატარება;
- ოპტიმალური რისკისა და საკრედიტო პროდუქტების დაბრუნების კოეფიციენტის მართვა;
- საკრედიტო პორტფელის გაუმჯობესება და ოპტიმიზაცია;
- მოსალოდნელი სასესხო ზარალის შეფასება და დაფარვის რეზერვის (LLP) ადეკვატური დონის უზრუნველყოფა;
- მოულოდნელი სასესხო ზარალის შეფასება ადეკვატური კაპიტალის უზრუნველყოფა;
- საკრედიტო პროცესის შესაბამისობის უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობასთან და საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან.

რისკის მიღების ყველა შემთხვევაში, კლიენტის კრედიტუნარიანობა უნდა შეფასდეს და გაკონტროლდეს საკრედიტო პოზიციის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში საკრედიტო პოლიტიკის შესაბამისად. პორტფელის ხარისხის ანგარიშებს რეგულარულად წარედგინება დირექტორთა საბჭოს. საკრედიტო რისკთან დაკავშირებული კაპიტალის მოთხოვნები გამოითვლება ბანკის მიერ ბაზელი III-ის მოთხოვნების საფუძველზე, სტანდარტიზებული მიდგომის გამოყენებით. მოსალოდნელ ზარალთან დაკავშირებით, ბანკი გამოთვლის რეზერვებს და მოახდენს აქტივების კლასიფიკაციას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS 9) საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ ბანკი საკრედიტო რისკს თვლის ყველაზე არსებით და ყველაზე მნიშვნელოვან ტიპის რისკად, მონაცემების არარსებობის გამო, საკრედიტო რისკის კაპიტალის მოთხოვნების გამოთვლის მონიავე მეთოდოლოგიის გამოყენება მეტისმეტი დატვირთვა იქნება ბანკისთვის. ბანკი იყენებს შიდა და გარე სარეიტინგო სისტემებს საკრედიტო რისკის შესაფასებლად, როგორცაა Moody's, Fitch და S&P.

**უცხოური ვალუტის გაცვლით გამონვეული საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი წარმოიშობა გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელიც ზიანს აყენებს კლიენტის გადახდისუნარიანობას. კლიენტის ინდივიდუალური შეფასება ხორციელდება საკრედიტო პოლიტიკის შესაბამისად. გარდა ამისა, გამოიყენება რეგულატორის მიერ განსაზღვრული ლიმიტები და ხორციელდება სენსიტიური ანალიზი.

ღია უცხოური ვალუტის პოზიციის ბალანსი გამოითვლება შემდეგნაირად; რისკების შეფასების რესურსს დამატებული სავალუტო საკრედიტო რისკი (CICR), ამასთანავე, პროცესში ჩართულია დაუცველი უცხოური ვალუტის გათვლები.

**კონტრაგენტის საკრედიტო რისკი**

კონტრაგენტის საკრედიტო რისკი არის საკრედიტო რისკის ქვე-ჯგუფი და ძირითადად ფასდება საკრედიტო დერივატივებისთვის (ე.ი. ფიუჩერსები, ფორვარდული ხელშეკრულებები, სვოპ-გარიგებები, ოფციონები და ბალანსგარეშე ვალდებულებები წარმოიშობა სხვა მსგავსი კონტრაქტებიდან) CAR-ის 50-ე მუხლის შესაბამისად. კონტრაგენტის რისკი არის რისკი, როდესაც გარიგების კონტრაგენტი არ შეასრულებს ვალდებულებას, გარიგების ფულადი სახსრების საბოლოო ანგარიშსწორებამდე. ბანკის დირექტორთა საბჭო განსაზღვრავს კონტრაგენტის სალიმიტო სისტემას სახაზინო გარიგებებისთვის ბანკის პარტნიორებთან (ბანკები, ფინანსური ინსტიტუტები) მიმართებაში. აღნიშნული ლიმიტები გადაიხედება მინიმუმ წელიწადში ერთხელ და ნებისმიერ დროს, როდესაც იდენტიფიცირდება რელევანტური ინფორმაცია კონტრაგენტის შესახებ.

კაპიტალის მოთხოვნა პილარ 1-ის შესაბამისად გამოითვლება საკრედიტო რისკის მიხედვით, CAR-ის მიერ განსაზღვრული რისკის პოზიციის გამოთვლის ლოგიკის საფუძველზე (თავდაპირველი მეთოდი), ბანკი იყენებს აღნიშნულ მიდგომას პილარ 1-ის შესაბამისად.

**ქვეყნის რისკი**

ქვეყნის რისკი მიუთითებს პოტენციურ ზარალს, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას (ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა) მოვლენის საფუძველზე, რომელსაც ადგილი ექნება კონკრეტულ ქვეყანაში, სადაც ასეთი მოვლენა შეიძლება გაკონტროლდეს ამ ქვეყნის (მთავრობის) მიერ, მაგრამ არა კრედიტორის / ინვესტორის მიერ. ბანკის ბიზნეს სტრატეგიის შედეგად (მეზობელი ქვეყნების (მაგალითად, აზერბაიჯანი, თურქეთი) ვაჭრობის დაფინანსებისა და სხვა მომსახურებების მქონე კომპანიების მომსახურებით ბანკი

დგას ქვეყნის რისკის წინაშე. ბანკის ICAAP განმარტავს ქვეყნის რისკს, თუმცა, როგორც წესი, იგი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მოხდეს დამატებითი კაპიტალის გამოთხოვა.

**საოპერაციო რისკი**

საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც ბანკის პოტენციური ზარალის რისკი, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მომგებიანობაზე და კაპიტალის პოზიციამზე. საოპერაციო რისკი შესაძლოა წარმოიქმნას არაადეკვატური შიდა პროცესებიდან ან სისტემებიდან, გარეშე მოვლენებიდან, თანამშრომლის არაადეკვატური საქმიანობიდან, საკანონმდებლო დებულებების, კონტრაქტების და შიდა რეგულაციების დარღვევის ან შეუსრულებლობის შედეგად. საოპერაციო რისკი მოიცავს იურიდიულ რისკს, მაგრამ გამორიცხავს რეპუტაციულ და სტრატეგიულ რისკს.

საოპერაციო რისკის მართვის მიზანია ბანკის საოპერაციო რისკის პოზიციის ფარგლების დადგენა, მისი გამომწვევი ფაქტორების განსაზღვრა, კაპიტალის განაწილება და ტენდენციების დადგენა შიდა და გარე ფარგლებში, რომელიც ხელს შეუწყობს მის პროგნოზირებას. ბანკისთვის მნიშვნელოვანია მიიღოს ზომები თაღლითობის პრევენციისთვის, შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ინტეგრაცია და შეამციროს შეცდომები ტრანზაქციებში. ამ მიზნისთვის ბანკმა შეიმუშავა და დანერგა თაღლითობის რისკების მართვის პროგრამა. რომლის მიზანია ისეთი კორპორატიული კულტურის განვითარება და გარემოს შექმნა, რომელიც შეამცირებს თაღლითობის მოხდენის ალბათობას.

შიდა კონტროლი ჩვეულებრივ ბანკის ყოველდღიური საქმიანობაშია გაერთიანებული და განსაზღვრულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ (შესაძლებლობების ფარგლებში) ბანკის საქმიანობა იყოს ეფექტური და ეფექტიანი, ინფორმაცია იყოს საიმედო, დროული და სრული და ბანკმა შეასრულოს და დაიცვას მოქმედი კანონები და რეგულაციები. იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება საოპერაციო რისკის დადგენა და მართვა, შესაძლოა გაიზარდოს იმის ალბათობა, რომ ზოგიერთი რისკი არ იქნება აღიარებული და გაკონტროლებული.

ბანკი ახორციელებს ადეკვატურ საოპერაციო რისკის შეფასების პროცედურებს მანამ, სანამ დანერგავს ახალ პროდუქტს, საქმიანობას, პროცესს ან სისტემას, ასევე სანამ გამოიყენებს ძირითად საბანკო და IT სისტემებთან დაკავშირებულ საქმიანობებს.

გარდა ამისა, ბანკი არბილებს საოპერაციო რისკებს ქვემოთ მოცემული მკაცრი წესების საფუძველზე,

სტრუქტურულ ერთეულებს შორის მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გამიჯვნის და შიდა კონტროლის და ზედამხედველობის სისტემის ფარგლებში. ბანკს აქვს საოპერაციო რისკების შეფასების ჩარჩო, რისკის მართვის პოლიტიკა, საოპერაციო რისკის მართვის პროცედურა, საოპერაციო რისკის შეფასების მეთოდოლოგია და თაღლითობის მართვის პოლიტიკა. ბანკი იყენებს ისეთ ინსტრუმენტულ საშუალებებს საოპერაციო რისკის იდენტიფიკაციისა და შეფასებისთვის, როგორცაა მონაცემთა შეგროვება, აუდიტის დასკვნები, რისკის კონტროლის თვითშეფასება, რისკის ძირითადი ინდიკატორები და სხვა რისკების დროულად დადგენის და შერბილების მიზნით.

კაპიტალის მოთხოვნები კაპიტალის საერთო ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცედურების (ICAAP) შესაბამისად გამოითვლება საბაზო ინდიკატორის მიდგომის გამოყენებით, რომელიც გამოიყენება პილარ 1-ის კაპიტალის გამოსათვლელად.



## საბაზრო რისკი

### უცხოური სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა იმ მდგომარეობიდან, როდესაც შესაძლოა, ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილება მოხდეს უცხოური გაცვლითი კურსის ცვალებადობის შედეგად. ბანკი ადგენს შიდა ლიმიტებს ღია სავალუტო პოზიციისთვის, რომელიც ასევე იცავს რეგულაციებით გათვალისწინებულ ლიმიტებს. პიზიციების მონიტორინგი ხორციელდება ყოველდღიურად.

ბანკი კაპიტალის მოთხოვნის გამოთვლას სავალუტო პოზიციებისთან დაკავშირებით ახდენს რისკის ქვეშ მყოფი ღირებულების (VaR) მეთოდის საფუძველზე, 99,9% სანდოობის დონის გათვალისწინებით

### საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი ნიშნავს ფინანსური ბარალის (ზიანის) რისკს, რომელიც წარმოიქმნება საპროცენტო განაკვეთის არახელსაყრელი ცვლილებებით. საკრედიტო პორტფელის საპროცენტო რისკი ფასდება ყოველთვიურად. საპროცენტო პოზიციები და ხარვეზები („გეპები“) წარმოდგენილია გადაფასების პერიოდებით თითოეულ რელევანტურ ვალუტასთან დაკავშირებით.

### ბიზნეს რისკი

ბიზნეს რისკი განისაზღვრება რისკად, რომელიც დაკავშირებულია მოგების ან კაპიტალის პოტენციურ შემცირებასთან, რომელიც გამოწვეულია ცვლილებებით სამუშაო გარემოში ან მცდარი კორპორატიული გადაწყვეტილებებით, გადაწყვეტილებების არასათანადოდ შესრულებით ან კონკურენტულ გარემოში ცვლილებებზე არასათანადოდ რეაგირებით. ბანკი სტრატეგიული დაგეგმვის და ბიუჯეტირების პროცესს თვლის რისკის მართვის უმნიშვნელოვანეს ნაწილად.

ბანკმა შეიმუშავა დეტალური პროცედურები და რეგულაციები ბიუჯეტირების პროცესების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს ბიუჯეტის გონივრულად დაგეგმვას ბანკის ბიზნეს სტრატეგიის შესაბამისად და ასევე განსაზღვრავს პროცედურებს ბიუჯეტის რეგულარულ კონტროლთან და გადახედვასთან დაკავშირებით. ბიზნეს რისკთან დაკავშირებით, საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნები არ გამოითვლება. ვინაიდან რისკი განისაზღვრება მატერიალურ ზიანად, ბანკი კაპიტალის მოთხოვნებს გამოთვლის ბიზნეს რისკის დასაფარად ICAAP შესაბამისად.

ვინაიდან ბანკს შეზღუდული მონაცემთა ბაზა აქვს შეფასების მიზნებისთვის, შემუშავებულია გამარტივებული მეთოდოლოგია, რომელიც აფასებს დევიაციებს ბიუჯეტიდან.

### საკრედიტო კონცენტრაციის რისკი

საკრედიტო კონცენტრაციის რისკი განიმარტება როგორც რისკების განაწილება მომხმარებლებზე როდესაც კონტრაგენტების შედარებით მცირე ჯგუფის ან მსხვილი ინდივიდუალური კონტრაგენტების მიერ ვალდებულებების პოტენციური შეუსრულებლობა გამოწვეულია საერთო ძირითადი მიზეზით და შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ბანკის საქმიანობის „ჩვეულებრივ რეჟიმს“. ბანკი აკონტროლებს კონცენტრაციის რისკს ლიმიტების სისტემის მეშვეობით, დიდ თანხიან სესხებზე და გარკვეულ ინდუსტრიებზე ბანკი რეგულარულად ახორციელებს პორტფელის კონცენტრაციის მონიტორინგს HHI ინდექსის გამოთვლას მთლიანი პორტფელისთვის კონცენტრაციის რისკის კაპიტალის რეზერვების შექმნა ხდება მარეგულირებელის მოთხოვნის მიხედვით, პილარ 2-ის შესაბამისად.

### ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი განისაზღვრება, როგორც ბანკის უუნარობა შეასრულოს თავისი ფინანსური ვალდებულებები.

ლიკვიდობის რისკი მოიცავს როგორც დაფინანსების, ასევე აქტივების ლიკვიდობის რისკს:

- დაფინანსების ლიკვიდობის რისკი ჩნდება ახალი დაფინანსების მოპოვების შეუძლებლობის გამო;
- აქტივების ლიკვიდობის რისკი ჩნდება მაშინ, როდესაც ბანკს არ შეუძლია მარტივად გაყიდოს თავისი აქტივები საბაზრო ფასში ზარალის თავიდან აცილების გარეშე, არალიკვიდური ბაზრის გამო.

### ლიკვიდობის რისკის გაზომვა:

ლიკვიდობის რისკის გაზომვის მთავარი საშუალებებია ლიკვიდობის პოზიციების დადგენა და სტრეს ტესტირება.

ლიკვიდობის პოზიციები განისაზღვრება ყოველთვიურად სტანდარტიზებული ანგარიშგების პაკეტის მეშვეობით.

სტრეს ტესტირება ეფუძნება ბანკის ფულადი სახსრების შემოდინებას და გადინებას 6 თვიან ინტერვალში. შემდეგ მიზნობრივი ლიკვიდობის მოთხოვნები გამოითვლება სტრეს სცენარების გამოყენებით, მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებებზე და გადინებებზე და ლიკვიდობის ბუფერზე.

### ლიკვიდობის რისკის მართვა:

ლიკვიდობის რისკის არსებობა დროის მოკლე ინტერვალში უფრო მეტ საფრთხედ ითვლება ბანკის საქმიანობისთვის, ვინაიდან ვადის შემოკლება თავისთავად გულისხმობს ბანკისთვის ნაკლები დროის არსებობას აღნიშნული სიტუაციის დასარეგულირებლად მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად. რაც უფრო გრძელია დროის ინტერვალი, მით უფრო მეტია შესაძლებლობა ლიკვიდობის კონტროლისთვის, რადგან ბანკს მეტი დრო აქვს სწორი ზომების მისაღებად. აქედან გამომდინარე ლიმიტები მოკლევადიანი ლიკვიდობის კუმულაციურ „გეპებზე“ ჩვეულებრივ უფრო კონსერვატიულია გრძელვადიან „გეპებთან“ შედარებით.

მუდმივად ცვალებადი ფინანსური ბაზრები პირდაპირ გავლენას ახდენენ ბანკისთვის დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობაზე. აქედან გამომდინარე ლიკვიდობის და დაფინანსების წყაროების მუდმივი მონიტორინგის შემთხვევაში კი, ბანკი აღიარებს, რომ გაუთვალისწინებელმა მოვლენებმა (მაგალითად, ეკონომიკური ან საბაზრო პირობების ცვლილება, სესხის პორტფელის ხარისხის გაუარესება ან ნებისმიერი სიტუაცია, რომელიც არ ექვემდებარება ბანკის კონტროლს) შესაძლოა პოტენციურად გამოიწვიოს მოკლე ან გრძელვადიანი კრიზისული სიტუაცია. ბანკმა უნდა შეაფასოს პოტენციური ლიკვიდობის რისკი და მოამზადოს მკაფიო სამოქმედო გეგმა ლიკვიდობის კრიზისთან დაკავშირებით. დაფინანსების ლიკვიდობის რისკის შესარბილებლად ბანკმა შექმნა მაღალი ხარისხის ლიკვიდობის ბუფერი, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ

იქნას გადახდის ვალდებულებების შესასრულებლად, ჩვეულებრივი საბანკო საქმიანობის რეჟიმში, ახალი დაფინანსების მოპოვების გარეშე. ბანკი დამატებით უზრუნველყოფს მისი დაფინანსების დივერსიფიკაციას და იმას, რომ მისი დაფარვის ვადები არ შექმნის მნიშვნელოვან გარღვევებს.

ბანკს აქვს წვდომა საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) რეფინანსირების საშუალებებზე მისი ლიკვიდობის შესანარჩუნებლად ლარში.

ბანკმა შეიმუშავა სათანადო წესები ლიკვიდობის რისკების მართვისთვის, რომლებიც მითითებულია ლიკვიდობის მართვის პოლიტიკაში და ლიკვიდობის მართვის პროცედურაში.

ლიკვიდობის შესახებ ანგარიშები რეგულარულად წარედგინება ALCO-ს.

### სტრატეგიული რისკი

სტრატეგიული რისკები არის რისკები, რომლებიც წარმოიქმნება ფუნდამენტალური გადაწყვეტილებებიდან, რომელსაც იღებენ აღმასრულებელი პირები ბანკის მიზნებთან დაკავშირებით. არსებითად, სტრატეგიული რისკები არის აღნიშნული ბიზნეს მიზნების მიუღწევლობის რისკები. სტრატეგიული რისკის მართვა ხორციელდება შიდა მართვის სისტემის მეშვეობით. სტრატეგიული რისკით გამოწვეული პოტენციური ზარალის მინიმუმამდე შემცირების მიზნით, ბანკმა შექმნა სტრუქტურა შიდა მართვის სისტემაში. სტრატეგიული რისკის მართვა ხორციელდება მხოლოდ პროცედურების საფუძველზე, არ ხდება კაპიტალის განაწილება.

### რეპუტაციული რისკი

რეპუტაციული რისკი არის მოქმედი და პოტენციური არაპირდაპირი რისკი შემოსავლებზე და კაპიტალზე, რომელიც წარმოიქმნება მომხმარებლების, კონტრაგენტების, აქციონერების, ინვესტორების, მარეგულირებლების ან სხვა დაინტერესებული მხარეების მხრიდან ბანკის იმიჯის უარყოფითი კუთხით აღქმის შედეგად. აღნიშნული გამოიხატება იმაში, რომ ბანკის შესახებ გარეშე პირების მოსაზრება მოლოდინზე ნაკლებად სასიამოვნოა. რეპუტაციული რისკის მართვა ხდება შესაბამისი პროცედურებით და ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ. რეპუტაციული რისკის მართვა ხდება მხოლოდ პროცედურებით, და არ საჭიროებს კაპიტალის დამატებას.

### ჯგუფის რისკი

ჯგუფის რისკი განისაზღვრება, როგორც შესაძლო ზარალი იმ ფაქტის გამო, რომ ბანკი ოპერირებს, როგორც ჯგუფის წევრი, როგორც შვილობილი კომპანია ან მშობელი კომპანია. ბანკს არ ჰყავს შვილობილი კომპანია, აქედან გამომდინარე უნდა შეფასდეს მხოლოდ ფინანსური ჯგუფის წევრის სახით ოპერირების რისკი. მთავარი შეფასების ფაქტორი არის იმ დამოკიდებულებების განსაზღვრა, როდესაც მშობელი კომპანიის მხარდაჭერის დონის ცვლილებამ შესაძლოა ბანკში წარმოშვას პრობლემები. შეფასება ეფუძნება ექსპერტის შეფასებას და მისი შედეგები ვრცელდება იმ სფეროებში, სადაც რისკის მართვა ხორციელდება. ბანკმა დაადგინა ჯგუფის რისკის ორი მთავარი წყარო, რომლის მართვა ხორციელდება მშობელი კომპანიის მიერ განსაზღვრული და ბანკთან შეთანხმებული პროცედურებით.

ჯგუფის მართვის რისკი: მშობელი კომპანია ახორციელებს ჰოლდინგის დონის მართვის სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ბანკი იღებს მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას მშობელი კომპანიისგან.

საკუთარი სახსრების მიწოდება: საკუთარი სახსრების დაგეგმვა და კაპიტალის გაზრდის შესაძლო საშუალებები არის ბიუჯეტირების პროცესის ნაწილი, მათ შორის საკუთარი სახსრების მიწოდება მშობელი კომპანიიდან. ვინაიდან აღნიშნული რისკი არ არის მატერიალური, კაპიტალის განაწილება არ ხდება.

### მაკროეკონომიკური რისკი

მაკროეკონომიკური რისკი არის საბალანსო და ბალანს-გარეშე პოზიციების ზარალის მოქმედი ან პოტენციური რისკი, რომელიც წარმოიქმნება უარყოფითი ცვლილებებით მაკროეკონომიკურ პირობებში, როგორცაა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპის შემცირება, უძრავი ქონების ფასების შემცირება, სავალუტო გაცვლითი კურსის რყევები და სხვა. ვინაიდან მაკროეკონომიკური რისკები არის გარეშე რისკები, რომელიც სცილდება ბანკის კონტროლს, მისი მართვის ერთადერთი საშუალება არის სტრეს ტესტები კაპიტალის და ლიკვიდობის დაგეგმვის საფუძველზე. ბანკი ახორციელებს მაკროეკონომიკურ რისკებთან დაკავშირებულ სტრეს ტესტებს შიდა მაკრო პროგნოზებით და სტრეს ტესტის მოდელსა და აგრეთვე მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს საფუძველზე, რომელიც ბანკს წარუდგინა მარეგულირებელმა. შიდა კაპიტალის შეფასების მიზნებისთვის, ბანკი იყენებს ტრანზაქციის დონის სტრეს ტესტებს, რომელიც აფასებს სავალუტო, კონცენტრაციის და პროცენტით გამოწვეული საკრედიტო რისკების ეფექტს (FX).

საწარმოს დონის მაკროეკონომიკური სტრეს ტესტირება გამოიყენება კაპიტალის დაგეგმვის მიზნებისთვის.

### მარეგულირებლის რისკი

მარეგულირებლის რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი, გამომდინარე ნორმატიული ბაზის ცვლილებებიდან. მასში შედის არსებული ან ახალი ადგილობრივი თუ საერთაშორისო კანონის / რეგულაციის ცვლილებები.

მარეგულირებლის რისკის შესარბილებლად ბანკი მუდმივად ახორციელებს არამხოლოდ კანონმდებლობის, ასევე შესაძლო ცვლილებების მონიტორინგს. აღნიშნული პროცესის მნიშვნელოვანი მომენტი არის ის, რომ შესაბამისი დეპარტამენტები, მენეჯერები და თანამშრომლები, რომლებსაც ეხებათ საკანონმდებლო ცვლილებები, ინფორმირებულნი არიან იურიდიული, შესაბამისობის და ამლ დეპარტამენტის მიერ. უმაღლესი ხელმძღვანელობა რეგულარულად იღებს მოკლე რეზიუმებს უახლესი ნორმატიული ცვლილებების შესახებ. ბანკი უზრუნველყოფს, რომ არსებული და მნიშვნელოვანი მომავალი (რომელიც შესაძლოა მიღებულ იქნას) რეგულაციები ასახულ იქნება თავის სტრატეგიაში.

მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებისთვის მომზადების მიზნით ბანკი იყენებს სხვადასხვა მეთოდებს:

გემოქმედების კვლევა, სცენარის ანალიზი, სამოქმედო გეგმები ან ბიზნეს გეგმის მოდიფიკაცია კი. ბანკი რეგულარულად გადახედავს თავის შიდა რეგულაციებს და უზრუნველყოფს მათ შესაბამისობაში მოყვანას გარე საკანონმდებლო ბაზასთან.

ნორმატიული რისკის მართვა ხორციელდება მხოლოდ პროცედურების საფუძველზე, არ ხდება კაპიტალის განაწილება.



## რისკის შერბილების სტრატეგია

რისკის შერბილების მეთოდები ფართოდ არის დამოკიდებული რისკის ტიპზე, რომელიც უნდა შემცირდეს. არსებული მეთოდებიდან, ბანკი იყენებს შერბილების შემდეგ მეთოდებს:

აუდიტი – რეგულარულმა აუდიტმა შიდა აუდიტის დეპარტამენტის მხრიდან შესაძლოა გამოავლინოს პრობლემები, როგორცაა ბუღალტრული შეცდომები ან უსაფრთხოების პრობლემები მანამ, სანამ ისინი უფრო ფართო მასშტაბებს მოიცავს;

მოვალეობების გამიჯვნა: პასუხისმგებლობები მკაცრად იყოფა შესაბამის პოზიციებს შორის;

ოთხი თვალის პრინციპი და ინტერესთა კონფლიქტის პრევენცია ხორციელდება ბიზნეს პროცესების ყველა დონეზე;

რეზერვირება – ბანკი არეზერვებს ბიზნეს ინფორმაციას სხვადასხვა უსაფრთხო ფიზიკურ ლოკაციაზე;

ბიზნესის უწყვეტობის გეგმა – ბანკმა შეიმუშავა აღნიშნული გეგმა ჩვეულებრივი საქმიანობის გაგრძელების მიზნით საგანგებო სიტუაციებში, როგორცაა ბუნებრივი კატასტროფები ან უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევები;

პროცედურები – რისკის კონტროლის განხორციელება შიდა პროცედურებით ან საქმიანობით, რომლებიც ამცირებენ არასასურველი მოვლენების წარმოქმნის შესაძლებლობებს;

დივერსიფიკაცია – კაპიტალის და რესურსების განაწილების პროცესი სხვადასხვა სფეროში რისკის და ცვალებადობის შესამცირებლად;

კომპლექსური შემოწმება — შემოწმების პროცესი, კონტრაქტის ან სტრატეგიის განხორციელებამდე. საბაზო კომპლექსური შემოწმება, როგორცაა პოტენციური პარტნიორის ფინანსური, გარემოსდაცვითი, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის და მართვის პრაქტიკის შემოწმება არის რისკის შემცირების ძირითადი ეტაპი.

კომუნიკაცია – რისკის რეგულარული კომუნიკაცია ძირითად მენეჯერებთან, რომლებსაც ვვალეობათ მისი შემცირება;

შესრულების მართვა – რისკის შემცირების მიზნების დასახვა, შესრულების მართვის ფარგლებში;

პოლიტიკები – პოლიტიკები, რომლებიც განსაზღვრულია რისკის შესამცირებლად;

სტანდარტები – სტანდარტების განსაზღვრა ბიზნეს პრაქტიკის და გადანყვეტილების მიღების მართვის მიზნით;

ტრენინგი – ტრენინგი თანამშრომლებისთვის პროფესიონალიზმის და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

## რისკის ანგარიშგება

დროული, ხარისხიანი და ინფორმაციული გადანყვეტილების მიღების მიზნით, ბანკის რისკის მართვის განყოფილება ანგარიშებს წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს რისკის მართვის კომიტეტს ყოველთვიურად. ანგარიში მოიცავს: სესხის პორტფელის ანგარიშს, კორპორატიული საინვესტიციო

პორტფელის ანგარიშს, სავაჭრო პორტფელის ანგარიშს, დაკავშირებული მხარის გარიგებებს, ბალანს-გარეშე პორტფელს, უზრუნველყოფის პორტფელს, პრობლემური სესხების და ჩამოწერის ანგარიშს, კრედიტის კონცენტრაციის, სადეპოზიტო პორტფელის ანგარიშს, სავალუტო რისკის პოზიციებს, ლიკვიდობის და ვადიანობის ანალიზს, საბაზრო რისკის ანალიზს, საოპერაციო რისკის ანალიზს, ინციდენტების მართვის, კაპიტალის ადეკვატურობის ანგარიშს და სხვა ანგარიშებს.

ყოველ კვარტალურად, რისკის მართვის კომიტეტი ანგარიშს წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს ბანკის რისკის მართვის საქმიანობების და იმ საშუალებების შესახებ, რომლითაც აღნიშნული კომიტეტი ასრულებს თავის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს.

რისკის მართვის განყოფილება ანგარიშს წარუდგენს დირექტორთა საბჭოს რეგულარულად. აღნიშნული ანგარიშები მოიცავს საკრედიტო კომიტეტის საქმიანობების მიმოხილვას, შიდა დანაკარგების ბაზის ანგარიშებს და სხვა.

## სტრეს ტესტები და სცენარული ანალიზი

სცენარული ანალიზი არის მეთოდი, რომელიც იყენებს ბიზნესის და რისკის მენეჯერების შეფასებას სანარმოს სავარაუდო გარეგანი სცენარების დასადგენად, მოულოდნელი გარეგანი შეფასების მიზნით. ზოგადად ასეთი სცენარები არის ძირითადი რისკების ან „პოტენციური მომავალი მოვლენების“ წინასწარი შეფასებები, რომლის მიზანია სავარაუდო გარეგანი სიხშირისა და მნიშვნელობის ალბათობის დასაბუთებული შეფასება.

სტრეს ტესტის სტრუქტურის მიზანია იშვიათი, თუმცა შესაძლო მოვლენების ზემოქმედების შეფასება ბანკის კაპიტალზე ან ლიკვიდობაზე. ბანკმა შეიმუშავა ICAAP სტრუქტურა, რომელიც მოიცავს მგრძობელობის და სცენარის ანალიზს რელევანტურად განსაზღვრული რისკების პოზიციების გასაზომად. ბანკი ახორციელებს მაკროეკონომიკურ რისკებთან დაკავშირებულ სტრეს ტესტებს მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს (სახელმძღვანელო) საფუძველზე, რომელიც ბანკს მიაწოდებს სტრეს-მა. აღნიშნული სახელმძღვანელოს შესაბამისად, სტრეს ტესტები უნდა ჩატარდეს ბანკის საერთო დონეზე (სანარმოს დონის სტრესი) და ტრანზაქციის დონეზე (სანარმოს დონის სტრესი).

ტრანზაქციის დონის ტესტები აფასებს ბანკის მსესხებლების კრედიტუნარიანობას გარეშე ფაქტორების ცვლილების შედეგად. ქვემოთ მოცემული რისკების მართვა ხორციელდება სტრეს ტესტებით სანარმოს რისკის დონეზე:

- უცხოური ვალუტით გამოწვეული საკრედიტო რისკი;
- საბანკო პორტფელის საპროცენტო განაკვეთის რისკი;
- სავალუტო კურსის რისკი;
- კონცენტრაციის რისკი;
- საპროცენტო განაკვეთის რისკი;
- ნორმატიული რისკი;
- სისტემატური რისკი.

სანარმოს დონეზე სტრეს ტესტები გამოიყენება ბანკის მიერ თავისი კაპიტალის და ლიკვიდობის დაგეგმვის პროცესში, სხვადასხვა მაკროეკონომიკური სცენარების ეფექტის შეფასებით ბანკის საერთო ფინანსური საქმიანობის მაჩვენებლებზე, როგორცაა მომგებიანობა, აქტივის ხარისხი, დაფინანსების ბაზა და ლიკვიდობა.

# ფინანსური მაჩვენებლები

## ცხრილი 1

თარიღი: 12/31/2022

| ძირითადი მაჩვენებლები   |  |             |             |             |             |             |
|---|--|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|
| N   |  | 4Q 2021     | 3Q 2021     | 4Q 2021     | 1Q 2021     | 4Q 2020     |
| <b>საზედამხედველო კაპიტალი (მოცულობა, ლარი)</b>                           |  |             |             |             |             |             |
| <b>ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით</b>                           |  |             |             |             |             |             |
| 1   | ძირითადი პირველადი კაპიტალი  | 88,477,907  | 87,660,852  | 87,689,198  | 89,340,855  | 65,001,418  |
| 2   | პირველადი კაპიტალი   | 88,477,907  | 87,660,852  | 87,689,198  | 89,340,855  | 65,001,418  |
| 3   | საზედამხედველო კაპიტალი  | 105,517,547 | 110,636,092 | 110,772,679 | 113,442,882 | 88,849,008  |
| 4   | ძირითადი პირველადი კაპიტალის ჯამური მოთხოვნა   | 60,302,979  | 57,248,719  | 54,870,356  | 55,260,501  | 32,475,900  |
| 5   | პირველადი კაპიტალის ჯამური მოთხოვნა  | 75,808,433  | 71,972,490  | 69,067,716  | 69,608,944  | 43,313,689  |
| 6   | საზედამხედველო კაპიტალის ჯამური მოთხოვნა   | 103,025,006 | 97,868,984  | 93,992,320  | 94,847,748  | 71,714,522  |
**ფულადი ნაკადების ანგარიშგება**

**2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის**

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

|  | შენიშვნა | 2022           | 2021           |
|--|----------|----------------|----------------|
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>   |          |                |                |
| მიღებული პროცენტი  |          | 43,052         | 36,784         |
| გადახდილი პროცენტი   |          | (21,222)       | (12,402)       |
| მიღებული საკომისიო   |          | 3,024          | 1,716          |
| გადახდილი საკომისიო  |          | (2,043)        | (1,685)        |
| უცხოურ ვალუტაში შემდგარი გარიგებებიდან ზარალით შემცირებული რეალიზებული შემოსულობა                          |          | 10,916         | 9,946          |
| პერსონალზე გაწეული ხარჯების გადახდა  |          | (18,140)       | (15,411)       |
| გადახდილი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები  |          | (9,677)        | (7,399)        |
| მიღებული სხვა შემოსავალი   |          | 6              | 3              |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>   |          | <b>5,916</b>   | <b>11,552</b>  |
| <b>საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>  |          |                |                |
| <i>საოპერაციო აქტივების წმინდა (ზრდა)/კლება</i>  |          |                |                |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ  |          | (927)          | (6,562)        |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები  |          | (88,005)       | 8,134          |
| სხვა აქტივები  |          | (523)          | (236)          |
| <i>საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა/კლება</i>   |          |                |                |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ   |          | 654            | (6,422)        |
| ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ  |          | 97,194         | 1,730          |
| სხვა ვალდებულებები   |          | (2,054)        | (129)          |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>  |          | <b>12,255</b>  | <b>8,067</b>   |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>  |          |                |                |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შექმნა   | 8        | (20,449)       | (3,100)        |
| შემოსულობა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვიდან   | 8        | 16,529         | 6,500          |
| ძირითადი საშუალებების შესყიდვები   |          | (519)          | (481)          |
| შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან  |          | 72             | 466            |
| არამატერიალური აქტივების შექმნა  |          | (2,078)        | (1,964)        |
| <b>(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული)/საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b> |          | <b>(6,445)</b> | <b>1,421</b>   |
| <b>ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>  |          |                |                |
| საიჯარო ვალდებულებების ძირითადი თანხის დაფარვა   |          | (2,071)        | (2,891)        |
| შემოსულობა სააქციო კაპიტალის გამოშვებიდან  | 17       | 26,000         | -              |
| <b>ფინანსური საქმიანობიდან მიღებული / (ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები</b>      |          | <b>23,929</b>  | <b>(2,891)</b> |
| სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე                                    |          | (9,575)        | (3,360)        |
| მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე                                |          | (2)            | 25             |
| <b>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა</b>   |          | <b>20,162</b>  | <b>3,262</b>   |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში   | 5        | 42,380         | 39,118         |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს</b>   | 5        | <b>62,542</b>  | <b>42,380</b>  |

5-60 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „პაშა ბანკი საქართველო“

2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

**1. ძირითადი საქმიანობა**

სს „პაშა ბანკი საქართველო“ (შემდგომში „ბანკი“) დაფუძნდა 2012 წლის 17 დეკემბერს, როგორც საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედი სააქციო საზოგადოება. ბანკი საქმიანობს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში „სებ“) მიერ 2013 წლის 17 იანვარს გაცემული საბანკო ლიცენზიით (საიდენტიფიკაციო კოდი: 404433671).

ბანკი იღებს ანაბრებს, გასცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და სთავაზობს სხვა საბანკო მომსახურებას თავის კომერციულ მომხმარებლებს. ბანკი აგრძელებს საცალო ბაზარზე გაფართოებას საფირმო სახელწოდებით „რებანკი“ (Re|Bank), ბანკის აქციონერების მიერ დამტკიცებული სტრატეგიული ინიციატივების საფუძველზე.

2017 წლიდან ბანკი „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის“ წევრია. სისტემა ფუნქციონირებს „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და აზღვევს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირების ყველა ტიპის დეპოზიტს 5,000 ლარამდე, გარკვეული გამონაკლისებით.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკი საქართველოში ოთხი მომსახურების ოფისითაა წარმოდგენილი. ბანკის იურიდიული მისამართია: ილია ჭავჭავაძის გამზირი 37ბ, 0179, თბილისი, საქართველო.

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკის 100%-იანი წილის მფლობელი იყო აზერბაიჯანული კომპანია სს „პაშა ბანკი“ (შემდგომში „მშობელი საწარმო“). 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის საბოლოო მფლობელები არიან ქ-ნი ლეილა ალიევა, ქ-ნი არზუ ალიევა, ზ-ნი არიფ ფაშაევი და ზ-ნი მირ ჯამალ ფაშაევი, რომლებიც ბანკზე ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მშობელი საწარმოს მიერ ჯერ არ დამტკიცებულა ბანკის აქციონერთა საერთო კრებაზე. აქციონერი უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები შეიტანოს მისი გამოშვების შემდეგ.

**2. მომზადების საფუძველი**

**ზოგადი ინფორმაცია**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდგომში „ფას“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების აღრიცხვის წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

**3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა**

**ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში**

ბანკმა პირველად გამოიყენა გარკვეული სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ბანკს ვადაზე ადრე არ მიუღია სხვა რომელიმე სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

სტანდარტებში შესული, ქვემოთ მოცემული, ცვლილებების პირველად გამოყენება მოხდა 2022 წელს, რის შედეგადაც სააღრიცხვო პოლიტიკასა და სხვა განმარტებით შენიშვნებში შესაბამისი ცვლილებები აისახა.

- ▶ „კონცეპტუალური საფუძვლების მითითება“ – შესწორებები ფასს 3-ში
- ▶ ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე – ცვლილებები ბასს 16-ში
- ▶ „წაგებიანი ხელშეკრულებები – ხელშეკრულების შესრულების ხარჯები“ – შესწორებები ბასს (IAS) 37-ში
- ▶ ფასს (IFRS) 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ – შვილობილი საწარმო, როგორც საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს-ს
- ▶ ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ - ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები
- ▶ ბასს (IAS) 41 – „სოფლის მეურნეობა“ – გადასახადით დაბეგვრა სამართლიანი ღირებულების შეფასებებში

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესულ ცვლილებებს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა არ მოუხდენია.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობითი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე, ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ბანკისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არა ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენება.

ბანკი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს. ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, იმ ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კვოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

საწყისი აღიარება

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ბანკმა აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

საწყისი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ინსტრუმენტების მართვის მიზნებს მოდელზე. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით და ამ თანხას ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები. გამონაკლისს წარმოადგენს ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

ბანკი ყველა თავისი ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას ახდენს ამ აქტივების მართვის მიზნებს მოდელისა და სახელშეკრულებო პირობების მიხედვით და აფასებს შემდეგიდან ერთ-ერთით:

- ▶ ამორტიზებული ღირებულება;
- ▶ სამართლიანი ღირებულება, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით
- ▶ სამართლიანი ღირებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ბანკი თავისი წარმოებული ინსტრუმენტების პორტფელის კლასიფიკაციას და შეფასებას ახდენს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ბანკმა შესაძლოა განსაზღვროს ფინანსური ინსტრუმენტი სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ეს აღმოგზვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს შეფასების ან აღიარების არათანმიმდევრულობას.

ფინანსური ვალდებულებები, გარდა სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური თავდებობებისა, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ისინი სავაჭროდ არიან ფლობილი, წარმოებული ინსტრუმენტებია ან გამოიყენება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრება.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, მომხმარებლებზე გაცემული სესხები, ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

ბანკი მხოლოდ მაშინ აფასებს ამორტიზებული ღირებულებით მოთხოვნებს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, მომხმარებლებზე გაცემულ სესხებს და სხვა ფინანსურ ინვესტიციებს, თუ ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნეს მოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით;
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე.



სს „პაპა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

ამ პირობების შესახებ უფრო დაწვრილებით მოცემულია ქვემოთ:

ბიზნეს მოდელის შეფასება

ბანკი თავის ბიზნეს მოდელს განსაზღვრავს ისეთ დონეზე, რომელიც საუკეთესოდ ასახავს, როგორ მართავს ის ფინანსური აქტივების გუფუგებს მისი საქმიანი მიზნების მისაღწევად.

ბანკის ბიზნეს მოდელი არ ფასდება თითოეული ინსტრუმენტის საფუძველზე. ის აფასებს აგრეგირებული პორტფელების უმაღლეს დონეზე და ის ეფუძნება ემპირიული ფაქტორების საფუძველზე, როგორც არის შემდეგი:

- ▶ როგორ ფასდება ბიზნეს მოდელის განხორციელება და ამგვარ ბიზნეს მოდელში შემავალი ფინანსური აქტივები და როგორ ხდება მათი ანგარიშგება საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პერსონალის მიმართ.
- ▶ როგორ ფასდება ბიზნეს მოდელის განხორციელება და ამგვარ ბიზნეს მოდელში შემავალი ფინანსური აქტივები და როგორ ხდება მათი ანგარიშგება საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელების მიმართ;
- ▶ როგორ ხდება საქმიანობის მენეჯერების კომპენსირება (მაგალითად, თუ კომპენსაცია ეფუძნება მართვის ქვეშე მყოფი აქტივების სამართლიან ღირებულებას ან მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს);
- ▶ გაყიდვების მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და ვადები ბანკის შეფასების სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს წარმოადგენს.

ბიზნეს მოდელის შეფასება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებს ეფუძნება, „ყველაზე ცუდი“ და „სტრესული შემთხვევის“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ საწყისი აღიარების შემდეგ ფულადი ნაკადების რეალიზაცია ბანკის თავდაპირველი მოლოდინისგან განსხვავებულად ხდება, ბანკი ამ ბიზნეს მოდელის დანარჩენი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას კი არ ცვლის, არამედ ამ ინფორმაციას ითვალისწინებს მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შეყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

SPPI-ტესტი

კლასიფიკაციის პროცესის მეორე სტადიის სახით, იმის განსაზღვრად, აკმაყოფილებს თუ არა ის SPPI-ტესტის მოთხოვნებს, ბანკი ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს აფასებს.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება საწყისი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში (მაგალითად, თუ მოხდა ძირითადი თანხის დაფარვა ან პრემიის/დისკონტის ამორტიზაცია).

სასესხო გარიგებებში პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები, ჩვეულებრივ, წარმოადგენს გადახდებს ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკისთვის. მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების შესაფასებლად, ბანკი იყენებს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ შესაბამის ფაქტორებს, როგორც არის ვალუტა, რომელშიც გამოხატულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც განისაზღვრება საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს რისკის მინიმუმზე მეტ მოცულობას ან იმ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მერყეობა, რომლებიც არ უკავშირდება სესხის დაფარვის ძირითად პირობებს, არ წარმოშობს ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ თანხაზე. ასეთ შემთხვევებში, ფინანსური აქტივი სამართლიანი ღირებულებით უნდა შეფასდეს, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

აკრედიტივები და სესხების გაცემის ვალდებულება

ბანკი მომხმარებლებს სთავაზობს აკრედიტივებს და სესხებს. სესხების გაცემის ვალდებულება და აკრედიტივები ისეთი ვალდებულებებია, რომელთა მიხედვითაც, ნაკისრი ვალდებულების ვადის განმავლობაში ბანკს ევალება სესხის გაცემა მომხმარებლისთვის წინასწარ დადგენილი პირობებით.

სს „პაპა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ვალდებულების შესრულების გარანტია

ვალდებულების შესრულების გარანტია არის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს კომპენსაციას, თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას. ვალდებულების შესრულების გარანტიით საკრედიტო რისკი არ გადაიცემა. ვალდებულების შესრულების გარანტიის ხელშეკრულებების მიხედვით, რისკი არის იმის ალბათობა, რომ მეორე მხარე ვერ შესრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას. შესაბამისად, ვალდებულების შესრულების გარანტიები არ ჩაითვლება ფინანსურ ინსტრუმენტებად და, ამრიგად, არ ექვევა ფასს 9-ის მოქმედების არეალში.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეკლასიფიკაცია

ბანკი არ ახდენს მისი ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციას მათი საწყისი აღიარების შემდეგ, ისეთი გამონაკლისი შემთხვევების გამოკლებით, რომელშიც ბანკი შეცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელს. ფინანსური ვალდებულებების რეკლასიფიკაცია არ ხდება. 2022 წელს ბანკს არ მოუხდენია მისი რომელიმე ფინანსური აქტივის ან ვალდებულების რეკლასიფიკაცია.

რესტრუქტურული სესხები

თუ შესაძლებელია, უზრუნველყოფის საკუთრებაში მიღების ნაცვლად, ბანკი ახდენს სესხების რესტრუქტურირებას. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს დაფარვის პირობების გაუმჯობესებას და სესხის ახალი პირობების შეთანხმებას.

ბანკმა შეწყვიტა ისეთი ფინანსური აქტივის აღიარება, როგორც არის მომხმარებელზე გაცემული სესხი, პირობების განმეორებით შეთანხმებისას როდესაც ის არსებითად ახალი სესხი ხდებოდა, რისი სხვაობაც აღიარდება აღიარების შეწყვეტით წარმოშობილი შემოსულობის ან ზარალის სახით, იმ პირობით, რომ გაუფასურების ზარალი უკვე აღრიცხული იქნება. ახლად აღიარებული სესხების კლასიფიკირება ხდება პირველ სტადიად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნებისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ახალი სესხი ითვლება შემენილ ან შექმნილ გაუფასურებულ სესხად. იმის შეფასებისას, უნდა მოხდეს თუ არა მომხმარებელზე გაცემული სესხის აღიარების შეწყვეტა, ბანკი, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს:

- ▶ სესხის ვალუტის ცვლილება;
- ▶ კონტრაქტის ცვლილება;
- ▶ ხომ არ იწვევს ცვლილება ინსტრუმენტის SPPI კრიტერიუმთან შეუსაბამობას.

თუ ცვლილება არ იწვევს არსებითად განსხვავებულ ფულად ნაკადებს, ცვლილება არ გამოიწვევს აღიარების შეწყვეტას. თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ფულად ნაკადებში მომხდარ ცვლილებას ბანკი აღრიცხავს, როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს, რომელიც წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გამოთვლილ საპროცენტო ამონაგებში და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოდიფიცირებით განპირობებულ წმინდა შემოსულობაში/(ზარალში), თუ უკვე არ არის აღრიცხული გაუფასურების ზარალი.

ცვლილებებისთვის, რომლებიც არ იწვევს აღიარებას შეწყვეტას, ბანკი ასევე განმეორებით აფასებს ხომ არ არსებობდა მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში, ან აქტივები ხომ არ უნდა იყოს კლასიფიცირებული გაუფასურებულად. აქტივი, რომელიც მოდიფიცირების შედეგად გაუფასურებულად არის კლასიფიცირებული, შეიძლება აღიარდეს მე-2 ან მე-3 სტადიის სახით, თუ დაკმაყოფილდება გარკვეული კრიტერიუმები ბანკის დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით.

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

იჯარა

ფინანსური აქტივები

ბანკი, როგორც მოიჯარე

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

ბანკი იყენებს აღიარების და შეფასების ერთ მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. ბანკი აღიარებს იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომ გადაიხადოს საიჯარო გადასახდელები და აქტივის გამოყენების უფლებები, რომლებიც წარმოადგენს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლებას.

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ ბანკმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და არსებითი დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ ბანკმა (ა) ან გადასცა აქტივზე არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) ან არც გადასცა და არც შეინარჩუნა აქტივზე არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ მან გადასცა აქტივის კონტროლი.

აქტივის გამოყენების უფლება

იმ შემთხვევაში, თუ ბანკმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, აქტივის აღიარება ხდება შენარჩუნებული მონაწილეობის პირობით. შენარჩუნებული მონაწილეობა, რომელიც იძენს გარანტიის ფორმას გადაცემულ აქტივზე, ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ ანაზღაურების მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით, რომლის გადახდაც შეიძლება ბანკს მოეთხოვოს.

ბანკი აქტივის გამოყენების უფლებას აღიარებს იჯარის დაწყების თარიღისთვის (ანუ იმ თარიღით, როდესაც საიჯარო აქტივი ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად). აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების ყოველი ხელახალი შეფასებისას. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯების და იჯარის დაწყების თარიღით ან თარიღამდე გადახდილი იჯარების თანხებს, რასაც აკლდება მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდები. თუ ბანკს არ აქვს გონივრული რწმენა იმისა, რომ იჯარის ვადის ბოლოს მოიპოვებს საიჯარო აქტივის მესაკუთრეობის უფლებას, აღიარებულ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს წრფივი მეთოდით სავარაუდო სასარგებლო მომსახურებისა და იჯარის ვადებს შორის უმოკლეს ვადაზე. აქტივის გამოყენების უფლება ცვეთას ექვემდებარება.

ჩამოწერები

საიჯარო ვალდებულებები

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ან ნაწილობრივ, ან მთლიანად მხოლოდ მაშინ, როდესაც ბანკი შეწყვეტს მათი ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა აღემატება დაგროვილი ცვეთის რეზერვს, სხვაობა თავდაპირველად აღირიცხება რეზერვზე დამატების სახით, რომელიც შემდეგ გამოიყენება მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში. ნებისმიერი შემდგომი ანაზღაურება განეკუთვნება საკრედიტო ზარალის ხარჯს. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

იჯარის დაწყების თარიღისთვის ბანკი აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც გამოითვლება, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულება. საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), შემცირებულს მისაღები იჯარის წამახალისებელი გადახდებით, ცვლადი საიჯარო გადახდებით, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თანხებით, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით. ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის მიზმული ინდექსზე ან განაკვეთზე, აღიარებულია იმ პერიოდის ხარჯად, რომლის განმავლობაშიც დგება გადახდის გამომწვევი მოვლენა ან გარემოება.

ფინანსური ვალდებულებები

საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად ბანკი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, თუ საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა იზრდება, რათა ასახოს პროცენტის ზრდა და მცირდება იჯარის გადახდის შესაბამისად. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ხდება იჯარის ვადის მოდიფიცირება ან ცვლილება, თუ იცვლება არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები ან ცვლილება შედის საიჯარო აქტივის შესყიდვის შეფასებაში.

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩაანაცვლება ან მოდიფიცირება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

ბანკი იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს თავისი მოკლევადიანი იჯარებისთვის (ანუ იმ იჯარების შემთხვევაში, რომელთა ვადა, მაქსიმუმ, 12 თვეა იჯარის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და არ შეიცავს შესყიდვის ოფციონს). იგი ასევე იყენებს დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს დაბალი ღირებულების მქონედ მიჩნეული საოფისე აღჭურვილობის იჯარის შემთხვევაში. მოკლევადიანი იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე საიჯარო გადახდების აღიარება ხდება ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

განახლების ოფციონის მქონე ხელშეკრულებების იჯარის ვადის განსაზღვრა განსჯის საფუძველზე

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, საქართველოს ეროვნული ბანკისადმი მოთხოვნების (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებისაგან, რომლებსაც აქვს გამოცემიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან.

სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში

ბანკი იჯარის ვადის განსაზღვრავს, როგორც იჯარის შეუქცევად ვადას იმ ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომელსაც მოიცავს იჯარის გახანგრძლივების ოფციონი, თუ არსებობს ამ ოფციონის აღსრულების გონივრული რწმენა, ან ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომლებსაც მოიცავს იჯარის შეწყვეტის ოფციონი, თუ არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ მისი გამოყენება არ მოხდება.

სს „პაპა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

**3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)**

**ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა**

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. ურთიერთგადაფარვის უფლების გამოყენება არ უნდა ხდებოდეს სამომავლო შემთხვევის დადგომის პირობით და ნებადართული უნდა იყოს:

- ▶ ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობის პირობებში;
- ▶ დეფოლტის შემთხვევაში; და
- ▶ საწარმოს და ყველა კონტრაქტის არაკრედიტუნარიანობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ეს პირობები, ზოგადად, არ სრულდება ძირითად საკლირინგო ხელშეკრულებებში და შესაბამისი აქტივები და ვალდებულებები მთლიანად არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

**გადასახადები**

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის საწყისი აღიარებიდან ან აქტივისა და ვალდებულებიდან იმ გარიგებაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ საგადასახადო მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება გამოსაქვითი დროებითი სხვაობების გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფასდება საგადასახადო განაკვეთებით, რომელიც სავარაუდოდ იმოქმედებს აქტივის რეალიზაციის ან ვალდებულების გასტუმრების პერიოდში, იმ საგადასახადო განაკვეთების (ეხება გაუნაწილებელ მოგებას) და საგადასახადო კანონების საფუძველზე, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს ანგარიშგების თარიღისთვის.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ბანკის საქმიანობაზე. ეს გადასახადები ასახულია სხვა საოპერაციო ხარჯების კომპონენტებად.

**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების მოცულობა. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალებების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები იმაზე მიანიშნებს, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

სს „პაპა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

**3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)**

**ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)**

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დაირიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

|                                     | <b>წლები</b>                              |
|-------------------------------------|---|
| ავეჯი და მოწყობილობები              | 4   |
| კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა | 4   |
| სატრანსპორტო საშუალებები            | 4   |
| სხვა აღჭურვილობა                    | 5   |
|                                     | 1-5 წელი ან იჯარის ვადა, თუ უფრო ნაკლებია |

საიჯარო ქონების გაუმჯობესება

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

**არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ვალდებული არამატერიალური აქტივი საწყისი აღიარებისას აღიარდება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივის ღირებულება წარმოადგენს მის სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. საწყისი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღიარდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე, ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

**სულ ვალდებულებები/მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ**

ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს კომერციული ბანკებისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ განთავსებულ ანაზრებს და სესხებს. ბანკი ფინანსთა სამინისტროს მიიჩნევს საკრედიტო დაწესებულებად, რადგან მასაც საქართველოს ეროვნული ბანკის მსგავსად აქვს რეგულაციის ინსტრუმენტი და გრძელვადიანი დეპოზიტები, როგორც ლიკვიდობის უზრუნველყოფის საშუალება.

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს მხოლოდ სემ-ისა და კომერციული ბანკის მიმართ მოთხოვნებს. ბანკი არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებებს განიხილავს მომხმარებლებად და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებისთვის გაცემულ სესხებს ასახავს მომხმარებლებზე გაცემულ სესხებში.

**ანარიცხები**

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.



სს „პაპა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

სს „პაპა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია საკუთარ კაპიტალად. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია საკუთარი კაპიტალის შემოსულობიდან გამოქვითვების სახით. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკის მიერ ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია ამონაგების სათანადო სიზუსტით შეფასება. ამონაგების აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ბანკი გამოითვლის საპროცენტო ამონაგებს სავალო ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფინანსური აქტივების (გარდა გაუფასურებული საკრედიტო აქტივებისა) საერთო საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის ოფციონს) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება, თუ ბანკი გადახედავს მის მიერ დასაფარო თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო ამონაგები თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივი გაუფასურდება, ბანკი საპროცენტო ამონაგებს ანგარიშობს ფინანსური აქტივის წმინდა ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივები გამოსწორდება და აღარ იქნება გაუფასურებული, ბანკი დაუბრუნდება საპროცენტო ამონაგების ბრუტოს საფუძველზე დაანგარიშების მეთოდს.

საპროცენტო ამონაგები ყველა ფინანსური აქტივიდან, რომლებიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, აღიარებულია სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან

ბანკი იღებს შემოსავალს საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან მომხმარებლებისთვის გაწეული სხვადასხვა ტიპის მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავალი საზღაურიდან შესაძლოა დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

გარკვეულ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული საზღაური

გარკვეულ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული საზღაური დაირიცხება იმავე პერიოდში. საზღაური მოიცავს საკომისიო შემოსავალს გარანტიებიდან და აკრედიტივებიდან. სასესხო ვალდებულებები, რომლებიც სავარაუდოდ ჩამოიწერება და სხვა საკრედიტო თანხები გადავადებულია (ყველა ზღვრულ ხარჯთან ერთად) და აღიარებულია, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.

დროის გარკვეულ მომენტში მიღებული საკომისიო შემოსავალი

ანგარიშსწორების და საკასო ოპერაციებიდან მიღებული საკომისიო შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი გარიგებების დასრულებისთანავე. თითოეული საკასო და საანგარიშსწორებო ოპერაცია აღირიცხება, როგორც ცალკე შესასრულებელი მოვალეობა.

საოპერაციო მომსახურებიდან მიღებული საკომისიო შემოსავალი

მესამე მხარისთვის გარიგების პირობებზე მოლაპარაკებიდან ან მოლაპარაკებაში მონაწილეობიდან მიღებული საზღაურის (მაგალითად, როდესაც ბანკის შესასრულებელ მოვალეობას წარმოადგენს აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების შესყიდვის უზრუნველყოფა) აღიარება ხდება შესაბამისი გარიგების დასრულებისთანავე. საზღაური და საზღაურის ის კომპონენტები, რომლებიც გარკვეულ შესასრულებელ ვალდებულებებს უკავშირდება, აისახება შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ, როდესაც ხელშეკრულება ითვალისწინებს ცვლებად ანაზღაურებას, საზღაურისა და საკომისიო შემოსავლის აღიარება ხდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არსებობს იმის ალბათობა, რომ აღიარებული ჯამური შემოსავლის თანხის მნიშვნელოვანი ამოწურვა არ მოხდება მანამ, სანამ საბოლოოდ გარკვევა ცვლებად ანაზღაურებასთან დაკავშირებული გაურკვევლობა.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ბანკის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციის კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით მიღებულ შემოსულობას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ შემოსულობას გამოკლებული ზარალის მუხლში. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბერს იყო 2.7020 ლარი და 2.7020 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებით, შესაბამისად, 2.7020 ლარი და 2.7020 ლარი 1 ევროსთან მიმართებით, შესაბამისად და 1.5924 ლარი და 1.8222 ლარი 1 აზერბაიჯანულ მანათთან მიმართებით, შესაბამისად.

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ბანკის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ბანკი ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიყენება, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიყენება, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“

ცვლილებები ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და ვრცელდება სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებზე, რომლებიც დგება ამ პერიოდის საწყისი თარიღით ან მის შემდგომ. დაშვებულია ვადაზე ადრე გამოყენება, თუ ეს ფაქტი გაცხადდება.

2017 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (ფასს 17), ამომწურავი ახალი სააღრიცხვო სტანდარტი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელიც მოიცავს აღიარების და შეფასების, წარდგენისა და ინფორმაციის გახსნის საკითხებს.

ცვლილებებს, სავარაუდოდ, არსებითი გავლენა არ ექნება ბანკზე.

ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 17 ჩაანაცვლებს ფასს 4-ს „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (ფასს 4) რომელიც გამოიყენებოდა 2005 წელს.

სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები – შესწორებები ბასს 1-სა და ფასს-ის მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში

ფასს 17 ეხება ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებას (მაგ. სიცოცხლის, არა სიცოცხლის, პირდაპირი დაზღვევა და გადაზღვევა), განურჩევლად იმისა, თუ რა ტიპის საწარმო აფორმებს მათ, ასევე გარკვეულ გარანტიებს და ფინანსურ ინსტრუმენტებს დისკრეციული მონაწილეობის პირობებით. მის მოქმედების არეალში არ შედის გარკვეული გამონაკლისები. ფასს 17-ის ზოგადი მიზანია სააღრიცხვო მოდელის შექმნა სადაზღვევო ხელშეკრულებები, რომელიც უფრო სასარგებლო და თანმიმდევრული იქნება მზღვეველებისთვის. ფასს 4-ის მოთხოვნებისგან განსხვავებით, რომლებსგანაც მანამდე მოქმედი ადგილობრივი სააღრიცხვო პოლიტიკები მეტწილად გათავისუფლებულია, ფასს 17 წარმოადგენს კომპლექსურ მოდელს სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის ყველა შესაბამის ასპექტს მოიცავს. ფასს 17 წარმოადგენს ზოგად მოდელს, რომელსაც ახლავს:

2021 წლის თებერვალში ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს-ის მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში „არსებითობის განსჯა“, რომლებიც შეიცავს მითითებებს და მაგალითებს, რათა დაეხმაროს საწარმოებს სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტების არსებითობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში. შესწორებების მიზანია საწარმოებს დაეხმაროს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ უფრო სასარგებლო განმარტებით შენიშვნების წარმოდგენაში, რისთვისაც, საწარმოებისადმი მოთხოვნა, რომ განაცხადონ „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკა, ჩანაცვლდა მოთხოვნით, რომ განაცხადონ თავიანთი „არსებითი“ სააღრიცხვო პოლიტიკა და დაემატა ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ საწარმოებმა არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენასთან დაკავშირებით.

- ▶ ისეთი ხელშეკრულებების სპეციფიკის გათვალისწინება, რომლებსაც აქვს პირდაპირი მონაწილეობის მახასიათებლები (ცვალებადი საზღაურის მიდგომა)
- ▶ გამარტივებული მიდგომა (პრემიების განაწილების მიდგომა), ძირითადად, მოკლევადიანი ხელშეკრულებებისთვის

ბასს 1-ში შესული ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ვინაიდან ცვლილებები მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში შეიცავს არასავალდებულო მითითებებს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციაში ტერმინის „არსებითი“ განმარტების გამოყენების თაობაზე, მათი ძალაში შესვლის თარიღი არ არის საჭირო.

ფასს 17 ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის და სავალდებულოა შედარებადი რიცხობრივი მონაცემების წარმოდგენა. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც, თუ საწარმო ასევე გამოიყენებს ფასს 9-სა და ფასს 15-ს, ფასს 17-ის პირველად გამოყენებამდე ან გამოყენების დღეს. ცვლილებებს, სავარაუდოდ, არსებითი გავლენა არ ექნება ბანკზე.

ბანკი ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნებზე.

ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

განუსაზღვრელობის შეფასება

2020 წლის 1 იანვარს ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ 69-76 მუხლებში, რომლებიც აკონკრეტებს ვალდებულებების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიცირების წესებს. ცვლილებები განმარტავს:

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების მისაღებად ბანკის ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში დაეყრდნო თავის განსჯას და პროგნოზებს. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია:

- ▶ რა იგულისხმება ანგარიშსწორების გადავადების უფლებაში;
- ▶ რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- ▶ რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, გამოიყენებს თუ არა საწარმო გადავადების უფლებას;
- ▶ რომ თუ კონვერტირებად ვალდებულებაში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი თავად წარმოადგენს წილობრივ ინსტრუმენტს, მხოლოდ ამ შემთხვევაში არ იმოქმედებს ვალდებულების პირობები მის კლასიფიკაციაზე.

არა ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი

ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და მათი გამოყენება უნდა მოხდეს რეტროსპექტიულად. ამ ცვლილებებს სავარაუდოდ გავლენა არ ექნება ბანკზე.

გაუფასურების ზარალის შეფასება ფასს 9-ის შესაბამისად ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიისთვის საჭიროებს განსჯის გამოყენებას, კერძოდ, სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობისა და ვადების და უზრუნველყოფის საგნის ღირებულებების პროგნოზირებას გაუფასურების ზარალის განსაზღვრისა და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებას. ამ შეფასებებზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს, რომელთა ცვლილებები შესაძლოა აისახოს რეზერვების სხვადასხვა დონეში. ბანკის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებები კომპლექსური მოდელის მონაცემებს წარმოადგენს, ცვლადი მონაცემების და მათი ინტერპრეტაციების შერჩევასთან დაკავშირებული სხვადასხვა საბაზისო მოსაზრებებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის ელემენტები, რომლებიც შესაბამის სააღრიცხვო მსჯელობებს და შეფასებებს წარმოადგენს, მოიცავს შემდეგს:

სააღრიცხვო შეფასებების განმარტება – ბასს 8-ის შესწორებები

- ▶ ბანკის კრედიტის გაცემის შიდა მოდელი, რომელიც დეფოლტების შესაძლებლობებს ინდივიდუალურ ქულებს ანიჭებს;
- ▶ ბანკის კრედიტორები იმის დასადგენად, მნიშვნელოვნად ხომ არ გაზრდილა საკრედიტო რისკი და ამიტომ ფინანსური აქტივების რეზერვები ხომ არ უნდა შეფასდეს აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით;
- ▶ ფინანსური აქტივების სეგმენტაცია, როცა მათი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება კოლექტიურ დონეზე;
- ▶ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შემუშავება, მათ შორის, სხვადასხვა ფორმულისა და ამოსავალი მონაცემის შერჩევა;

2021 წლის თებერვალში ბასსს-მა გამოუშვა ბასს 8-ის შესწორებები, რომლებშიც წარმოადგინა „სააღრიცხვო შეფასების“ განმარტება. შესწორებები განმარტავს განსხვავებას სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებსა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებს შორის და შეცდომების გასწორებას. გარდა ამისა, იგი ასევე განმარტავს, როგორ იყენებენ საწარმოები შეფასების ხერხებს და ამოსავალ მონაცემებს სააღრიცხვო შეფასებების მისაღებად.



სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

**4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)**

**განუსაზღვრელობის შეფასება (გაგრძელება)**

- ▶ კავშირის დადგენა მაკროეკონომიკურ სცენარებსა და ისეთ ეკონომიკურ ამოსავალ მონაცემებს შორის, როგორც არის მშპ-ის ზრდა და ინფლაცია, ასევე გავლენის განსაზღვრა დეფოლტის ალბათობაზე, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალაინებაზე და დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებზე.
- ▶ საპროგნოზო მაკროეკონომიკური სცენარების არჩევა და მათი ალბათობების შეწონა, მიღებული ეკონომიკური მონაცემების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელში გამოყენების მიზნით.

2022 წლის განმავლობაში ბანკმა დაამტკიცა ახალი მეთოდოლოგია, რომელშიც შევიდა დეფოლტის ალბათობისა და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის გაანგარიშებასთან დაკავშირებული ცვლილებები. ამ ეტაპისთვის ბანკის მიერ აღნიშნული ცვლილებებით გამოწვეული ეფექტის ოდენობის შეფასება ვერ მოხერხდა. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული მომხმარებლებზე გაცემული სესხების, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების და საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების რეზერვები, შესაბამისად, შეადგენდა 16,824 ათას ლარს (2021 წ.: 13,864 ათასი ლარი), 338 ათას ლარს (2021 წ.: 342 ათასი ლარი) და 356 ათას ლარს (2021 წ.: 195 ათასი ლარი). იხილეთ მე-7, მე-8 და მე-18 შენიშვნები.

*ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება*

როდესაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების მიღება აქტიური ბაზრებიდან ვერ ხერხდება, ისინი განისაზღვრება შეფასების სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის მათემატიკური მოდელით. ამ მეთოდებისთვის ინფორმაცია აიღება ბაზრიდან, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მაგრამ, თუ ეს შეუძლებელია, სამართლიანი ღირებულება შეფასების საფუძველზე განისაზღვრება. დამატებითი დეტალები წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში.

*იჯარა - ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის შეფასება*

ბანკს არ შეუძლია პირდაპირ განსაზღვროს საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, ამიტომ იგი საიჯარო ვალდებულებების შესაფასებლად იყენებს თავის ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს. ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც ბანკს მოუწევდა აქტივის გამოყენების უფლების ანალოგიური ღირებულების აქტივის მისაღებად საჭირო ფულის სასესხებლად ამავე პერიოდით და ასეთივე უზრუნველყოფით მსგავს ეკონომიკურ გარემოში. შესაბამისად, ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი ასახავს იმას, თუ რისი „გადახდა მოუწევდა ბანკს“, რაც იმას ნიშნავს, რომ შეფასებისთვის არ არის ხელმისაწვდომი დაკვირვებადი განაკვეთები (მაგალითად, ისეთი შვილობილი საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც არ შედიან დაფინანსების გარიგებებში) ან შეფასებისას განაკვეთები ისე უნდა დაკორექტირდეს, რომ ასახავდეს იჯარის პირობებს.

ბანკი ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს აფასებს დაკვირვებადი ამოსავალი მონაცემების გამოყენებით (მაგალითად, ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთები), როდესაც ისინი ხელმისაწვდომია და უხდება გარკვეული საწარმოსთვის სპეციფიკური შეფასებების გაცემა. დამატებითი დეტალები წარმოდგენილია მე-10 შენიშვნაში.

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

**5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

|  | 2022          | 2021          |
|--|---------------|---------------|
| ნაღდი ფული   | 4,328         | 4,747         |
| მიმდინარე ანგარიშები სებ-ში                          | 287           | 168           |
| მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში  | 30,793        | 12,300        |
| 90 დღემდე ვადიანი დეპოზიტი საკრედიტო დაწესებულებებში | 27,139        | 25,168        |
| გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი                    | (5)           | (3)           |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</b>         | <b>62,542</b> | <b>42,380</b> |

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული, ლარში, აშშ დოლარში და ევროში გამოხატული, მიმდინარე ანგარიშები და ვადიანი ანაზღაურება წარმოადგენს მთლიანი მიმდინარე და ვადიანი ანაზღაურების 47.14%-ს, 47.01%-სა და 4.86%-ს, შესაბამისად (2021 წლის 31 დეკემბერი: ლარი 40.41%, აშშ დოლარი 26.62% და ევრო 30.33%).

ფულადი სახსრების ეკვივალენტების ყველა ნაშთი ამორტიზებული ღირებულებით არის აღრიცხული და 1-ელ სტადიას მიკუთვნებული.

**6. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ**

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს:

2022 და 2021 წლებში ბანკის მოგება იზერებოდა 15%-იანი საგადასახადო განაკვეთით. მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთისგან. კანონმდებლობით გათვალისწინებული და რეალური განაკვეთების მოგების გადასახადის სარგებლის შეჯერება ასეთი გამოიყურება:

|   | 2022           | 2021           |
|---|----------------|----------------|
| <b>ზარალი დაბეგრამდე</b>  | <b>(2,263)</b> | <b>(4,232)</b> |
| კანონით დადგენილი საგადასახადო განაკვეთი  | 15%            | 15%            |
| <b>თეორიული მოგების გადასახადის სარგებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთის მიხედვით</b> | <b>339</b>     | <b>635</b>     |
| გადასახადით დაუბეგრავი მოგება   | 109            | 129            |
| გამოუქვითავი ხარჯები  | (45)           | (164)          |
| საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების ეფექტი  | 35             | -              |
| მომდევნო პერიოდზე გადატანილი აუდიარებული საგადასახადო ზარალები  | (438)          | (374)          |
| <b>მოგების გადასახადის სარგებელი</b>  | <b>-</b>       | <b>226</b>     |

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

**16. გადასახადები (გაგრძელება)**

ცვლილებების ძალაში შესვლასთან ერთად, ბანკებისთვის არსებული მოგების გადასახადის განაკვეთი 2023 წლიდან 15%-დან 20%-მდე გაიზარდა. გარდა ამისა, 2023 წლიდან დასაბეგრი საპროცენტო შემოსავალი და მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლის გამოქვითვა შესაძლებელია, განისაზღვრება ფასს-ის და არა საქართველოს ეროვნული ბანკის ადგილობრივი რეგულაციების მიხედვით. სტანდარტებზე გადასვლით განპირობებული სხვაობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში ერთჯერადად 15%-ით დაიბეგრება. შეცვლილი კანონი მკაფიოდ არ განმარტავს საპროცენტო შემოსავალში სტანდარტებზე გადასვლით განპირობებული სხვაობის ბუღალტრულად აღრიცხვის წესს. ხელმძღვანელობას გონივრულად მიაჩნია სტანდარტებზე გადასვლისას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მსგავსი მიდგომის გამოყენება საპროცენტო შემოსავალზე და გადავადებულ გადასახადს შესაბამისად გამოითვლის.

ბანკის დაგროვილი საგადასახადო ზარალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უტოლდება 27,641 ათას ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი: 36,939 ათასი ლარი), რაზეც ბანკს აქვს მომდევნო პერიოდზე გადატანილი 4,146 ათასი ლარის ოდენობის საგადასახადო ზარალი (2021 წლის 31 დეკემბერი: 5,541 ათასი ლარი) და 3,708 ათასი ლარის შესაბამისი რეზერვი (2021 წლის 31 დეკემბერი: 4,866 ათასი ლარი).

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები/აქტივები 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი მოძრაობა შესაბამის პერიოდში ასეთია:

|   | 2021           | <i>მოგება-ზარალის<br/>ანგარიშგებაში</i> | 2022           |
|---|----------------|---|----------------|
| <b>საგადასახადო ეფექტი გამოსაკეთი დროებით სხვაობებზე</b>                                    |                |   |                |
| მომდევნო პერიოდებში გადატანილი საგადასახადო ზარალი  | 675            | (438)                                   | 237            |
| აქტივის გამოყენების უფლება  | 972            | 407                                     | 1,379          |
| პირითადი საშუალებები  | 171            | 165                                     | 336            |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ   | 1              | -                                       | 1              |
| სხვა აქტივები   | 25             | -                                       | 25             |
| სუბორდინირებული ვალი  | 50             | 60                                      | 110            |
| სხვა ვალდებულებები  | 303            | 156                                     | 459            |
| <b>გადავადებული საგადასახადო აქტივი დასაბეგრი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი</b>   | <b>2,197</b>   | <b>350</b>                              | <b>2,547</b>   |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები  | (90)           | (8)                                     | (98)           |
| არამატერიალური აქტივები   | (140)          | (31)                                    | (171)          |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები   | (1,124)        | 239                                     | (885)          |
| საიჯარო ვალდებულებები   | (843)          | (550)                                   | (1,393)        |
| <b>გადავადებული საგადასახადო ვალდებულება გადავადებული საგადასახადო (ვალდებულება)/აქტივი</b> | <b>(2,197)</b> | <b>(350)</b>                            | <b>(2,547)</b> |
| <b>გადავადებული საგადასახადო (ვალდებულება)/აქტივი</b>                                       | <b>-</b>       | <b>-</b>                                | <b>-</b>       |

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

16. გადასახადები (გაგრძელება)

18. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

|  | 2020           | მოგება-ზარალის<br>ანგარიშგებაში | 2021           |
|--|----------------|---------------------------------|----------------|
| <b>საგადასახადო ეფექტი გამოსაქვით დროებით სხვაობებზე</b> |                |                                 |                |
| მომდევნო პერიოდებში გადატანილი საგადასახადო ზარალი       | -              | 675                             | 675            |
| აქტივის გამოყენების უფლება                               | 622            | 350                             | 972            |
| ძირითადი საშუალებები                                     | 52             | 119                             | 171            |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ              | 4              | (3)                             | 1              |
| სხვა აქტივები  | 24             | 1                               | 25             |
| სუბორდინირებული ვალი                                     | 9              | 41                              | 50             |
| სხვა ვალდებულებები                                       | 225            | 78                              | 303            |
| <b>გადავადებული საგადასახადო აქტივი</b>                  | <b>936</b>     | <b>1,261</b>                    | <b>2,197</b>   |
| <b>დასაბეგრი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი</b> |                |                                 |                |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები                           | (92)           | 2                               | (90)           |
| არამატერიალური აქტივები                                  | (113)          | (27)                            | (140)          |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები                          | (603)          | (521)                           | (1,124)        |
| საიჯარო ვალდებულებები                                    | (354)          | (489)                           | (843)          |
| <b>გადავადებული საგადასახადო ვალდებულება</b>             | <b>(1,162)</b> | <b>(1,035)</b>                  | <b>(2,197)</b> |
| <b>გადავადებული საგადასახადო (ვალდებულება)/აქტივი</b>    | <b>(226)</b>   | <b>226</b>                      | <b>-</b>       |

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ძირითადად, თანმიმდევრული და ეფექტური იყო ინვესტიციებისა და მოკლევადიანი ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარების თვალსაზრისით. ამის მიუხედავად, აღნიშნულმა პოლიტიკამ ვერ შეძლო საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის და გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისთვის. ამასთან, ეკონომიკური ზრდის ტემპები არ აღმოჩნდა საკმარისი საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის და ვერ შეძლო უმუშევრობისა და სიღარიბის დონეების დაწევის ხელშეწყობა. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ეყრდნობა სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის პრინციპებს, რასაც განაპირობებს ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარება, ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც საყოველთაო ეკონომიკურ ზრდას შეუწყობს ხელს და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური გარემოს უსაფრთხოებისა და მდგრადობის მიზნით. საქართველო აგრძელებს ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების მიხედვით ავითარებს სამართლებრივ, საგადასახადო და სარეგულაციო ზაზას. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის.

საქართველოს მთლიან საბანკო სექტორში მიმდინარე მოვლენების ფონზე, ბანკზე უარყოფითად აისახა კოვიდ-19-ით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი, კერძოდ გაუარესდა მისი ფინანსური შედეგები და იმ მსესხებლების საკრედიტო რისკი, რომლებიც პანდემიით განსაკუთრებით დაზარალებულ სექტორებში საქმიანობენ. ამან განაპირობა სესხების რესტრუქტურისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დონის მნიშვნელოვანი ზრდა პორტფელის ყველა სეგმენტში, პანდემიამდელ პერიოდებში არსებულ საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით.

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მთავრობამ მოხსნა კოვიდ-19-თან დაკავშირებით ადრე დაწესებული თითქმის ყველა შეზღუდვა. ამან ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითი გავლენა იქონია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული წინასწარი შეფასებით, 2022 წლის დეკემბერში შშპ-ის ზრდამ შეადგინა 11.0%, რის შედეგადაც 12-თვიანი საშუალო ზრდა გაუტოლდა 10.1%-ს. ზრდის განმაპირობებელი მთავარი ფაქტორები იყო მშენებლობა, წარმოება, ტრანსპორტირება და დასაწყობება, ფინანსური და სადაზღვეო საქმიანობა, ვაჭრობა, სასტუმროები და რესტორნები. საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის წინასწარი კვლევის შედეგების მიხედვით, 2022 წელს 10.0%-იანი ზრდა არის მოსალოდნელი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით, ინფლაციის დონემ 2022 წლის დეკემბერში წლიურ 9.8%-ს მიაღწია. მაღალი ინფლაცია გლობალური ეკონომიკის წინაშე მდგარი გამოწვევაა. პანდემიის შემდგომ პერიოდში უკრაინაში რუსეთის შეჭრის გამო საერთაშორისო ბაზრებზე ელექტროენერჯისა და საკვების ფასები კიდევ უფრო გაიზარდა. ამის შედეგად, სამომხმარებლო ფასებმა მთელ მსოფლიოში მკვეთრად მოიმატა. გლობალურად გაზრდილმა ფასებმა საქართველოს ბაზარზეც იმოქმედა და ქვეყანაში მაღალი ინფლაციის მთავარ მიზეზად იქცა. ამის პარალელურად, საქართველოში ეკონომიკური აქტივობა მაღალია, რასაც დიდ წილად ხელს უწყობს აღდგენილი ტურიზმი რუსეთის და ბელარუსების გრძელვადიანი ვიზიტების რაოდენობის ზრდის ფონზე. მძლავრი ეკონომიკური აქტივობა ზრდის მოთხოვნის მხრიდან ინფლაციური ზეწოლის რისკს, თუმცა იგი ნაწილობრივ დააბალანსა ბოლო დროს ლარის კურსის გამყარებამ.

გარდა ამისა, საკვებზე ფასები მსოფლიო ბაზარზე ბოლო დროს მცირდება, რაც ფრთხილი ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. მკაცრი მონეტარული პოლიტიკისა და მიწოდების შოკების ამოწურვის შედეგად, სემ მოელის, რომ ინფლაცია ეტაპობრივად შემცირდება და თავის მიზნობრივ დონეს 2023 წლის მეორე ნახევარში დაუბრუნდება. ამის მიუხედავად, ვინაიდან განუსაზღვრელობა რჩება და ინფლაციური რისკები მაღალ დონეზე ნარჩუნდება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკა გამკაცრებულ დონეზე, ხოლო მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 11%-ზე შენარჩუნდება.

პანდემიისა და ომის უარყოფითი გავლენის მიუხედავად, ხელმძღვანელობა ინარჩუნებს ლიკვიდობის მძლავრ პოზიციებს სემ-ის ღონისძიებების დახმარებით, რომლებიც მიზნად ისახავს კრიზისულ ვითარებაში საბანკო სექტორის მედეგობის განმტკიცებას. ბანკი აქტიურად ცდილობს უმოქმედო სესხების გონივრულ დონეზე შენარჩუნებას დროული რესტრუქტურისა და ღონისძიებებისა და მშობელი საწარმოსგან მიღებული მხარდაჭერის წყალობით, ასევე სესხების ამოღების მკაცრი ზომებით.

17. საკუთარი კაპიტალი

2022 წლის მარტში ბანკის მშობელმა საწარმომ 26,000 ათასი ლარის ფულადი სახსრები შეიტანა სააქციო კაპიტალში. მფლობელობის სტრუქტურა არ შეცვლილა. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ნებადართული, გამოშვებული და მთლიანად გადახდილი კაპიტალი 129,000 ათას ლარს შეადგენდა, რომელიც შედგებოდა 1.00 ლარის ნომინალური ღირებულების 129,000,000 ჩვეულებრივი აქციისგან (2021 წ.: 103,000 ათასი, რომელიც შედგება 103,000,000 აქციისგან). ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დივიდენდების განაწილების გამოცხადება ბანკის მშობელ საწარმოს შეუძლია მხოლოდ ბანკის წმინდა მოგებიდან, რომელიც ასახულია ბანკის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბანკი ვალდებულია, ოფიციალურად აცნობოს საქართველოს ეროვნულ ბანკს დივიდენდების გამოცხადების შესახებ, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკი იტოვებს უფლებას, შეაჩეროს ან შეზღუდოს დივიდენდების განაწილება, თუ ბანკი დაარღვევს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებს.

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ გადახდილა.

დამატებით შეტანილი კაპიტალი წარმოადგენს მშობელი საწარმოსგან და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან მიღებული სუბორდინირებული სესხების საწყისი აღიარებისას მათ სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობას.



სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

**18. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)**

**საოპერაციო გარემო (გაგრძელება)**

ბანკმა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით გამოიყენა უახლესი მარკეტინგული პროგნოზები, რომლებიც ხელმისაწვდომია.

მართალია, ბანკის ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს საქართველოს ბაზარზე ბანკის კიდევ უფრო გაფართოებას დამტკიცებული სტრატეგიული გეგმების შესაბამისად, კოვიდ-19-თან და რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის ფონზე, საშუალო ვადისთვის უმთავრესი ამოცანა არის საკმარისი გაუნაწილებელი მოგების აღდგენა და შენარჩუნება, რომელიც უზრუნველყოფს მყარ საფუძველს სამომავლო ზრდისა და განვითარებისთვის.

**გადასახადები**

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციებს, და შესაძლოა ხშირი იყოს ცვლილებები. შესაბამის საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ ეჭვქვეშ დააყენონ ხელმძღვანელობის მხრიდან კანონმდებლობის ამგვარი ინტერპრეტაციები ბანკის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში. ეს შეიძლება მომავალში შეეხოს ისეთ ოპერაციებსა და საქმიანობასაც, რომლებიც ადრე ეჭვქვეშ არ დამდგარა. ამის გამო კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. სახელმწიფო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ ფისკალური პერიოდები, კერძოდ - შემოწმების წლიდან წინა სამი კალენდარული წელი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცავს.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2022 წლის 31 დეკემბრისთვის მოქმედ შესაბამის კანონმდებლობას ადეკვატურად განმარტავს და რომ ბანკს დარიცხული აქვს ყველა სათანადო გადასახადი.

**იურიდიული საკითხები**

ჩვეული საქმიანობის პროცესში შესაძლებელია ბანკის წინააღმდეგ სარჩელები აღიმძას. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

*პირობითი ვალდებულებები*

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის პირობითი ვალდებულებები შედგებოდა შემდეგისგან:

|  | 2022           | 2021          |
|--|----------------|---------------|
| <b>საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები</b>  |                |               |
| აუთვისებელი საკრედიტო ხაზები   | 62,154         | 26,461        |
| აკრედიტივები   | 260            | -             |
|  | <b>62,414</b>  | <b>26,461</b> |
| <b>ვალდებულების შესრულების გაცემული გარანტიები</b>                                     |                |               |
| ვალდებულების შესრულების გაცემული გარანტიები  | 61,119         | 25,731        |
|  | <b>61,119</b>  | <b>25,731</b> |
| გამოკლებული: საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი            | (356)          | (195)         |
| <b>პირობითი ვალდებულებები (უზრუნველყოფის გამოქვითვადე)</b>                             | <b>123,177</b> | <b>51,997</b> |
| გამოკლებული: გამოშვებული გარანტიების უზრუნველსაყოფად ფლობილი ანაბრები (მე-14 შენიშვნა) | (3,471)        | (2,634)       |
| <b>პირობითი ვალდებულებები</b>  | <b>119,706</b> | <b>49,363</b> |

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

**18. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)**

**იურიდიული საკითხები (გაგრძელება)**

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებში მომხდარი ცვლილების ანალიზი ასე გამოიყურება (აკრედიტივიდან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ არის არსებითი):

|  | <i>აუთვისებელი საკრედიტო ხაზები</i> |
|--|-------------------------------------|
| <b>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b> | <b>(195)</b>                        |
| ახალი დავალიანება  | (835)                               |
| ვადამოსული დავალიანება   | 643                                 |
| სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა                                     | 31                                  |
|  | <b>(356)</b>                        |

გაცემული გარანტიებისა და აკრედიტივების ყველა ნაშთი 1-ელ სტადიას მიეკუთვნება.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებში მომხდარი ცვლილების ანალიზი ასეთია:

|  | <i>აუთვისებელი საკრედიტო ხაზები</i> |
|--|-------------------------------------|
| <b>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b> | <b>(395)</b>                        |
| ახალი დავალიანება  | (1,900)                             |
| ვადამოსული დავალიანება   | 1,594                               |
| სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა                                     | 506                                 |
|  | <b>(195)</b>                        |

**19 წმინდა შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან**

წმინდა შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან მოიცავს შემდეგს:

|   | 2022           | 2021           |
|---|----------------|----------------|
| ოპერაციები პლასტიკური ბარათებით                                 | 1,403          | 473            |
| გაცემული გარანტიები და აკრედიტივები                             | 963            | 756            |
| საანგარიშსწორებო ოპერაციები                                     | 631            | 429            |
| საკასო ოპერაციები   | 45             | 58             |
| <b>შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან</b>        | <b>3,042</b>   | <b>1,716</b>   |
| ოპერაციები პლასტიკური ბარათებით                                 | (1,070)        | (1,021)        |
| საანგარიშსწორებო ოპერაციები                                     | (808)          | (615)          |
| საკასო ოპერაციები   | (5)            | (8)            |
| სხვა  | (131)          | (16)           |
| <b>საკომისიო ხარჯი</b>  | <b>(2,014)</b> | <b>(1,660)</b> |
| <b>წმინდა შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან</b> | <b>1,028</b>   | <b>56</b>      |

ბანკის ამონაგებს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ძირითადად წარმოადგენს შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებულმა ამონაგებმა მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან შეადგინა 3,042 ათასი ლარი (2021 წ.: 1,716 ათასი ლარი).



სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

**19. წმინდა შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან (გაგრძელება)**

**ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან**

მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, ბანკმა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარა შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

|  | 2022 | 2021 |
|--|------|------|
| გადავადებული შემოსავალი (წარმოდგენილი სხვა ვალდებულებებში) | 28   | 11   |

ბანკი, როგორც წესი, საზღაურს და საკომისიოს იღებს შესაბამისი გარიგების დასრულებამდე ან დასრულებისთანავე (ისეთი ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომელთა მიხედვითაც შესასრულებელი მოვალეობა შესრულებულია დროის გარკვეულ მომენტში, მაგალითად ანგარიშსწორების ოპერაციები). დროთა განმავლობაში გაწეული მომსახურებისთვის (მაგალითად, მომსახურება, რომელზეც მიიღება გარანტიების და აკრედიტივების გაცემის საზღაური) ბანკი, ჩვეულებრივ, წინასწარ მოითხოვს თვიურ, კვარტალურ ან წლიურ საკომისიოს, რომელიც ფარავს მთლიანი სახელშეკრულებო პერიოდის შესაბამის მონაკვეთს.

ბანკმა აღიარა 11 ათასი ლარის ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც უკავშირდება მომდევნო პერიოდზე გადატანილ სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ასახულია გადავადებულ შემოსავალში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

**20. პერსონალზე გაწეული, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები**

პერსონალზე გაწეული, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს შემდეგს:

|   | 2022          | 2021          |
|---|---------------|---------------|
| ხელფასები                                   | 15,038        | 12,847        |
| პრემიები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები | 4,412         | 2,544         |
| <b>პერსონალზე გაწეული ხარჯი</b>             | <b>19,450</b> | <b>15,391</b> |
| პროფესიული მომსახურება                      | 3,881         | 3,008         |
| სარეკლამო ხარჯი (ა)                         | 3,132         | 989           |
| მოკლევადიანი იჯარები                        | 653           | 785           |
| კომუნიკაცია                                 | 366           | 296           |
| საოფისე მარაგები                            | 294           | 128           |
| დაზღვევა                                    | 178           | 195           |
| კომუნალური მომსახურება                      | 158           | 192           |
| თანამშრომელთა გადამზადება                   | 145           | 160           |
| საწევრო შენატანები                          | 128           | 99            |
| ქველმოქმედებაზე გაწეული დანახარჯები         | 115           | 58            |
| კორპორაციული წამახალისებელი ღონისძიებები    | 107           | 90            |
| მგზავრობისა და სამივლინებო ხარჯები          | 84            | 56            |
| ტექნიკური მომსახურება და ექსპლუატაცია       | 67            | 62            |
| ანაზრის დაზღვევის საკომისიო                 | 44            | 18            |
| კადრების შერჩევის ხარჯი                     | 42            | 31            |
| გადასახადები მოგების გადასახადის გარდა      | 36            | 55            |
| დაცვა-უსაფრთხოების ხარჯები                  | 25            | 29            |
| სხვა  | 146           | 290           |
| <b>ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები</b>    | <b>9,601</b>  | <b>6,541</b>  |

(ა) სარეკლამო ხარჯის ზრდა უკავშირდება ბანკის მარკეტინგულ კამპანიებს თავის საცალო ბიზნესთან დაკავშირებით.

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

**20. პერსონალზე გაწეული, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები (გაგრძელება)**

ბანკის აუდიტორის ანაზღაურება, პროფესიული მომსახურების საზღაურის ჩათვლით, 31 დეკემბრით დასრულებული 2022 და 2021 წლებისთვის მოიცავს შემდეგს (დღგ-ის გარეშე):

|  | 2022       | 2021       |
|--|------------|------------|
| საზღაური ბანკის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის | 120        | 130        |
| სხვა მარწმუნებელი მომსახურების დანახარჯები                                       | 51         | 56         |
| სხვა პროფესიული მომსახურების დანახარჯები   | 3          | 4          |
| <b>სულ საზღაური და ხარჯები</b>   | <b>174</b> | <b>190</b> |

სხვა პროფესიული აუდიტორული ფირმებისთვის მათ მიერ გაწეულ სხვა პროფესიულ მომსახურებაში გადახდილი საზღაური და ასანაზღაურებელი დანახარჯები შეადგენდა 9 ათას ლარს (2021 წ.: 28 ათასი ლარი).

ბანკში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2022 წლის განმავლობაში იყო 336, მათ შორის, ზედა რგოლის საშუალოდ 4 ხელმძღვანელი, შუა რგოლის საშუალოდ 48 ხელმძღვანელი, საშუალოდ 274 სხვა დასაქმებული და დროებითი მომსახურების ხელშეკრულებით დაქირავებული საშუალოდ 10 თანამშრომელი (2021 წ.: დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა იყო 308, მათ შორის ზედა რგოლის საშუალოდ 4 ხელმძღვანელი, შუა რგოლის საშუალოდ 43 ხელმძღვანელი, საშუალოდ 257 სხვა დასაქმებული და დროებითი მომსახურების ხელშეკრულებით დაქირავებული საშუალოდ 4 თანამშრომელი).

**21. რისკის მართვა**

**შესავალი**

ბანკის საქმიანობას ყოველთვის ახასიათებს რისკები, მაგრამ მათი მართვა ხდება იდენტიფიცირების, შეფასებისა და კონტროლის მუდმივი პროცესებით, როგორცაა ლიმიტების დაწესება და კონტროლის სხვა ელემენტები. რისკის მართვის ამ პროცესს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბანკის უწყვეტი მოგებიანობისთვის და ბანკში თითოეული პირი არის ანგარიშვალდებული თავის მოვალეობებთან დაკავშირებულ რისკებზე. ბანკის საქმიანობას, ძირითადად, საკრედიტო, ლიკვიდობის და საბაზრო რისკები ახასიათებს. მისთვის ასევე დამახასიათებელია საოპერაციო რისკები.

რისკების კონტროლის დამოუკიდებელი პროცესი არ მოიცავს ისეთ ბიზნეს რისკებს, როგორებიცაა გარემო პირობების, ტექნოლოგიების და ინდუსტრიის ცვლილებების რისკები. ისინი კონტროლდება ბანკის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესით.

**რისკის მართვის სტრუქტურა**

*სამეთვალყურეო საბჭო*

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია რისკების მართვის საერთო მიდგომის ჩამოყალიბებასა და რისკების მართვის სტრატეგიებისა და პრინციპების დამტკიცებაზე.

*რისკის კომიტეტი*

რისკის კომიტეტი ზოგადად არის პასუხისმგებელი რისკის სტრატეგიის შემუშავებასა და პრინციპების, სტრუქტურის, პოლიტიკისა და ლიმიტების დანერგვაზე. იგი პასუხს აგებს რისკის ძირითად საკითხებზე და მართავს და მონიტორინგს უწევს რისკთან დაკავშირებულ შესაბამის გადაწყვეტილებებს.

*რისკის მართვა*

რისკის მართვის განყოფილებას ევალება რისკის მართვის სისტემის განსაზღვრა, დანერგვა და მართვა.

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

**21. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**რისკის მართვის სტრუქტურა (გაგრძელება)**

*აქტივ-პასივების კომიტეტი*

აქტივ-პასივების კომიტეტი პასუხისმგებელია ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების, და მთლიანი ფინანსური სტრუქტურის მართვაზე. იგი ასევე პასუხისმგებელია ბანკის დაფინანსების, ლიკვიდობის, საპროცენტო განაკვეთისა და კაპიტალის ადეკვატურობის რისკებზე.

*შიდა აუდიტი*

რისკის მართვის პროცესებს მთელ ბანკში შემოწმებას მუდმივად უტარებს შიდა აუდიტის განყოფილება. იგი ამოწმებს პროცედურების ადეკვატურობას, მათ სტრუქტურას და ეფექტურობას, ასევე ბანკის შესაბამისობას მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნებთან და შიდა პროცედურებთან. შიდა აუდიტი ყველა შეფასების შედეგს განიხილავს ხელმძღვანელობასთან და აუდიტის კომიტეტს შედეგებსა და რეკომენდაციებს მოახსენებს.

*აუდიტის კომიტეტი*

აუდიტის კომიტეტი პასუხს აგებს რისკებთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებზე, მართავს და ზედამხედველობას უწევს ბანკის სხვა განყოფილებების მიერ რისკებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს და კონტროლის ფუნქციების შესრულებას, რომლებიც უკავშირდება კონტროლის საერთო გარემოს, ხელით შესრულებული, ტექნოლოგიებზე დამოკიდებული ან კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით კონტროლის მექანიზმებს, რისკის გამიზნულად ან უნებლიეთ არასწორად შეფასებას, თაღლითობის, ან ქონების მითვისების რისკს, ინფორმაციის დაცვას, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლას, და სხვ. აუდიტის კომიტეტი შედგება სამი წევრისგან, რომელთაგან ორი დამოუკიდებელია.

*რისკის შეფასებისა და ანგარიშგების სისტემა*

რისკების მონიტორინგი და კონტროლი უმთავრესად ხორციელდება ბანკის მიერ დადგენილ ლიმიტებზე დაყრდნობით. ეს ლიმიტები ასახავს ბანკის ბიზნეს სტრატეგიას, საბაზრო გარემოს და მისთვის მისაღებ რისკის დონეს. გარდა ამისა, ბანკი მონიტორინგს უწევს და აფასებს რისკისადმი ზოგად მდგრადობას რისკის ყველა ტიპისა და ღონისძიების გათვალისწინებით. რისკებთან დაკავშირებით ყველა განყოფილება ანგარიშვალდებულია აქტივ-პასივების კომიტეტის მიმართ. შესაბამისი შეხვედრები თვეში ერთხელ ტარდება.

*რისკის ჭარბი კონცენტრაცია*

კონცენტრაცია წარმოიქმნება, როდესაც მთელი რიგი მონაწილე მხარეები ჩართულნი არიან ანალოგიურ საქმიანობებში, ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ერთეულში საქმიანობენ, ან აქეთ მსგავსი ეკონომიკური მახასიათებლები, რის გამოც მათ მიერ სახელმწიფოებო ვალდებულებების შესრულების უნარზე ერთნაირად მოქმედებს ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა პირობების ცვლილებები. კონცენტრაცია მიგვანიშნებს ბანკის საქმიანობის მეტ მგრძობელობაზე იმ გარემოებების მიმართ, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ კონკრეტულ დარგზე ან გეოგრაფიულ მდებარეობაზე.

**საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკი განიცდის ზარალს, თუ მისი მომხმარებლები, მომხმარებლები ან კონტრაქტები ვერ შეძლებენ სახელმწიფოებო ვალდებულებების შესრულებას. ბანკი საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით ცალკეული მონაწილე მხარეებისთვის და რისკების ამ ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგით.

ბანკმა შეიმუშავა საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი, რათა უზრუნველყოს გარიგებაში მონაწილე მხარეების კრედიტუნარიანობაში სავარაუდო ცვლილებების ადრეული გამოვლენა. მათ შორისაა უზრუნველყოფის რეგულარული შემოწმება. საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი ბანკს საშუალებას აძლევს შეაფასოს რისკებით გამოწვეული პოტენციური ზარალი და მიიღოს მაკორექტირებელი ზომები.

**21. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

მსესხებლის მიერ ლიმიტების დარღვევის მონიტორინგი ხდება გაცემულ სესხებზე. საკრედიტო კომიტეტი შეიძლება ამ ლიმიტების შეცვლის ინიციატივით გამოვიდეს. საჭიროების შემთხვევაში ბანკი ითხოვს გირაოს და კომპანიის თავდებობას. საკრედიტო რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

*საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების რისკი*

ბანკი თავის მომხმარებლებს სთავაზობს გარანტიებს, რომელთა მიხედვითაც ბანკს შესაძლოა მოუწიოს მათი სახელით გადახდა. ასეთი თანხების ამოღება მომხმარებლებისგან ხდება გარანტიის პირობების მიხედვით. ამ შემთხვევაში, ბანკი დგას სესხის გაცემის ანალოგიური რისკების წინაშე, ამ რისკების შემცირება ხდება სესხებზე გამოყენებული პოლიტიკისა და კონტროლის პროცესების შესაბამისად.

*გაუფასურების შეფასება*

ბანკი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს გამოითვლის ალბათობის რამდენიმე სცენარზე დაყრდნობით იმისათვის, რომ შეაფასოს ფულადი სახსრების მოსალოდნელი დეფიციტი, რომელიც დისკონტირებულია ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. ფულადი სახსრების დეფიციტი არის სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად ბანკისთვის გადასახდელ ფულად ნაკადებს და იმ ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებასაც საწარმო მოელის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ და მისი ძირითადი კომპონენტებია:

|                                  |   |
|----------------------------------|---|
| დეფოლტის ალბათობა                | <i>დეფოლტის ალბათობა</i> არის გარკვეული დროის განმავლობაში დეფოლტის დადგომის შესაძლებლობის შეფასება. დეფოლტი შეიძლება დადგეს მხოლოდ შესაფასებელი პერიოდის გარკვეულ მომენტში, თუ სესხის აღიარება მანამდე არ შეწყვეტილა და ჯერ კიდევ პორტფელის ნაწილია.   |
| დეფოლტის დაუფარავი დავალიანება   | <i>დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება</i> არის დეფოლტის სამომავლო თარიღისთვის განსაზღვრული დავალიანება, რომელიც ითვალისწინებს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ დაუფარავი დავალიანებაში მოსალოდნელ ცვლილებებს, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (დაფარვის გრაფიკის მიხედვით ან არა), სესხის გაცემის ვალდებულებების ფარგლებში კრედიტების მოსალოდნელ ათვისებას და გადაუხდელ შენატანებზე დარიცხულ პროცენტს. |
| დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში | <i>დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში</i> არის დროის გარკვეულ მომენტში დეფოლტის დადგომის შემთხვევაში წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ეყრდნობა სხვაობას გადასახდელ სახელმწიფოებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც კრედიტორი მოელის, მათ შორის უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის გზით. ჩვეულებრივ, გამოიხატება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების პროცენტის სახით.                            |

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე დაყრდნობით, თუ არ შეიმჩნევა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ან გაუფასურების სხვა ნიშნები რეზერვის შექმნის თარიღიდან, რა შემთხვევაშიც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი დაეყრდნობა აქტივის არსებობის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). 12-თვიანი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, კერძოდ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და 12-თვიანი საკრედიტო ზარალი გამოითვლება ან ინდივიდუალურად, ან კოლექტიურად, შესაბამისი ფინანსური აქტივების პორტფელის ხასიათიდან გამომდინარე.



სს „პაპა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

**21. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

ბანკმა დანერგა პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის აფასებს, საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის თუ არა გაზრდილი ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი, რისთვისაც ითვალისწინებს დეფოლტის რისკის ცვლილებას ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში. ზემოაღნიშნულ პროცესზე დაყრდნობით, ბანკი აჯგუფებს თავის სესხებს 1-ელ, მე-2, მე-3 სტადიებად და შექმნის ან შექმნის გაუფასურებულად, როგორც აღწერილია ქვემოთ:

- 1-ელი სტადია: სესხების თავდაპირველი აღიარებისას ბანკი ქმნის რეზერვს 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით. პირველი სტადიის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მეორე სტადიიდან.
- მე-2 სტადია: როდესაც სესხის წარმოშობის შედეგად საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, ბანკი ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. მეორე სტადიის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მესამე სტადიიდან.
- მე-3 სტადია: სესხები, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურებულად მიიჩნევა. ბანკის ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს.
- შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული: შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივები არის ისეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც გაუფასურებულია საწყისი აღიარებისას. შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით საწყისი აღიარებისას და საპროცენტო ამონაგების აღიარება შემდეგ ხდება კრედიტის მიხედვით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ან შემცირება ხდება მხოლოდ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილების შესაბამისად.

**დეფოლტის და გამოსწორების განმარტება**

ბანკი ფინანსურ ინსტრუმენტს გადაუხდელად და, შესაბამისად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსაანგარიშებლად, მე-3 სტადიაზე მყოფად (საკრედიტო რისკით გაუფასურებულად) მიიჩნევს მაშინ, როდესაც მსესხებელი 90 დღით დააგვიანებს ხელშეკრულების თანახმად გადახდას. ბანკი სხვა ბანკებისგან მისაღებ თანხებს მიიჩნევს გადაუხდელად და იღებს დაუყოვნებლივ ზომებს მაშინ, როდესაც დღის განმავლობაში მოთხოვნილი გადახდები არ იფარება სამუშაო დღის დახურვის დროისთვის ცალკეული ხელშეკრულებების შესაბამისად.

იმის ხარისხობრივი შეფასებისას, მომხმარებელს დარღვეული აქვს თუ არა გადახდის პირობა, ბანკი ასევე განიხილავს სხვადასხვა შემთხვევას, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ გადახდა არ არის მოსალოდნელი. ასეთი მოვლენების დადგომისას, ბანკი საგულდაგულოდ ამოწმებს მომხმარებლის სტატუსს, რათა, თუ მან არ შესრულა ვალდებულება, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისას მიაკუთვნოს მე-3 სტადიას, ან ხომ არ არის მე-2 სტადია უფრო მართებული.

ბანკმა განსაზღვრა გარკვეული კრიტერიუმები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს იმისათვის, რომ აქტივი გამოსწორებულად ჩაითვალოს. გადაწყვეტილება იმის შესახებ, აქტივი მეორე სტადიას უნდა მიეკუთვნოს თუ პირველს, დამოკიდებულია დეფოლტის აღმოფხვრისას განახლებულ საკრედიტო რეიტინგზე, და იმაზე, ხომ არ მიანიშნებს ეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდაზე საწყისი აღიარების შემდეგ.

**შიდა რეიტინგი და დეფოლტის ალბათობის შეფასების პროცესი**

ბანკის საკრედიტო რისკის განყოფილება თავის საქმიანობაში შიდა რეიტინგის მოდელს ეყრდნობა. ბანკი სხვადასხვა მოდელს იყენებს თავისი კორპორაციული და კომერციული პორტფელებისთვის, რომლებიც თავის მომხმარებლებს ანიჭებს შიდა რეიტინგის შეფასებებს Aaa-დან Ca-C-ის ჩათვლით. მოდელში მოიცავს როგორც თვისებრივ, ისე - რაოდენობრივ ინფორმაციას და, მსესხებლის დამახასიათებელ ინფორმაციასთან ერთად, იყენებენ დამატებით გარე ინფორმაციას, რომელმაც შესაძლოა იმოქმედონ მსესხებლის ქცევაზე. თუ შესაძლებელია, ისინი ასევე ეყრდნობა ადგილობრივი და საერთაშორისო გარე სარეიტინგო სააგენტოებისგან მიღებული ინფორმაციას. თითოეული სტადიის ენიჭება დეფოლტის ალბათობები, რომლებიც მოიცავს საპროცენტო ინფორმაციას და, ფასს 9-ის შესაბამისად, რისკის სტადიების მიხედვით კლასიფიკაციას. იგივე მეორდება თითოეული ეკონომიკური სცენარისთვის, სიტუაციიდან გამომდინარე. რაც შეეხება სამომხმარებლო პორტფელს, მომხმარებლებს ენიჭებათ რეიტინგი A-დან E3-მდე საკრედიტო ბიუროს რეიტინგების სისტემის საფუძველზე.

სს „პაპა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

**21. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

**სახაზინო და ბანკთაშორისი ურთიერთობები**

ბანკის სახაზინო და ბანკთაშორისი ურთიერთობები და კონტრაქტები არიან ფინანსური მომსახურების გაწევი დაწესებულებები, ბანკები. ამ ურთიერთობებისთვის ბანკის საკრედიტო რისკის განყოფილება აანალიზებს საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას, როგორცაა ფინანსური ინფორმაცია და სხვა გარე მონაცემები, მაგალითად, გარე რეიტინგები, და მათ ანიჭებს შიდა რეიტინგს ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით.

**კორპორაციული და კომერციული სესხები**

კორპორაციული და კომერციული სესხების შემთხვევაში, მსესხებლებს აფასებენ ბანკის საკრედიტო რისკის განყოფილების სპეციალისტები. საკრედიტო რისკის შეფასება ეყრდნობა კრედიტუნარიანობის შეფასების მოდელს, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ისტორიულ, მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაციას, როგორცაა:

- ▶ ისტორიული ფინანსური ინფორმაცია, მომხმარებლის მიერ მოზაადებულ პროგნოზებთან და ბიუჯეტებთან ერთად. ეს ფინანსური ინფორმაცია მოიცავს რეალიზებულ და მოსალოდნელ შედეგებს, გადახდისუნარიანობის, ლიკვიდობის და სხვა შესაბამის კოეფიციენტებს, რომლებიც ფასდება მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობა. ზოგიერთი ეს მაჩვენებელი ჩადებულია მომხმარებლებთან შეთანხმების პირობებში და ამიტომ, მეტი ყურადღებით ფასდება;
- ▶ მესამე მხარეებისგან კლიენტების შესახებ მიღებული ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია. ეს გულისხმობს სარეიტინგო სააგენტოების მიერ მიწოდებულ გარე რეიტინგებს, დამოუკიდებელი ანალიტიკოსების ანგარიშებს, საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული ობლიგაციების ფასებს, პრესრელიზებს და სტატეებს;
- ▶ ნებისმიერი მარკეტინგული ან გეოპოლიტიკური ინფორმაცია, მაგალითად, შშპ-ის ზრდა, რომელიც აქტუალურია კონკრეტული დარგისთვის და გეოგრაფიული სემენტებისთვის, რომლებშიც კლიენტი ეწევა საქმიანობას;
- ▶ ნებისმიერი სხვა ობიექტური და გადამოწმებადი ინფორმაცია კლიენტის მმართველობის ხარისხისა და უნარების შესახებ, რაც განსაზღვრავს კომპანიის საქმიანობას.

**სამომხმარებლო სესხები**

სამომხმარებლო დაკრედიტება გულისხმობს კლიენტებისთვის სესხების, საკრედიტო ბარათებისა და ოვერდრაფტების შეთავაზებას. ამ პორტფელის საკრედიტო რისკი და სესხებზე შესაძლო დანაკარგების შესაბამისი რეზერვი მოქმედი სესხების შემთხვევაში ფასდება კოლექტიურად, ხოლო უმოქმედო სესხების შემთხვევაში – ინდივიდუალურად.

ბანკის მიერ შიდა საკრედიტო რეიტინგი კორპორაციული და კომერციული სემენტებისთვის ასე გამოიყურება:

| შიდა რეიტინგის შეფასება | შიდა რეიტინგი              | დეფოლტის ალბათობა | შიდა სარეიტინგო განმარტება   |
|-------------------------|----------------------------|-------------------|------------------------------|
| 1 კლასი                 | Aaa                        | 0,0008%           | მაღალი შეფასება              |
| 1 კლასი                 | Aa1                        | 0,0015%           | მაღალი შეფასება              |
| 1 კლასი                 | Aa2                        | 0,0026%           | მაღალი შეფასება              |
| 1 კლასი                 | Aa3                        | 0,0047%           | მაღალი შეფასება              |
| 1 კლასი                 | A1                         | 0,0084%           | მაღალი შეფასება              |
| 1 კლასი                 | A2                         | 0,0149%           | მაღალი შეფასება              |
| 1 კლასი                 | A3                         | 0,0267%           | მაღალი შეფასება              |
| 1 კლასი                 | Baa1                       | 0,0476%           | სტანდარტული შეფასება         |
| 1 კლასი                 | Baa2                       | 0,0850%           | სტანდარტული შეფასება         |
| 1 კლასი                 | Baa3                       | 0,1517%           | სტანდარტული შეფასება         |
| 1 კლასი                 | Ba1                        | 0,2705%           | სტანდარტული შეფასება         |
| 1 კლასი                 | Ba2                        | 0,4821%           | სტანდარტული შეფასება         |
| 1 კლასი                 | Ba3                        | 0,8576%           | სტანდარტული შეფასება         |
| 2 კლასი                 | B1                         | 1,5213%           | სტანდარტული შეფასება         |
| 2 კლასი                 | B2                         | 2,6848%           | სტანდარტული შეფასება         |
| 3 კლასი                 | B3                         | 4,6955%           | სტანდარტული შეფასება         |
| 3 კლასი                 | Caa1                       | 8,0871%           | სტანდარტულზე დაბალი შეფასება |
| 3 კლასი                 | Caa2                       | 13,5793%          | სტანდარტულზე დაბალი შეფასება |
| 3 კლასი                 | Caa3                       | 21,9123%          | სტანდარტულზე დაბალი შეფასება |
| 3 კლასი                 | Ca-C                       | 33,3835%          | სტანდარტულზე დაბალი შეფასება |
|                         | ვალდებულების შეუსრულებლობა | 100.0000%         | გაუფასურებული                |



სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

სს „პაშა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

**21. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

ბანკის შიდა საკრედიტო რეიტინგი სამომხმარებლო სეგმენტებისთვის ასე გამოიყურება:

| შიდა რეიტინგის შეფასება | შიდა რეიტინგი | დეფოლტის ალბათობა | შიდა სარეიტინგო განმარტება   |
|-------------------------|---------------|-------------------|------------------------------|
| 1 კლასი                 | A             | 0.0150            | მაღალი შეფასება              |
| 1 კლასი                 | B             | 0.0200            | მაღალი შეფასება              |
| 1 კლასი                 | C1            | 0.0250            | მაღალი შეფასება              |
| 1 კლასი                 | C2            | 0.0350            | მაღალი შეფასება              |
| 1 კლასი                 | C3            | 0.0500            | მაღალი შეფასება              |
| 2 კლასი                 | D1            | 0.0700            | სტანდარტული შეფასება         |
| 2 კლასი                 | D2            | 0.0900            | სტანდარტული შეფასება         |
| 2 კლასი                 | D3            | 0.1200            | სტანდარტული შეფასება         |
| 3 კლასი                 | E1            | 0.1500            | სტანდარტულზე დაბალი შეფასება |
| 3 კლასი                 | E2            | 0.2000            | სტანდარტულზე დაბალი შეფასება |
| 3 კლასი                 | E3            | 0.2500            | სტანდარტულზე დაბალი შეფასება |

**დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება**

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს იმ ფინანსური ინსტრუმენტების მთლიან საბალანსო ღირებულებას, რომლებზეც ხდება გაუფასურების გამოთვლა, და ითვალისწინებს როგორც მომხმარებლის უნარს, გაზარდოს დავალიანების მოცულობა დეფოლტის მოახლოებისას, ისე მის უნარს, დავალიანება ვადაზე ადრე დაფაროს. პირველი სტადიის სესხის შემთხვევაში, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების გამოსათვლელად, ბანკი აფასებს დეფოლტის მოვლენების დადგომის შესაძლებლობას 12-თვიანი საკრედიტო ზარალის გამოთვლის ვადაში – 12 თვის განმავლობაში. მეორე და მესამე სტადიების, ასევე შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების შეფასება ხდება ინსტრუმენტის არსებობის ვადის განმავლობაში დამდგარი დეფოლტის მოვლენების გათვალისწინებით.

**დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში**

საკრედიტო რისკის შეფასება ეფუძნება დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების სტანდარტიზებული შეფასების სტრუქტურას, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების კონკრეტულ განაკვეთს. დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების ეს განაკვეთები ითვალისწინებს დეფოლტის მომენტისთვის მოსალოდნელ დაუფარავ დავალიანებას იმ თანხასთან შედარებით, რომლის აღდგენაც ან რეალიზაციაც მოსალოდნელია უზრუნველყოფის ნებისმიერი დასაკუთრებული საგნიდან.

**საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა**

ბანკი მუდმივად ახდენს ყველა მისი აქტივის მონიტორინგს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გათვალისწინებით. იმის განსასაზღვრად, ინსტრუმენტი ან ინსტრუმენტთა პორტფელი 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ექვემდებარება, თუ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ბანკი აფასებს ჰქონდა თუ არა ადგილი მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში საწყისი აღიარების შემდეგ.

ბანკი ასევე მიმართავს შეფასების მეორად, ხარისხობრივ მეთოდს აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოსაწვევად, როგორცაა, მაგალითად, მომხმარებლის/სესხის შეყვანა საყურადღებო სიაში ან ანგარიშის რესტრუქტურის/ზარალი კრედიტუნარიანობის გამოშვები მოვლენის დადგომის გამო. საკრედიტო რეიტინგში ცვლილებების მიუხედავად, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები 30 დღეზე მეტი ხნითაა ვადაგადაცილებული, ითვლება, რომ საკრედიტო რისკი საწყისი აღიარებიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა. საკრედიტო რეიტინგის შემცირება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის კრიტერიუმი.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კოლექტიურ საფუძველზე შეფასებისას მსგავსი აქტივების ჯგუფისთვის, ბანკი იყენებს შეფასების იგივე პრინციპებს იმის განსასაზღვრად, ხომ არ ჰქონია ადგილი მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში საწყისი აღიარების შემდეგ.

**21. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

**კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების დაჯგუფება**

ქვემოთ მოცემული ფაქტორებიდან გამომდინარე, ბანკი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს კოლექტიურ ან ინდივიდუალურ საფუძველზე.

აქტივების კლასები, რომლებისთვისაც ბანკი ინდივიდუალურად გამოითვლის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს:

- ▶ მე-3 სტადიის ყველა აქტივი, ფინანსური აქტივის კლასის მიუხედავად, გარდა სამომხმარებლო პორტფელისა;
- ▶ მე-2 სტადიის და მე-3 სტადიის კორპორაციული და კომერციული პორტფელი;
- ▶ კრედიტის ოდენობა, რომელიც შესაძლოა კლასიფიცირებულ იქნას შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებულად, როდესაც თავდაპირველი სესხის აღიარება წყდება და ახალი სესხი აღიარდება სესხის რესტრუქტურის/ზარალის შედეგად.

აქტივების კლასები ბანკის მიერ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებისას კოლექტიურ საფუძველზე მოიცავს შემდეგს:

- ▶ ბანკის კომერციული პორტფელის უფრო მცირე ან უფრო ერთგვაროვანი ნაშთები;
- ▶ 1-ელი სტადიისა და მე-2 სტადიის სამომხმარებლო სესხები;

ბანკი ამ სესხებს აჯგუფებს უფრო მომცრო ერთგვაროვან პორტფელებად, სესხების შიდა და გარე მახასიათებლების ერთობლიობის საფუძველზე. მაგალითად, შიდა რეიტინგის, გადაცილებული ვადების, პროდუქტის ტიპის ან მსესხებლის დარგის მიხედვით.

**საპროგნოზო ინფორმაცია და მრავალჯერადი ეკონომიკური სცენარები**

თავის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელში ბანკი მთელ რიგ საპროგნოზო ინფორმაციას ეყრდნობა და მათგან იღებს ისეთ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, როგორცაა:

- ▶ მშპ-ის ზრდა;
- ▶ ინფლაცია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული ამოსავალი მონაცემები და მოდელში შეიძლება ყოველთვის არ ასახავდეს ბაზრის ყველა მახასიათებელს ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის. ამის მხედველობაში მისაღებად, დროებითი შესწორებების სახით ხდება ხარისხობრივი კორექტირებები ან განახლებები, როდესაც ეს სხვაობები საკმაოდ არსებითია.

სს „პაპა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

21. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ბანკი საპროგნოზო ინფორმაციას იღებს სეზონის, საქსტატის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, World and Regional Economic Outlooks-ების, S&P Global Ratings-ის და სხვ. მიერ გამოქვეყნებული წყაროებიდან. ბანკის საკრედიტო რისკის განყოფილების ექსპერტები განსაზღვრავენ სხვადასხვა სცენარისთვის მისანიჭებელ წონებს. ცხრილებში მოცემულია ძირითადი საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადები/დაშვებები, რომლებიც გამოიყენება ეკონომიკურ სცენარებში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად. „მომდევნო წლების“ სვეტში რიცხვები წარმოადგენს გრძელვადიან საშუალო არითმეტიკულს და ამიტომ, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა სცენარისთვის ერთი და იგივეა:

| მთავარი ფაქტორები         | მოსალოდ-<br>ნელი<br>საკრედიტო მინიჭებული<br>ზარალის ალბათობები,<br>სცენარი | %   | 2022 წლის მომდევნო წლები |      |      | 2021 წლის მომდევნო წლები |      |      |
|---------------------------|--|-----|--------------------------|------|------|--------------------------|------|------|
|                           |  |     | 2023                     | 2024 | 2025 | 2022                     | 2023 | 2024 |
| <b>მშპ-ის ზრდა, %</b>     |  |     |                          |      |      |                          |      |      |
|                           | ოპტიმის-<br>ტური   | 25% | 6.0%                     | 5.0% | 5.0% | 6.0%                     | 5.0% | 4.5% |
|                           | საბაზისო<br>სცენარი  | 50% | 4.0%                     | 5.5% | 5.0% | 5.0%                     | 4.0% | 4.5% |
|                           | პესიმის-<br>ტური   | 25% | 2.0%                     | 4.0% | 5.0% | 2.0%                     | 4.0% | 5.0% |
| <b>ინფლაციის<br/>დონე</b> |  |     |                          |      |      |                          |      |      |
|                           | ოპტიმის-<br>ტური   | 25% | 5.0%                     | 3.0% | 3.0% | 5.5%                     | 3.0% | 3.0% |
|                           | საბაზისო<br>სცენარი  | 50% | 5.3%                     | 3.1% | 3.0% | 7.0%                     | 2.5% | 3.0% |
|                           | პესიმის-<br>ტური   | 25% | 9.0%                     | 6.0% | 3.0% | 8.0%                     | 4.0% | 3.0% |

სს „პაპა ბანკი საქართველო“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

21. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივის კლასების მიხედვით

ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგი იმართება ბანკის შიდა საკრედიტო სარეიტინგო სისტემით, ზემოთ აღწერილი ფორმით. ქვედა ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების სხვადასხვა კლასის საკრედიტო ხარისხი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის საკრედიტო რეიტინგების სისტემაზე დაყრდნობით:

|   | შენიშვნა  | მალალი<br>შეფასება | სტანდარ-<br>ტული<br>შეფასება | სტანდარტუ<br>ლზე დაბალი<br>შეფასება | გაუფასუ-<br>რებელი | სულ            |
|---|---|--------------------|------------------------------|-------------------------------------|--------------------|----------------|
